გამოცდები 2014

საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ტესტების ნიმუშები

# NAEC.ge

ივლისი 2014



## როგორ დავძლიოთ გამოცდის შიში?

## სკოლის ავტონომიურობა და ანგარიშვალდებულება

## დიმიტრი ყიფიანის უცნობი წერილი

# სარჩევი


| რუბრიკა | გვერდი | სათაური |
|---|---|---|
| **რედაქტორის სვეტი** | 4 | |
| **ფოტორეპორტაჟი** | 6 | „მოსწავლეები და მასწავლებლები“ |
| **გამოცდები 2014** | 10 | როგორ დავძლიოთ გამოცდის შიში? |
| **გამოცდები 2014** | 14 | სად იყო ყველაზე მაღალი კონკურსი 2013 წელს? |
| **საავტორო სვეტი** | 16 | „...ღვთად მოუცია მარტო მამული“ |
| **ნომრის სტუმარი** | 18 | რეზო გაბრიაძეზე |
| **მასწავლებელი** | 22 | როცა მასწავლებელს მოსწავლეების ენა ცუდად ესმის |
| **კვლევა** | 26 | სკოლის ავტონომიურობა და ანგარიშვალდებულება |
| **კონკურსები მოსწავლეებისათვის** | 34 | თუ უფრო მეტის გაკეთება შეგიძლიათ, ვიდრე ამას სასწავლო ოლიმპიადაზე მოითხოვენ... |
| **პუბლიცისტიკა** | 38 | ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური ჰალუცინაციების სამყარო |
| **ხშირად დასმული კითხვები** | 46 | ხშირად დასმული კითხვები გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშირებით |
| **ლიტერატურული გვერდი** | 50 | ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებული ნაწარმოებები |
| **ტესტები** | 52 | საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ტესტების ნიმუშები |

მინდა მივესალმო ჟურნალის აქტიურ მკითხველებსა და, განსაკუთრებით, ჩვენს აბიტურიენტებს, რომელებსაც სწორედ ახლა უდგათ ყველაზე „ცხელი“ დღეები თავიანთ ცხოვრებაში.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ შეგიძლიათ თქვენი პრიორიტეტების შეცვლა და ამის შესაძლებლობა გარკვეული დროის განმავლობაში გამოცდების ჩაბარების შემდეგაც გექნებათ. გირჩევთ, გულდასმით დაუკვირდეთ გამოცდებზე მიღებულ თქვენს ქულებს და ამის შესაბამისად შეცვალოთ არჩეული ფაკულტეტებისა თუ მიმართულებების ჩამონათვალი. სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, ვფიქრობ, ჟურნალის ამ ნომერში გამოქვეყნებული მასალაც დაგეხმარებათ – „სად იყო ყველაზე მაღალი კონკურსი 2013 წელს?“

გისურვებთ დასახული მიზნების მიღწევას, ნაკლებ ნერვიულობასა და იუმორის გრძნობის შენარჩუნებას, რადგან ფორიაქი და შიში საკმაოდ ვერაგი თანამგზავრები არიან სირთულეებით აღსავსე გზაზე, ხოლო ღიმილი და ხალისი ყველანაირი გასაჭირის დაძლევაში დაგეხმარებათ.

2005 წლის პირველ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ამგვარი რამ მოხდა:

ე. წ. „კომაროვის სკოლაში“ ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტების სამასამდე გამსწორებელია შეკრებილი. ყველას გაცნობიერებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა. ხუმრობა ხომ არ არის – პირველად საქართველოს ისტორიაში სწორედ ისინი აფასებენ ერთ-ერთი უმთავრესი გამოცდის ნამუშევრებს და თანაც ორიგინალებს... დაძაბულობა პიკს აღწევს, ამას ივლისის გაუსაძლისი ხვატი და ორიოდე კვირის განმავლობაში დაგროვილი დაღლილობაც ემატება... სწორედ ამ დროს შევიტყვეთ, რომ ერთ-ერთ ჩვენს გამსწორებელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მუშაობის გაგრძელება აღარ შეუძლია და ე. წ. „სარეზერვო სიიდან“ რომელიმე ჩვენი კოლეგით მისი ჩანაცვლებაა საჭირო. არჩევანი სრულიად ახალგაზრდა სპეციალისტზე, ნიკი ასათიანზე, შეჩერდა. უეცრად აღმოვაჩინეთ, რომ ამ ქალბატონის ოფიციალური სახელი შუშანიკი ყოფილა. ბევრი ვეძებეთ მისი მობილური ტელეფონის ნომერი, მაგრამ ვერსად მივაგენით... ამასობაში დარეკვა და მისი „კომაროვის სკოლაში“ მოწვევა სრულიად აუცილებელი და სასწრაფოა, გასწორების პროცესი რომ არ შეფერხდეს. ქართულის ჯგუფის თანამშრომელმა, ნანა ლოლაძემ, ჩვენს კოლეგებთან, გამსწორებლებთან შესვლა და შუშანიკის ტელეფონის ნომრის გაგება გადაწყვიტა, შეაღო ერთ-ერთი ოთახის კარი და კოლეგებს მიმართა: „მეგობრებო, თუ შეიძლება, შუშანიკის მობილური ტელეფონის ნომერი მითხარით!“ ამ დროს დაღლილობითა და სიცხით



გათანგული ჩვენი გამსწორებლები სწორედ „შუშანიკის წამების“ შესახებ დაწერილ საგამოცდო თხზულებებს ასწორებდნენ... მათ თავი შეიკავეს, ალბათ, იფიქრეს – ეს ქალი, შესაძლოა, ჩვენზე მეტადაც კი იყოს დაღლილი და გაბრუებულიო, ნანას პასუხი არ გასცეს, ოდნავ დაიძაბნენ და ნაშრომების გასწორება განაგრძეს. ასეთმა დამოკიდებულებამ ქალბატონი ნანა საკმაოდ გააბრაზა და უკვე გაღიზიანებულმა მიმართა გამსწორებლებს: „რა დაგემართათ, მითხარით ამ შუშანიკის ნომერიო!“ ერთ-ერთმა გამსწორებელმა თავი ასწია, ქალბატონ ნანას თანაგრძნობით სავსე თვალებით შეხედა და მორიდებით უთხრა: „იცით, ქალბატონო ნანა, იქ მობილური ტელეფონი არ იჭერსო...“ ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ხარხარი მოჰყვებოდა ამგვარ პასუხს.

ამ შემთხვევის გახსენებით იმის თქმა მსურდა, რომ ყველაზე უფრო კრიტიკულ და ექსტრემალურ სიტუაციებშიც კი შესაძლებელია იუმორის გრძნობის შენარჩუნება და დაკისრებული მოვალეობის ხალისიანად შესრულება.

კიდევ ერთხელ გისურვებთ დასახული მიზნების მიღწევას, სანუკვარი ოცნებების ასრულებასა და თქვენი აქტიური თანადგომის იმედს ვიტოვებ.


საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი
მომავალი იწყება აქ

საქართველოს ბანკის უნივერსიტეტის MBA
მაგისტრატურა ბიზნესის ადმინისტრირებაში





თქვენი მომავალი შეგიძლიათ დაიწყო აქ – საქართველოს ბანკის უნივერსიტეტში!

რატომ საქართველოს ბანკის უნივერსიტეტი?

- კარიერული წინსვლა და უკეთესი პირობებით დასაქმება;
- პრაქტიკისა და თეორიის საუკეთესო ბალანსი;
- რეალური კონტაქტების დამყარება წარმატებულ ადამიანებთან;
- დასავლური განათლების მიღება საქართველოში;
- დაფინანსება ან სწავლის საფასურის გადახდის უნიკალური პირობები.

ყველას აქვს შანსი მომდევნო ტრიმესტრში მიიღოს 100%-იანი დაფინანსება ან მოიპოვოს უფლება გადასახადი გადაიხადოს მას შემდეგ, რაც სწავლას დაასრულებს.

გამოიყენე შანსი მიაღწიო რეალურ წარმატებას!

2 444 864 | info@bog.edu.ge | www.mba.edu.ge

# „მოსწავლეები და მასწავლებლები“



რუსლან მამედოვი ინგილოა და ზაქათალაში ცხოვრობს. 2011 წელს მან საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში მხატვრული ფოტოგრაფიის პროფესიული საფეხური დაამთავრა და მას შემდეგ ფოტოგრაფიითაა დაკავებული. 21 წლის რუსლან მამედოვის ფოტოკოლაჟი გარდაბანში მცხოვრები აზერბაიჯანელებისა და საინგილოში მცხოვრები ქართველების საგანმანათლებლო ყოფას ეხება...









ფოტოების ავტორი: რუსლან მამედოვი











ACCA
THE GLOBAL BODY FOR PROFESSIONAL ACCOUNTANTS

*Authorised Center*
*for Computer Based Examinations*

## „შეფასებისა გამოცდების ეროვნული ცენტრი" აპლიკანტებს სთავაზობს ACCA-ს გამოცდებს

ACCA არის მსოფლიო ორგანიზაცია პროფესიონალი ბუღალტრებისათვის. მისი მიზანია მოხმარებელს შესთავაზოს შესაბამისი ბიზნეს კვალიფიკაცია, რომელიც პიროვნებას დაეხმარება მიაღწიოს კარიერულ წინსვლას ბუღალტერიაში, ფინანსებსა და მენეჯმენტში.

ორგანიზაციას ამჟამად ჰყავს 162,000 წევრი და 426,000 სტუდენტი 170 ქვეყანაში.

გამოცდების ეროვნული ცენტრი" გახდა პირველი ლიცენზირებული ორგანიზაცია საქართველოში, რომელსაც აქვს უფლება ჩაატაროს ACCA-ს შემდეგი კომპიუტერული გამოცდები:

ბუღალტერიის საფუძვლები (Foundations in Accountancy):

FA1 Recording Financial Transactions
- MA1 Management Information
- FA2 Maintaining Financial Records
- MA2 Managing Costs and Finance
- FAB Accountant in Business
- FFA Financial Accounting
- FMA Management Accounting

ACCA -ს კვალიფიკაცია (ACCA Qualification):
- F1 Accountant in Business
- F2 Management Accounting
- F3 Financial Accounting

# როგორ დავძლიოთ გამოცდის შიში?



ავტორი: ქეთი კვიტატიანი

*როგორც ამბობენ, გამოცდის შიშის გასაქრობად საუკეთესო საშუალება ცოდნაა, მაგრამ არასაკმარისი ცოდნის პირობებშიც კი ამ ტიპის შიში მარტივად შეიძლება დავძლიოთ, თუ მის გასაქრობად სწორ მეთოდებს შევარჩევთ. რეკომენდაციების მისაღებად პედაგოგი, ბავშვთა ფსიქოლოგი, მშობელი და სტუდენტი ჩავწერეთ.*

შიში ადამიანური ემოციაა, რომელიც უკავშირდება თვითგადარჩენისა და უსაფრთხოების სურვილს. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ შიში უარყოფითად მოქმედებს ტვინის უჯრედებზე და იწვევს მათ შევიწროებას, რის შემდეგაც ზოგჯერ ჩნდება ჰალუცინაციები. ცოტა ხნის წინ, მათ შიშის გენიც აღმოაჩინეს, რომლის საშუალებითაც მემკვიდრეები იღებენ ორ განსაკუთრებულ გენს დედისაგან და მამისაგან. ეს გენები პირობითად მოკლე და გრძელ გენებად იყოფა, თეორიის თანახმად, ის, ვინც მემკვიდრეობით მიიღო ორი გრძელი გენი, აუცილებლად მამაცი გაიზრდება. ვისაც წილად ხვდა ერთი მოკლე გენი – ფრთხილ ადამიანდ ყალიბდება, ხოლო ორი მოკლე გენის არსებობის პირობებში, ადამიანი ძალიან მშიშარაა.



**თბილისის N123-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ირმა მაისურაძე:**

„გამოცდის პროცესში ადამიანი ფსიქოლოგიურ პრობლემებს განიცდის, მაგრამ სწორი მიდგომით ეს პრობლემები დაიძლევა. გირჩევთ, რომ დაეუფლოთ საკუთარ ემოციაზე კონტროლის ტექნიკას. ძლიერი შიშის გამო ადამიანი დაძაბულია, ეს აზროვნების უნარს აქვეითებს, აუცილებელია სტრესის დაძლევა. უნდა მოდუნდეთ და იფიქროთ იმაზე, რომ ცხოვრება გამოცდით კი არ მთავრდება, არამედ ეს პირველი ნაბიჯია ცხოვრებაში საკუთარი ადგილის დასამკვიდრებლად. ასევე, **არ არის სასურველი გამოცდის წინ ტექსტების უაზრო დაზეპირება. უმჯობესია, ფრაგმენტული გამეორება, რომ ამ პროცესმა გონებაში ქაოსი არ გამოიწვიოს. გამოცდის წინ გვეჩვენება, რომ რაც ვიცოდით, ყველაფერი დაგვავიწყდა. ნუ ღელავთ, საკითხების დაკონკრეტებისთანავე მოცემულ დავალებებზე იფიქრებთ, მერწმუნეთ, მეხსიერებაში მხოლოდ საჭირო ცოდნა ამოტივტივდება.**

პასუხისმგებლობით მოეკიდეთ საგამოცდო პროგრამას, ნუ გამოტოვებთ საკითხებს, შემთხვევითობის იმედად გამოცდაზე გასვლას არ გირჩევთ. საკუთარი თავის რწმენა მნიშვნელოვანი ფაქტორია. ადეკვატური თვითშეფასების გარეშე მაღალ ქულას ვერ მივიღებთ, მაგრამ ზედმეტმა თავდაჯერებამაც შეიძლება არასასურველ შედეგამდე მიგვიყვანოს. ნუ შეიქმნით ილუზიებს. უნდა დაუშვათ, რომ შესაძლებელია თქვენი მოლოდინი არ გამართლდეს. თუ ყველაფრისათვის მზად იქნებით, მარცხს იოლად შეეგუებით და მომავალში საქმეს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებით.

წარმატების უმნიშვნელოვანეს პირობად საკუთარი თავის რწმენას, გაწონასწორებულ ხასიათს, ოპტიმიზმსა და საგნის ღრმა ცოდნას მივიჩნევ. თუ გამოცდის წინა საღამოს სასურველი ადამიანების გარემოცვაში დროს სასიამოვნოდ გაატარებთ და კარგად გამოიძინებთ, აუცილებლად მიაღწევთ სასურველ შედეგს.“



**მშობელი მანანა კოტრიკაძე:**

„ჩემი შვილი სკოლაში ძალიან კარგად სწავლობდა, ერთადერთი, რაც მას აშინებდა, საგამოცდო დროის სიმცირე იყო, სულ ეგონა, რომ ვერ მოასწრებდა დავალებების ბოლომდე დაწერას. მე კი მეშინოდა, რომ ასეთი დამოკიდებულება არაბუნებრივ სიჩქარეს გამოიწვევდა წერის პროცესში, რაც დააბნევდა ჩემს გოგონას და, საბოლოოდ, არასასურველ შეფასებამდე მიგვიყვანდა. ყველაზე გულდასაწყვეტი ის არის, როდესაც აბიტურიენტი არა უცოდინრობის, არამედ ნერვიულობის გამო იღებს დაბალ ქულას. პრობლემის მოსაგვარებლად ძალიან მარტივ ხერხს მივაგენი; 6 თვის განმავლობაში ქეთი ქვიშის საათთან ერთად მეცადინეობდა. პირობა ყოველ დღე ერთნაირი იყო – ქვიშის ჩამოცლამდე უნდა მოესწრო დავალების ბოლომდე შესრულება. თავიდან ეს ყველაფერი ძალიან რთული აღმოჩნდა, მაგრამ ბავშვი ამყვა, არ გაჯიუტებულა და სულ მალე აღმოაჩინა, რომ სულაც არ აღელვებდა ეს ქვიშის საათი, იჯდა წყნარად და თავის საქმეს აკეთებდა. მინდა გითხრათ, რომ გარკვეულწილად ამ „ვარჯიშის“ დამსახურებაცაა, რომ ჩემმა შვილმა  დროის შიში დაძლია და გამოცდებზე საუკეთესო შედეგები აჩვენა. **შიში ბავშვობის განუყოფელი ნაწილია. მოზარდები ამ ემოციას გაცილებით დრამატულად და გაზვიადებულად გამოხატავენ და უფრო ძნელადაც უმკლავდებიან, ვიდრე ჩვენ – უფროსები. ეცადეთ, თქვენი სიმშვიდით, ყურადღებით, სწორი მიდგომით შეუმსუბუქოთ შვილებს წინასაგამოცდო მდგომარეობა.“**



**სტუდენტი სალომე ქეშელაშვილი:**

„რას ვეძახით შიშს ან რა არის საერთოდ, ასე რომ გვაფიქრებს, მუდამ გვაშინებს და სულს გვიფორიაქებს... აბსტრაქტული ცნება, რომელიც გონების ყოველ კუნჭულში ბუდობს და არ განებებს თავს... ერთხელ სოციალურ ქსელში ასეთ წარწერიან სურათს გადავაწყდი – მე ადამიანი არ ვარ, მე აბიტურიენტი ვარ! – ეს არაა ზუსტი ციტირება, თუმცა აზრი გასაგებია...

მახსოვს, მივტიროდი ზაფხულს, რომელიც ჯერ არ დამთავრებულიყო და მაშინებდა სექტემბერი, რომელიც აბიტურიენტის სტატუსს მიმზადებდა... მეათე კლასში შორს მეჩვენებოდა მეთორმეტე საფეხური, ორი წელი ორი დღესავით გავიდა... დიახ, ბანალურია, მაგრამ მტკივნეულად რეალური... მომდევნო ერთი წელი ისე მესახებოდა, როგორც შავ-თეთრი და მძიმე პერიოდი ჩემი ცხოვრებისა: მუდამ მეცადინეობა, წიგნი, წერა, მასწავლებლები, ამოღამებული თვალები და ოცნება სუდენტად გახდომაზე... გონებაში ვაწყობდი სიუჟეტს, რომელიც ქმნიდა სრულ ტრაგედიას – facebook-ის გაუქმება დროის უქმად გაფლანგვის თავიდან აცილების მიზნით, დადებული პირობა, რომ ხშირად აღარ ვნახავ მეგობრებს, ახალ წელს შევხვდები სახლში, ცოტას დავისვენებ და მხოლოდ სწავლა და სწავლა... იდეაში მქონდა სრული იზოლაცია ზედმეტი გარეგანი ცდუნებებისაგან...

თებერვლის ბოლო, აპრილის დასაწყისი... ისტერიკა, შიში – ვერ ჩავაბარებ, რომ ჩავიჭრა? გონებაში ყველაზე საშინელ შედეგებს განვიხილავდი, წარმოვიდგენდი და მერე ჩუმად ვტიროდი, არ მინოდა დედას დაენახა...



ამასობაში ბებიაჩემმა მოასწრო ინფორმაციის გავრცელება მეზობლებში, სანათესაოსა და მათ მეზობლებშიც კი – საცოდავი სალომე წელს აბარებს!

გრაფიკი თითქოს მძიმე – სკოლა, მასწავლებლები: ერთი, ორი, სამი, ზოგჯერ ოთხიც, მაგრამ ამ გადარბენებში არსებობდა პატარა სასიამოვნო დეტალებიც: ხუთწუთიანი დასვენებები სკოლაში, როცა მთელი სკოლის შემოვლას ვასწრებდით, მიყვარდა ერთი მასწავლებლიდან მეორე მასწავლებლამდე ფეხით გავლილი გზა, თან მუსიკა ყურებში და ფიქრები აღმაფრენამდე... გამოწურული ლიმონოვით თავის გრძნობა და ამ დროს ნაყინის ჭამა სითბოში... ნელ-ნელა გაქრა შიში, უფრო გავაქრე, გადავფარე... მიზანი ზუსტად დავისახე და გადავწყვიტე, რომ არ იყო ამაში არაფერი სატირალი ან ამაღელვებელი – შრომა, მონდომება და სწავლა ამ მშვენიერი კომბინაციით სრულ წინსვლას ვაგრძელებდი... ვხვდებოდი, რომ ოცდაოთხი საათი არ მყოფნიდა, ზედმეტად მალე მათენდებოდა თავზე... გავიდა ერთი სემესტრი, „საატესტატოებიც“ მალე დაიწყო და დამთავრდა... იყო ბოლო ზარი, ცრემლი, პირველი დამრიგებლის სიტყვა, ბანკეტის კაბაზე ტვინის ჭყლეტა, სურათები, ჰაერში გაშვებული გულები და ისევ სურათები... გრაფიკიდან პატარა ამოვარდნა, მაგრამ ფინიშის მოახლოებაც...

ახლა უკვე მეორე კუსრზე ვარ და ყველაფერი ისე მალე გავიდა – გამოცდების შედეგები და გრანტი, რაზეც თავიდან პრეტენზიაც არ გამაჩნდა. მოვხვდი იქ, სადაც მინოდა ანუ იმაზე, რაც პირველი მეწერა... ის მომენტია საინტერესო, როცა გამოცდების წერას მორჩები – ამ დროს უკვე აღარ ხარ აბიტურიენტი და ჯერ დანამდვილებით არც კი იცი, ხარ თუ არა სტუდენტი, გამოდის, ცოტა ხნით უსტატუსოდ ცხოვრობ... მერე არის სიხარული, მოლოცვა... გათენებული ღამეები? ეგ იყო... ბებოს უხაროდა და უკვირდა – ჩემ დროს სულ სხვანაირად ხდებოდა ყველაფერიო...

სინამდვილეში ყველაფერი ძალიან მარტივია. მთავარია, ეს გამოცდები არ აღიქვა, როგორც ცხოვრების დასასრული ან რაიმე უფრო საშინელი მოვლენა. არა უშავს, თუ არ იცი ზუსტად ფაკულტეტი ან რა გინდა გამოხვიდე, ნელ-ნელა ისწავლი და გაერკვევი, მიაგნებ სადმე შენს თავს და მოწოდებას. შიში კი აქ ფიქრთა ყველაზე უადგილო დინებაა... „ეძიეთ ყველა დაძაბულობაში დადებითი და პოზიტიური ნიშნები...“ შეიძლება არ დამიჯეროთ, მაგრამ მე ხანდახან მენატრება აბიტურიენტობა, მუდმივად „გრაფიკში“ ყოფნა. სტუდენტობის პირველი კურსი კი შედარებით უფრო მსუბუქი და მარტივია და დრო გაქვს სხვა აქტივობებისთვისაც...

ბოლოს გეტყვით, რომ დრო მაინც მრჩებოდა მეგობრებისათვის და ახალ წელსაც არ შევხვედრილვარ სახლში, დასვენებით კი მართლა ცოტა დავისვენე... ხო, სოციალური ქსელიც არ გამიუქმებია...“



**ბავშვთა ფსიქოლოგი თეონა ლოდია:**

„უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ გამოცდის ზომიერად გამოხატული შიში ნორმალური მოვლენაა და გვეხმარება გამოცდისათვის მოსამზადებელ პერიოდში საკუთარი ძალების მობილიზებასა და სწავლის მოტივაციის შენარჩუნებაში. გამოცდის შიში საზიანოა იმ შემთხვევაში, თუ ის იმდენად ძლიერ სტრესს იწვევს, რომ ხელს გვიშლის აზროვნებაში, ნასწავლის გახსენებასა და ყურადღების კონცენტრაციაში.

საკუთარ თავს რეალისტური მოთხოვნები წაუყენეთ, რაშიც თქვენი ძლიერი და სუსტი მხარეების კარგად გააზრება დაგეხმარებათ. დაფიქრდით, რა გაშინებთ განსაკუთრებით და შეეცადეთ, მოძებნოთ გზა მის დასაძლევად. შეიძლება ეს იყოს, მაგალითად, შიში იმისა, რომ დროში ვერ ჩაეტევით. ამისათვის შეგიძლიათ გაითამაშოთ საგამოცდო სიტუაცია, ივარჯიშოთ თუნდაც დროის სწორად განაწილებაში.

ნეგატიური მოლოდინები კიდევ უფრო აძლიერებს და კვებავს გამოცდის შიშს. ამიტომ ნაცვლად უარყოფითი სცენარის შესახებ ფიქრისა, ხშირად წარმოიდგინეთ, რომ წარმატებით ჩააბარეთ გამოცდა. რაც დაძლევადია წარმოსახვაში, რეალობაშიც ადვილად მიღწევადი ხდება.



შეეცადეთ, შეხედოთ გამოცდას, როგორც გამოწვევას, რომელიც საშუალებას გაძლევთ გამოავლინოთ თქვენი შესაძლებლობები და ცოდნა. და, ამავე დროს, ახალ, საინტერესო პერსპექტივებს გიხსნით.

მნიშვნელოვანია, გამოცდაზე დასვენებული მიხვიდეთ. ამიტომ ეცადეთ, რომ წინა დღეს დაისვენოთ და თქვენთვის სასიამოვნო საქმით დაკავდეთ.

და ბოლოს, რაც უფრო კარგად ხართ მომზადებული, უფრო მეტად ხართ დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში, შესაბამისად, უფრო ძლიერია წარმატების სურვილიცა და მოლოდინიც, რაც აუცილებლად დადებითად აისახება გამოცდის შედეგზე.“

# სად იყო ყველაზე მაღალი კონკურსი 2013 წელს?

| N | უმაღლესი სასწავლო დაწესებულება | საგანმანათლებლო პროგრამა | ადგილების რაოდენობა | პირველი არჩევანი | კონკურსი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საერთაშორისო ურთიერთობები | 80 | 1246 | 15.575 |
| 2 | საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი | მსახიობი (დრამისა და კინოს მსახიობი) | 15 | 131 | 8.733 |
| 3 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი) | სამართალმცოდნეობა | 60 | 515 | 8.583 |
| 4 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | არქეოლოგია | 25 | 207 | 8.280 |
| 5 | საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი | თეატრის რეჟისურა | 3 | 20 | 6.667 |
| 6 | საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი | აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა) | 5 | 33 | 6.600 |
| 7 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ფილოსოფია | 25 | 159 | 6.360 |
| 8 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი) | საერთაშორისო ურთიერთობები | 20 | 119 | 5.950 |
| 9 | ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი | ჰუმანიტარული მეცნიერებები | 50 | 295 | 5.900 |
| 10 | სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ეკონომიკა | 10 | 54 | 5.400 |
| 11 | საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი | მასობრივი კომუნიკაცია (ტელე-რადიო ჟურნალისტიკა) | 10 | 51 | 5.100 |
| 12 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი) | ფსიქოლოგია | 20 | 100 | 5.000 |
| 13 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | სამართალი | 500 | 2367 | 4.734 |
| 14 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია | 100 | 470 | 4.700 |
| 15 | სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია | სამხედრო ავიაცია | 10 | 47 | 4.700 |
| 16 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ქართული ფილოლოგია | 200 | 913 | 4.565 |
| 17 | აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ქუთაისი) | ეკონომიკა | 90 | 397 | 4.411 |
| 18 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ეკონომიკა | 400 | 1755 | 4.388 |
| 19 | ა(ა)იპ– თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია | ინტერიერის დიზაინი | 15 | 63 | 4.200 |
| 20 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | საერთაშორისო სამართალი | 50 | 194 | 3.880 |
| 21 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | დაწყებითი განათლება | 25 | 97 | 3.880 |
| 22 | საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი | აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინო-ტელე ოპერატორი) | 5 | 17 | 3.400 |
| 23 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი) | ეკონომიკა | 20 | 66 | 3.300 |
| 24 | თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი | ბიზნესის ადმინისტრირება | 120 | 393 | 3.275 |
| 25 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ისტორია | 150 | 487 | 3.247 |
| 26 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი) | მშენებლობა | 25 | 79 | 3.160 |
| 27 | ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი | ბიოლოგია | 100 | 314 | 3.140 |
| 28 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი) | ტურიზმი | 120 | 369 | 3.075 |
| 29 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი) | აგრონომია | 20 | 61 | 3.050 |
| 30 | ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. ბათუმი) | ფინანსები | 60 | 169 | 2.817 |

ETS®

Authorised Center

TOEFL iBT®

„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი"

გთავაზობთ საერთაშორისო სასერტიფიკაციო გამოცდებს

TOEFL iBT-ის გამოცდა საუკეთესო საშუალებაა ინგლისურენოვან ქვეყნებში სწავლის გასაგრძელებლად.

TOEFL-ის გამოცდის შედეგებს აღიარებს 130 ქვეყნის 8500-ზე მეტი კოლეჯი და უნივერსიტეტი.

ტესტი ამოწმებს, თუ რამდენად კარგად ფლობს აპლიკანტი ინგლისურ ენას საიმისოდ, რომ მან შეძლოს სწავლის გაგრძელება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში. ტესტი ამოწმებს ინგლისურ ენაზე კითხვის, წერის, მოსმენისა და საუბრის უნარს.



# „...ღვთად მოუცია მარტო მამული“

ავტორი: თამაზ ჯოლოგუა

ილია ჭავჭავაძის ეროვნული თვითშემეცნება ფოკუსირებულია სიტყვებში: **„...ქვეყნად ცასა, ღვთად მოუცია მარტო მამული“** („აჩრდილი“), რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანის ამქვეყნიური (მიწიერი) ცხოვრების უზენაესი ინტერესი და მიზანი („ამქვეყნიური ღმერთი“) არის მამული და ეს არის არა ადამიანის არჩევანი, არამედ განგების („ცის“) ნება. შესაბამისად, როდესაც ადამიანი ემსახურება მამულს, ის იმავდროულად განგების ნებასაც აღასრულებს. ამით, სხვათა შორის, ილია ჭავჭავაძეს მოხსნილი აქვს ცნობილი თეოლოგიური დაპირისპირება ამქვეყნიურსა (ხილულს, ხორციელს, ემპირიულს) და იმქვეყნიურს (უხილავს, სულიერს, ტრანსცენდენტურს) შორის.

ამ კონცეფციის მიხედვით, **„სოფელი“** (ქვეყანა) ბოროტებისა და ამაოების სადგური კი არ არის, არამედ ადამიანის მიერ თავისი უზენაესი ინტერესების, მიზნებისა და ღირებულებების სარეალიზაციო ადგილია და ეს, ვიმეორებთ, თვით განგების მიერ ადამიანისათვის გაჩენილი ღვთაებრივი წესია. ამ მხრივ, დიდად საგულისხმოა, რომ საქართველოს ეკლესიისა და ქართველი სამღვდელოების ისტორიულ დამსახურებებზე მსჯელობისას ილია ჭავჭავაძე, როგორც წესი, საგანგებოდ აღნიშნავს ეკლესიისა და სამღვდელოების **მამულიშვილურ** ღვაწლს: „მამული და ეროვნება მოაშველა სამღვდელოებამ რჯულს, რჯული – მამულსა და ეროვნებას... ათასხუთასი წელიწადი ომითა და სისხლისღვრითა გამოიარა და ქართველს ბინაც შეუნახა და ქართველობაცა“.

ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისი ერის რაობაზე უნისონშია ერის რაობის ნაციონალისტურ გაგებასთან, რომლის მიხედვითაც ერი სოციალური ინდივიდია (სოციალური პიროვნებაა), რომელიც სხვათაგან განსხვავებული და, ამდენად, უნიკალური ენის, ისტორიისა და კულტურის შემოქმედია. მიხაკო წერეთლის სიტყვებით, „ილია ჭავჭავაძისათვის ერი ცოცხალი საზოგადოებრივი **პიროვნება** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.) იყო, ერთი მრთელი რამ, რომლის ნაწილთა შორის ვერავითარი განსხვავება მას ვერ შლის და არც უნდა დაშალოს იგი. დასაბამითგან დღემდე ცხოვრება ქართველი ერისაც მუდამ ცვალებადი იყო, ხოლო თვით იგი იმავე პიროვნებად დარჩა“ (მიხ. წერეთელი).

ილიას თვალსაზრისით, „ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება“ („ქვათა ღაღადი“). უფრო მეტიც, ერისთვის, – მისი პიროვნული ბუნებიდან გამომდინარე, – ბუნებრივი და ორგანულია ისეთი პიროვნულ-ადამიანური თვისებები, როგორებიცაა „დიდ-ბუნებოვანობა“, ზნეობრივი „სისრულე“ და ყოფით ცხოვრებაში გამოვლენილი „მადლი“ (1895 წლის იანვრის „შინაური მიმოხილვა“).

ილია ჭავჭავაძის ღირებულებითი სისტემის ცალკეულ კომპონენტთა ურთიერთმიმართება და ურთიერთგანსაზღვრულობა მკაფიოდ ჩანს მის მიერ ჩამოყალიბებულ **„ნაციონალური კონსოლიდაციის კონცეფციაში“**, რომელშიც ერთი განმსაზღვრელი იდეის გარშემო პოლიფონიურადაა შერწყმული ავტორის პოლიტიკური და სოციალური იდეები თუ შეხედულებები.

ილიას არ გამორჩენია ქართულ სალიტერატურო ენასთან დაკავშირებული არსებითი მნიშვნელობის საკითხები, მაგრამ მისი ყურადღება ძირითადად ფოკუსირებულია ენაზე, როგორც ეროვნული **თვითმყოფადობისა და ერთიანობის** განმაპირობებელ ფაქტორზე. ილიას თვალსაზრისით, „არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა“ (ან: „პირველი ნიშანი ერის ვინაობისა – ენაა“).

ეროვნული ერთიანობის კონტექსტში მსჯელობდა ილია ჭავჭავაძე სარწმუნოებრივი საკითხების შესახებაც: „ქრისტეს სჯული ქართველებისათვის მარტო სარწმუნოებითი აღსარება კი არ იყო, იგი ამასთან ერთად პოლიტიკური ქვიტკირიც იყო საქართველოს მრავალ ნაწილების გასაერთებლად და შემოსაკრებად. **ერთობა სარწმუნოებისა ერთობას ერისას მოასწავებდა...“** (ხაზი ჩვენია – თ. ჯ.).



ი. ჭავჭავაძის თვალსაზრისით, საკუთარი ისტორიის დავიწყება ერის დეგრადაციისა და მისი სასიცოცხლო ენერგიის დაშრეტის ნიშანია. „დავიწყება ისტორიისა, თავისის წარსულისა და ყოფილის ცხოვრების აღმოფხვრა ხსოვნისაგან – მომასწავებელია ერის სულით და ხორცით მოშლისა, დარღვევისა და მთლად წაწყმედისაცა. წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ეს სამი სხვადასხვა ხანა, სხვადასხვა ჟამი ერის ცხოვრებისა ისეა ერთმანეთზედ გადაბმული, რომ ერთი უმეორეოდ წარმოუდგენელი, გაუგებარი და გამოუცნობია...“ („ერი და ისტორია“).

**ილია ჭავჭავაძის მხატვრული და პუბლიცისტური ტექსტების, აგრეთვე, ეპისტოლური მემკვიდრეობისა და საჯაროდ წარმოთქმული სიტყვების შესწავლა და ანალიზი ასეთ სურათს იძლევა: ილია ჭავჭავაძე ადამიანის უზენაეს ინტერესად და ღირებულებად მიიჩნევდა სამშობლოს, აღიარებდა მამულის „ყოვლად-მპყრობელ“ მნიშვნელობას, ხოლო ეროვნული თვითცნობიერების (იდენტობის) განმსაზღვრელ ფაქტორებად თვლიდა ენას, ქრისტიანულ სარწმუნოებას, ისტორიას (ისტორიულ ერთობას) და მათი ერთობლიობით განსაზღვრულ სპეციფიკურ (ინდივიდუალობით აღბეჭდილ) კულტურას როგორც ერის შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის ნაყოფს.**

# რეზო გაბრიაძე -ზე...



ავტორი: ქეთი კვიტაიანი

აქ რა მოსატანია ის ამბავი, რომ პარლამენტი ქუთაისიდან ისევ თბილისში გადმოდის, მაგრამ ეს ფაქტი თბილისისა და ქუთაისის ფარული ქიშპობის, ტრადიციულობის, კოლორიტულობის, სიძველისა და ჯიგრობის „მე უფრო ვარ!“ ამბავს დიდ ლოდად ედება, რომელიც მუდმივად მოქანავე სასწორს თბილისისაკენ ხრის.

წინა საუკუნის 20-იან წლებშიც კი, უფრო ადრინდელზე რომ არაფერი ვთქვათ,  ეს სასწორი კარგა ბლომად ქუთაისისაკენ იყო გადახრილი, აბა ამ კოლორიტულ ქალაქს რას შეედრებოდა საშინლად ინტერნაციონალური თბილისი? მერე ყველაფერმა დედაქლაქში მოიყარა თავი და მანაც ნელ-ნელა უკან ჩამოიტოვა საქართველოს ყველა სხვა ქალაქი... რამდენიმე მაინც არ „ნებდება“, მათ შორის ქუთაისიც... მარტო ის რად რად ღირს, რომ თბილისში ყველაზე მოდური თეატრისა და კაფეს შემქმნელი ქუთაისელია. დიხ, რეზო გაბრიაძის შესახებ ვსაუბრობ. დედაქალაქის ძველ უბანში ერთმანეთზე მიჯრილი ეს ორი დაწესებულება თავისი დიზაინით, დეკორითა თუ ნივთებით იმდენად კრეატიულადაა შექმნილი და გაკეთებული, რომ ადამიანები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოდიან მათ დასათვალიერებლად... „ამ თეატრისა და კაფეს ფასადი ერთ ჟურნალში ვნახე, დიზინმა მომხიბლა და როცა თბილისში ჩამოვფრინდი, მეორე დღესვე მის დასათვალიერებლად გამოვეშურე, საოცრებაა, აქ ყველაფერი ხელოვნების ნიმუშია, ყველა დეტალი კონცეფტუალურია, მოულოდნელია და აღფრთოვანებას იწვევს!“ (გერმანელი ტურისტი ნიკ შუმახერი).

კაფე მე-20 საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს გაიხსნა, მისი მენიუ ასე გამოიყურება:



GABRIADZE CAFE

ზაკუსკა

V დაკეპილი მწვანილი, ჩუმი პომიდვრით, ხმაურიანი კიტრითა და ლიმონის საკმაზით (180 გრ.)

ყველის ასორტი მწვანილით: სულგუნი, იმერული და "ორმანეთიანი" (220 გრ.)

V ნაირ-ნაირი ფხალი (კეთილად მოსაგონარი) (150 გრ.)

V ლობიო ცივად, ნიგვზით (200 გრ.)

V მწნილი ულამპოჩკო, ბნელი პადვლიდან (200 გრ.)

ჩიჟი-პიჟი (სტუდენტური ერბოკვერცხი პომიდვრით, მეტად საამო "ხალასტოი", მარტოხელა 40-45 წლის მამაკაცებისთვის) (250 გრ.)

შებოლილი ღორის ხორცი ტყლაპით (160 გრ.)

ლოქო ქინძმარში (300გრ.)

სალათები

V კიტრისა და პომიდვრის სალათი ნიგვზით ყანდაურულად (400 გრ.)

თევზის სალათი (210 გრ.)

V სალათის მიქსი ვაშლით და ჩურჩხელით (200 გრ.)

შემწვარი გოგრის სალათი ლეღვით (200 გრ.)

ნელ-თბილი სალათი შებოლილი წიწილითა ტყემლით (200 გრ.)

სუპები

მაწვნის სუპი კამით, აწყნარებს და ამშვიდებს სამუშაო დღის წინ და სამუშაო დღის შემდეგ (360 გრ.)

V პომიდვრის სუპი (310 გრ.)

მწყემსების სუპი სულგუნით პრასითა და კარტოფილით (300 გრ.)

სოკოს სუპი (320 გრ.)

გოგრის სუპი (300 გრ.)

ქათმის ჩიხირთმა (350 გრ.)

სმოლენსკის მეზარბაზნეების ბორში (330 გრ.)

80-იანი წლების დასაწყისში რეზო გაბრიაძემ თბილისში მარიონეტების თეატრი დაარსა... 1981 წელს თეატრი გაიხსნა პრემიერით „ალფრედი და ვიოლეტა“. ალექსანდრე დიუმას რომანის „ქალი კამელიებით“ მოტივებზე აგებული პიესა, რომელიც





ჟღალთმიანი, უდარდელი ვიოლეტასა და ახალგაზრდა ასტროფიზიკოსის ალფრედ გოკიელის სიყვარულის შესახებ მოგვითხრობდა, მაყურებელმა მოიწონა და შეიყვარა პირველივე წარმოდგენიდან. „თითქოს გამოვიგონე ჩემთვის პატარა თოჯინების თეატრი, რათა თავი დავაღწიო პასუხისმგებლობას, არ ვიყო დამოკიდებული არტისტებზე, არ დავანაგვიანო ბუნება, ვიყოლიო რაც შეიძლება ცოტა მაყურებელი, რომ ნაკლებად შევცოდო მოუმწიფარი აზრებითა და მათი განხორციელების შეუძლებლობით... ის, რასაც თქვენ ეძახით თეატრს, ჩემთვის უფრო ლაბორატორიაა. ჩემთვის, როგორც დრამატურგისთვის, როგორც სცენოგრაფისთვის და ბოლოს, როგორც რეჟისორისთვის. სიტყვა „რეჟისორი“ ცოტა მაბნევს, რადგან როცა სპექტაკლს ვაკეთებ, ყველაფრის ერთად კეთება მიწევს და ვერ ვიჭერ „იმ კაცს“, რომელსაც შეიძლება დავარქვა რეჟისორი, თანაც მე არსდროს დამიდგამს სხვისი სცენარი“ – რეზო გაბრიაძე.

ბავშვობაში „მე დედიკოს შვილი ვიყავი. წიგნებს ვკითხულობდი, სუფთა საყელო მქონდა, იმდენად კარგი წასარტყმელი ვიყავი თავში, რომ იშვიათად თუ დაიკლებდა ვინმე ამ სიამოვნებას, გარდა ვინმე მივლინებულის, ჩემოდნით ხელში, ან კუბოს შეყუდებული ჭირისუფლისა, თუმცა ორი მცდელობა იყო, ერთი ფეხითაც, გასვენების დროს... ბიბლიოთეკა №6-ის ბეჯითი მკითხველი ვიყავი. ბიბლიოთეკაში შესვლა სიფრთხილეს მოითხოვდა. ვინმეს რომ დავენახე – მცემდა, როგორც სირისტიანს, ამიტომ მეც ვფრთხილობდი: ჯერ იქითა ტროუტუარზე უნდა ჩამევლო უინტერესოდ, მერე ასევე უინტერესოდ ხიდიდან უნდა გადამეფურთხებინა და როდესაც დავრწმუნდებოდი, არავინ მიყურებს – ჩქარა შევსულიყავი ბიბლიოთეკაში.“ („თეთრი ხიდი“ რ. გაბრიაძე).

ცნობილი ქართველი მხატვარი, რეჟისორი და მწერალი რეზო გაბრიაძე 1936 წელს დაიბადა ქუთაისში. ხატვა და ძერწვა მან მოქანდაკე ვალერიან მიზანდარის სახელოსნოში ისწავლა, მოგვიანებით, საყვარელი მასწავლებლის სახე რეზო გაბრიაძემ ფილმებში „მიმინო“ და „არაჩვეულებრივი გამოფენა“ გააცოცხლა. „თიხისგან გავაკეთე შოთა რუსთაველის სახე, მოეწონათ ალბათ და ასე მოვხვდი არაჩვეულებრივ, დახვრეტას შემთხვევით გადარჩენილ ვალიკო მიზანდარის სახელოსნოში, სადაც 4-5 წელი ვისწავლე. ხელოვნებასთან ჩემი ურთიერთობა შეწყდა 17 წლის ასაკში და დაიწყო „ჭიდაობა“

კომისარიატთან, რომ ჯარში არ წავეყვანეთ. ძალიან მარტივად ვაბარებდი უმაღლესებში, პირველი სემესტრის მერე კი ვტოვებდი სასწავლებელს, ასე გამოვიცვალე 5 უმაღლესი სასწავლებელი."

1964 წელს რეზო გაბრიაძემ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილება.1967 წელს კი მოსკოვში უმაღლესი სარეჟისორო და სასცენარო კურსები. 60-იანი წლების ბოლოს მისი სცენარების მიხედვით ზედიზედ გადაღებულმა რამდენიმე ფილმმა მას აღიარება მოუტანა („არაჩვეულებრივი გამოფენა", „არ დაიდარდო", „ქვევრი", „ფეოლა"), განსაკუთრებული სიყვარულით მიიღო მაყურებელმა 70-იან წლებში გადაღებული ფილმები: „შერეკილები" და „მიმინო".

*„შერეკილები" – (ქ. ქუთაისის აღწერა)*

*„... ღორები ბანკთან სამყურას გლეჯდნენ. ვენახებით დატყვევებულ ქალაქში ნახევარი მოსახლეობა მთვრალი იყო, მეორე ნახევარი კი უფრო მთვრალი, ანდა პირიქით. გუბერნატორს ქიმკარს ჰპარავდნენ და ნალებს ჭედავდნენ. დიდთოვლიანობისას მგლები ტყიდან ტყეში ქალაქის ქუჩებით გადადიოდნენ მოკლეზე. სახელგანთქმულ ტრაგიკოსს, უბადლო ჰამლეტს, დუქნიდან წამოყოლილი ღვინის მწერები დასდევდნენ სცენაზე, როგორც თავლია შტოფიანს, ტაშის დროს ჭერიდან კეტეტილები ცვიოდა. ცხენოსნები ტროტუარზე დასეირნობდნენ. უყვარდათ სიტყვები: „გენიოზი", „გრადუზი", „ესენცია", „ბალზაკი". სწამდათ სიზმრების, ჭიამაიების, მარჩიელების, ჭინკების. სწამდათ, რომ ხოჯავა მეთულუხჩეს ორი გული აქვს და სრიალა კუდი წინიდან. ლობიო მესამე წყალში იხარშებოდა. მოქალაქეთა ფიქრები დაბურული იყო, დამოკიდებულებანი კი – ტკბილი, ისტორიამდელი. ვაჭრობდნენ მტკნარად, ღიმილით. თავისუფალ დროს თავის ტკივილს აჭიბინებდნენ. თავებს ქუდში ინახავდნენ სათუთად იმის ვარაუდით, რომ როდისმე რამეში გამოგვადგებაო, მაგრამ ფეხებს უფრო დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ, რადგან მათზე აზიატსკების ჩაცმა შეიძლებოდა..."*

„წერის რეზო გაბრიაძისეულ მანერას ბევრი სახელი შეიძლება მოეძებნოს, ღღონდ ერთი რამ ვერ გამიგია, ასეთი სახელდებისას როგორ უნდა შეაჯვარო ერთმანეთთან სტილი და სიკეთე? ეს ორივე ცნება ხომ ძალზე მნიშვნელოვანია რეზო გაბრიაძის ნაწარმოებებისთვის. ამიტომ გავრისკავ და მის წერის მანერას თხრობით გაკეთილშობილებას ვუწოდებ." (მალხაზ ხარბედია).

## „ვიდრე რაიმეს წერას დავიწყებდე და წერის დროსაც, ჩვეულებრივ ვიწყებ ხატვას. ეს მეხმარება მუშაობაში. განსაკუთრებით, რომ არ ვწერო და მეტი დრო გავატარო ჩემს ნავსაყუდელში – სახვით ხელოვნებაში. ისეც ყოფილა, პატარა, უმნიშვნელო ნახატს სიუჟეტი სულ სხვა გზაზე წაუყვანია..."

„ვცხოვრობდი ერთოთახიან ბინაში, მე, ჩემი ცოლი და შვილი. ერთ ოთახიანში ვისაც უცხოვრია, იმან იცის, რომ მუშაობა გიწევს სამზარეულოში. ასეა დაწერილი „შერეკილები" და ბევრი სხვა ფილმი. იქვე ვხატავდი. სამზარეულოში ეტეოდა მაგიდა დაახლოებით 80X60-ზე. ამიტომ იმ პერიოდის ნახატები ყველა ერთი ზომისაა, მაგიდა ხომ პატარა იყო და თან გვერდზე საღებავების დასადები ადგილიც უნდა დაგრჩენოდა..." რეზო გაბრიაძემ, მიზანდარის სახელოსნოდან წამოსვლის შემდეგ ხატვა სტუდენტობის დროს ისევ დაიწყო. ქართული გარამატიკის კარგად არცოდნის გამო სტიპენდია მოუხსნეს და იძულებული გახდა ქარხნებისთვის კედლის გაზეთები ეხატა. სტუდენტის ნახატები მოსწონდათ და თითო გაზეთში 15 მანეთს უხდიდნენ. ხატვა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა: „ვიდრე რაიმეს წერას დავიწყებდე და წერის დროსაც, ჩვეულებრივ ვიწყებ ხატვას. ეს მეხმარება მუშაობაში. განსაკუთრებით, რომ არ ვწერო და მეტი დრო გავატარო ჩემს ნავსაყუდელში – სახვით ხელოვნებაში. ისეც ყოფილა, პატარა, უმნიშვნელო ნახატს სიუჟეტი სულ სხვა გზაზე წაუყვანია..." ასე დაგროვდა მის არქივში უამრავი ჩანახატი, ესკიზი თუ პორტრეტი... ფილმების წყალობით კი რეზო გაბრიაძის ნაწარმოებებიდან ციტატები ფრთიან ფრაზებად იქცა: „ჩვენს ქალაქში, მაგისთანა დიმიტრია გელოვანი!", „სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი", „მე მივხვდი, რომ ის ის არის და მე მივხვდი, რომ მე ვარ!.." „მთვრალი კი არა, ეგოისტი ვარ მე!" ქართული კინოს მოყვარულებისათვის, ალბათ, ეს ფილმები განსაკუთრებით საყვარელია, თუმცა მათი სცენარების წაკითხვისას უკვე მოსმენილ გენიალურ ფრაზებს კიდევ ბევრი საინტერესო ინფორმაცია ემატება, მაგალითად ის, რომ: მშვენიერი მარგალიტა „რძეში ამოვლებულ მარწყვს" ჰგავს და იმერლები საოცრად მღერიან „უცებ იწივლა მიზანამ, ხმა ზეცას ებრძოდნა, ეჩხუბა, მერე მოეფერა, თავქვე დაეშვა, ნორჩ კანკალა ტოტზე შემოსკუპდა და წაიცეკვა. მერე ხმა ისევ ზევით აფრინდა, ისევ იწყო ცაში ბრუნვა-ტრიალი მტრედივით! ერთაობი მეორეთი მისდევდა მამას."







ეს ნივთი პარტერსა და სცენას შორი კიდია და მაყურებელს ტელეფონის გათიშვას თხოვს

თუ რეზო გაბრიძის სპექტაკლი არ გინახავთ, დადექით მარიონეტების თეატრის წინ ყოველი დღის 12:00 ან 19:00 საათზე, კოშკზე ფანჯარა გაიხსნება, ანგელოზი შუადღის დადგომას გაუწყებთ და თოჯინების წუთნახევრიან სპექტაკლს შემოგთავაზებთ. მე „სრულმეტრაჟიანი" სპექტაკლის ნახვასაც გირჩევდით!..

# როცა მასწავლებელს მოსწავლეების ენა ცუდად ესმის

ავტორი: ქეთი კვიტატიანი



*საქართველოს იმ რეგიონებში, რომლებშიც ძირითადად ან სულ სომხურენოვანი და აზერბაიჯანულენოვანი სკოლებია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2009 წლიდან დამატებითი ანაზღაურებითა და განსაკუთრებული პირობებით ქართულის სპეციალურად გადამზადებულ მასწავლებლებს აგზავნის. ამ უწყებას 2010 წლიდან დაახლოებით იმავე პირობებით ჩამოჰყავს ინგლისურენოვანი ადამიანები ქართულ სკოლებში დასასაქმებლად... რამდენად რთულია მშობლიური ენის სწავლება უცხო გარემოში და როგორი ურთიერთობა აქვთ სხვადასხვა რასის, რელიგიისა და ცხოვრების წესის მქონე მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ერთმანეთთან?..*

ნათია მანია მარნეულის სოფელ სადახლოს მე-2 საჯარო სკოლის ქართული ენის პედაგოგია. პროგრამაში „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ ის 2011 წლიდან ჩაერთო, ქართული ენისა და ლიტერატურის სერტიფიცირებული პედაგოგი საგანმანათლებლო სფეროში მანამდეც მუშაობდა...

**– ნათია, იყავით საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი, ხართ „რა, სად, როდის?“ კლუბის წევრი, რატომ გადაწყვიტეთ სახლიდან შორს, სადახლოს ერთ ჩვეულებრივ არაქართულენოვან სკოლაში ქართული ენის პედაგოგად წასვლა?**

– ამ კითხვაზე პასუხი ძალიან მარტივია: ინტელექტკლუბის წევრებიც მოკვდავი ადამიანები არიან და სჭირდებათ სამუშაო. რაც შეეხება რესურსცენტრის უფროსობას, ამ დროს მე უკვე რამდენიმე წლის განთავისუფლებული ვიყავი რესურსცენტრის უფროსობიდან. ოფიციალურად არსად არ ვმუშაობდი, აბიტურიენტების მეცადინეობით ვირჩენდი თავს. თბილისის რომელიმე სკოლაში მუშაობაზე არც მიფიქრია, რადგან ჩვეულებრივი მასწავლებლის ანაზღაურება იმდენად მცირეა, რომ კეთილსინდისიერ შრომად არ ღირს. ჩვენი პროგრამის – „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა“ – მასწავლებლები ძალიან დატვირთულები არიან, მაგრამ ანაზღაურება ასე თუ ისე ადეკვატური აქვთ. მე რესურსცენტრის უფროსობამდეც მასწავლებელი ვიყავი: ორი წელი ქართულ და ორიც – აზერბაიჯანულ სკოლაში, ასე რომ, ძველ, ნაცად საქმეს დავუბრუნდი.

გარდა ანაზღაურებისა, სხვა ბევრი რამითაც მომწონს ჩემი სამუშაო. ვგრძნობ, რომ სასარგებლო საქმეს ვაკეთებ და ამ ადგილზე ჩემი ცოდნა და გამოცდილება საჭიროა. მოსწავლეები პატივს მცემენ და მაფასებენ, როგორც კარგ სპეციალისტს. მასწავლებლობა არ არის რუტინული და უაზრო შრომა, ბავშვებისა და ქვეყნის მომავალია გარკვეულწილად ჩვენზე დამოკიდებული. სკოლაში მაქვს გარკვეული თავისუფლება – არავის მონა-მორჩილი არა ვარ და ნაკლებად მეხება პოლიტიკა.

## ქართულის არაქართველებისათვის სწავლების მეთოდიკა ახლა იქმნება და ამ პროცესის სათავეებთან ყოფნა ძალიან საინტერესოა.

ძალიან კარგი კოლეგები მყავს, რომლებთანაც მჭიდროდ ვთანამშრომლობ, ვმონაწილეობთ ტრენინგებსა და კონფერენციებში... და ა. შ.

**– რა სირთულეებს აწყდებით სასწავლო პროცესში და როგორი შედეგები გაქვთ?**

– უამრავი სირთულეა, დაწყებული მოსწავლეების სრულიად არათანაბარი დონიდან, დამთავრებული აზერბაიჯანული ენის უცოდინარობით.

მყავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე რამდენიმე მოსწავლე, რომლებისთვისაც არასდროს არავის მიუნიჭებია არანაირი სტატუსი და არ შეუქმნია მათთვის არავითარი სპეციალური პროგრამა. ფაქტობრივად, ამ დროს ვალდებული ხარ, ასეთ მოსწავლეებს სხვებივით ასწავლო და მეტ-ნაკლებად სხვების მსგავსად შეაფასო, რაც შეუძლებელია.

## ძალიან ბევრ (განსაკუთრებით, სოფლის) საჯარო სკოლაში მიუღებელია 5-ზე დაბალი ნიშნის დაწერა, არ აღირიცხება მოსწავლეთა გაცდენები, ყველა მოსწავლე, რა ცოდნისა და უნარების მქონეც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის უპრობლემოდ გადადის კლასიდან კლასში და ამთავრებს სკოლას (თუ ბოლოს საატესტატო გამოცდებმა არ შეუშალა ხელი).

მასწავლებლების, მშობლებისა და ზოგჯერ თავად მოსწავლეებისათვისაც კი უჩვეულოა და ძნელად მისაღები სწავლების ყველა განსხვავებული, “არამამაპაპური” მეთოდი...

ის შედეგი მაქვს, რომ ყველა ამ სირთულის მიუხედავად, არ ვნებდები და მოსწავლეებმა პირველად ჩემს გაკვეთილებზე გაუგეს გემო დამსახურებულ ერთიანებსაც და ათიანებსაც (არც ათიანები არ იწერება ჩვენთან, მასწავლებლებს პასუხისმგებლობისა ეშინიათ).

ყველა ჩემმა მოსწავლემ იცის, რომ გაურჯელად მიზანს ვერ მიაღწევს.

ჩემს გაკვეთილებზე ფაქტობრივად არ ვიყენებ აზერბაიჯანულ ენას. ახალ სიტყვებსა და მასალას ისევ ქართულად ვუხსნი და განვუმარტავ, მოსწავლეთა უმრავლესობას უკვე არ სჭირდება ყველაფრის თარგმნა და დაღეჭვა. ბევრი მოსწავლე ამბობს, რომ მათთვის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საგანი ქართულია.

## მეთორმეტეკლასელმა ლეისანმა, რომელსაც გაკვეთილების შემდეგ ვამეცადინებდი სახლში, საატესტატო გამოცდების მერე ასეთი მესიჯი მომწერა:

## „ჩემი ქულებიდან ყველაზე მაღალი ქართული ენის ქულაა. იმიტომ, რომ ჩემი ქართული ენის მასწავლებელი თქვენ ხართ. ძალიან დიდი მადლობა. მიყვარხართ.“

**– ლეისანის გარდა, სხვა ადგილობრივი მცხოვრებლები როგორ არის თქვენ მიმართ განწყობილი?**

– სხვადასხვანაირად, ძირითადად პატივისცემასა და თბილ დამოკიდებულებას ვგრძნობ. პირველი დღიდანვე ყველა მცნობს ქუჩაში, როგორც ქართველს. მიდიხარ გზაზე და უკან მოგყვება მოძახილივით: გურჯუ, გურჯუ...

მყავს ძალიან თბილი, ტკბილი და საყვარელი დიასახლისი, რომელიც თავს მევლება, სხვათა შორის, არც ქართული იცის და არც რუსული.

სოფელში ბევრგან მპატიჟებენ. ერთ-ერთმა მოსწავლემ, რომელსაც მე არც ვასწავლიდი სკოლაში, ბაქოში დამპატიჟა ერთი კვირით.

ვყოფილვარ აზერბაიჯანულ ქორწილსა და რელიგიურ დღესასწაულზეც, სატირალშიც.

ბევრი მშობელი გამოხატავს მადლიერებას ჩემი შრომის გამო.

ამავე დროს არიან ჩემზე გაბრაზებული მშობლებიც, მაგალითად, ისინი, ვინც შვილებს ნახევარი წელიწადი და ზოგჯერ მეტიც გააცდენინა სკოლაში და როცა ბავშვები, კანონის მიხედვით, შემდეგ კლასში ვერ გადავიდნენ, ძალიან უკმაყოფილონი დარჩნენ. დამმუქრებიან კიდეც და აყალმაყალიც აუტეხიათ.

*პროგრამისათვის „ვასწავლოთ ქართული, როგორც მეორე ენა“ 2009-2013 წლებში გამოცხადებულ კონკურსებში1000-ზე მეტმა პედაგოგმა მიიღო მონაწილეობა, მათგან ტესტირება და გასაუბრება წარმატებით მხოლოდ 92-მა გაიარა. ამჟამად*



*დასაქმებულია 80-მდე მასწავლებელი. ყველა დასაქმებულს აქვს გავლილი შემდეგი ტრენინგები: „ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდიკა“, „ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობა“ და აზერბაიჯანული ან სომხური ენის შემსწავლელ სწრაფი კურსები. მხოლოდ ამის შემდეგ ენიჭებათ მათ ტრენერ-პედაგოგის კვალიფიკაცია და ნაწილდებიან სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლისა და კახეთის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ სოფლებში. ამ სოფლებში მოსახლეობის თითქმის 100% სომეხი ან აზერბაიჯანელია, ქართული მათთვის უცხო ენაა, მოსახლეობის დიდ ნაწილს არც რუსული ესმის. აქედან გამომდინარე, ახალჩასულ მასწავლებელს ელემენტარულ დონეზე მაინც მოეთხოვება ადგილობრივი ენის ცოდნა, რომ ადგილობრივებთან დაამყაროს ურთიერთობა, ჩართოს ღონისძიებებში მშობლები და სხვა მასწავლებლები. პროგრამაში დასაქმებული პედაგოგები, საათობრივი ანაზღაურების გარდა, სახელმწიფო პროგრამიდანაც იღებენ ხელფასს 1000 ლარის ოდენობით.*

*საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2010 წელს დაიწყო ახალი პროექტის – „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ („Teach and Learn with Georgia“) განხორციელება, რომელიც საქართველოში ინგლისური ენის სწავლების განვითარებასა და ხელშეწყობას ითვალისწინებს. პროექტის ფარგლებში სამინისტრო სთავაზობს ნებისმიერ ინგლისურენოვან მოხალისე მასწავლებელს ადგილობრივ ოჯახებში ცხოვრებას, სამედიცინო დაზღვევას, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურებას, ერთი შვებულების ბილეთის ანაზღაურებასა და ყოველთვიურ ხელფასს 500 ლარის ოდენობით.*

ზუგდიდის N3 საჯარო სკოლაში 27 წლის ინგლისელი მუსიკათმცოდნე გრემ ქოლბი 2011 წლიდან მოხალისე პედაგოგად მუშაობს, მანამდე სოფელ ლესიჭინეს სკოლაში ასწავლიდა, მაგრამ ზუგდიდელ გოგონაზე დაოჯახების შემდეგ ქალაქში მოუწია გადასვლა... „მიზეზი, თუ რატომ ავირჩიე საქართველო, ეხება ჩემ მიერ ინტერნეტის საშუალებით საზღვარგარეთ სამსახურის ძებნას. პირველი, რამაც მიმიყვანა ახლოს საქართველოსთან, იყო დროშა. მე შევამჩნიე, რომ ახალი დროშა შეიცავდა წმინდა გიორგის ჯვარს. ამრიგად, დავიწყე კვლევა, რატომ იყო დროშა განსხვავებული იმ დროშებისაგან, რომლებსაც მე ვიცნობდი. ამ კვლევამ დამაინტრიგა და გამიღვივა ინტერესი გამეგო, თუ ცხოვრების როგორი ტიპი ჰქონდა ქართველ ხალხს. სამოგზაურო გზამკვლევებში, რომლებიც შემდეგ წავიკითხე, აღწერდნენ საქართველოს არაჩვეულებრივ პეიზაჟებს, ყველაზე თბილი გულების მქონე ადამიანებს მსოფლიოში და კულტურას, სადაც მეზობლის სიყვარული უფრო მთავარია, ვიდრე ფული.“ – ამბობს გრემი ჩვენთან საუბარში.

**საქართველოში ჩამოსვლამდე გრემ ქოლბი მოხალისედ ინგლისშიც მუშაობდა. მუსიკალური სასწავლებლის დასრულების შემდეგ ეხმარებოდა ადამიანებს, რომლებსაც სურდათ მუსიკოსები გამხდარიყვნენ და საამისოდ არც სახსრები და არც ცოდნა არ გააჩნდათ.** „მე ვეხმარებოდი ახალგაზრდა მუსიკოსებს, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო სკოლა არ ჰქონდათ დამთავრებული. საჭირო იყო მათთვის უნარების განვითარება, რომ მუსიკის კურსის შესასწავლად უნივერსიტეტისაკენ ჰქონოდათ გზა გახსნილი. ეს იყო ძალიან სასარგებლო სამუშაო, რადგან მე გვერდში ვედექი ხალხს, რომლებიც საზოგადოებამ გარიყა და არ მისცა საშუალება მაღალი დონის კვალიფიკაცია მიეღოთ და გაეუმჯობესებინათ თავიანთი დასაქმების შესაძლებლობა.

– **რამდენად კმაყოფილი ხართ პედაგოგიური საქმიანობით, როგორი შედეგები გაქვთ?**

– საქართველოს სკოლებში უკვე 3 წელია ვასწავლი. აქ მუშაობისადმი მე თავიდანვე განსაკუთრებულად დადებითი დამოკიდებულება მქონდა. ეს არის მთავარი მიზანი ნებისმიერ საქმეში, რასაც ვაკეთებ. ამ ქვეყანაში არა მარტო ჩამოვყალიბდი, არამედ მან შეცვალა ჩემი ცხოვრება იმგვარად, რის წარმოდგენასაც ვერასოდეს შევძლებდი. მე შევისწავლე ახალი ენა, შემითვისა ამდენი ადამიანის გულმა, მიმიღეს ახალ ოჯახში მაშინ, როდესაც ვიქორწინე ქართველ გოგონაზე და შევიძინე მოგონებები, რომლებიც ყოველთვის მემახსოვრება. „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ იყო ჩემთვის მეტი, ვიდრე სამუშაო. ვფიქრობ, მაქვს ბევრი დადებითი შედეგიც ამ ხნის განმავლობაში:

- მე ვასწავლე მასწავლებლებს, რომ მათ უფრო მეტი უნდა იმუშაონ სუსტ მოსწავლეებთან;
- მე დავეხმარე მოსწავლეებს გასცნობოდნენ მრავალ მიმართულებასა და კომპონენტს ინგლისური ენის შესწავლისას;
- განვუვითარე მეტყველების უნარი მაღალი კლასების მოსწავლეებს, რომლებსაც ჰქონდათ საგნის მხოლოდ წიგნიერი ცოდნა;
- მე ვიყავი დადებითი მაგალითი ჩემი მოსწავლეებისათვის (თავი დავანებე მოწევას, რომ დამემტკიცებინა ჩემი ერთ-ერთი მოსწავლისათვის – რადგან მე ვეწევი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ კარგი ჩვევაა და ყოველთვის შეიძლება შენში დაძლიო „ცუდი“);
- მე მოვიპოვე ბევრი ადამიანის პატივისცემა: ადგილობრივი მოსახლეობის, მოსწავლეების, მასწავლებლების, დირექტორების, ამ პროექტის ხელმძღვანელების ჩათვლით.

– **როდის აპირებთ სამშობლოში დაბრუნებას, საქართველოში გავლილი პრაქტიკა მოგცემთ იმის საშუალებას, რომ თქვენს სამშობლოშიც სკოლის პედაგოგად დასაქმდეთ?**

– რაც შეეხება ჩემს გეგმებს სახლში დაბრუნების შესახებ, ჯერ არ გადამიწყვეტია. მე ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა და ძალიან მომწონს ეს პროგრამა. ვიმედოვნებ, რომ TLG პროგრამა გაგრძელდება, ამგვარად, მე შემეძლება გავაგრძელო ის სამუშაო, რომელსაც მთელი გულით ვემსახურები. მე აქ ვცხოვრობ, მე სიამოვნებას მანიჭებს ყოველი წამი, რომელსაც სკოლაში მუშაობის დროს ვხარჯავ. ვისურვებდი, სანამ ინგლისში დავბრუნდები, ყოველთვის მქონდეს ის, რაც საქართველომ მე და ჩემს ოჯახს შემოგვთავაზა. ეს გამოცდილება მომცემს საშუალებას დავსაქმდე ინგლისში როგორც მასწავლებელი. თუმცა სანამ დავსაქმდები, მომიწევს რაღაც ეტაპების გავლა, მითუმეტეს, რომ საქართველოში ჩემი ყოფნის პერიოდში სასერტიფიკაციო მოთხოვნები შეიცვალა. ჩემი გამოცდილება გულისხმობს, რომ მე შემიძლია მივმართო სტიპენდიის მოპოვების პროგრამას, რათა დამეხმარონ ვასწავლო დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს.

*ხელშეკრულების პირობების თანახმად, ინგლისურენოვანი პედაგოგები მხოლოდ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს უტარებენ უცხოური ენის გაკვეთილებს (1-6 კლასები). რამდენად გაიუმჯობესეს ქართველმა ბავშვებმა ამ პროექტის დაწყების შემდეგ ინგლისური ენის ცოდნა, საატესტატო და უფრო მეტად ერთიანი ეროვნული გამოცდების დროს გამოჩნდება მომავალში. მანამდე კი ამ პროექტის მიმართ მოსწავლების დამოკიდებულება შეგვიძლია გავიგოთ...*

***გრემ ქოლბის მოსწავლე გიორგი ხორავა:*** „როდესაც ჩემი მასწავლებელი პირველად ჩამოვიდა საქართველოში, ჩემი სასაუბრო ინგლისური ძალიან ღარიბი და მწირი იყო. მიჭირდა კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე და ამის გამო დისკომფორტს განვიცდიდი ხალხთან ურთიერთობისას. საბედნიეროდ, გამოჩნდა ის ადამიანი, რომელიც დამეხმარა შემესწავლა ინგლისური ენა და თავისუფლად მეტყველების შესაძლებლობა მომცა. ის თავისი საქმის პროფესიონალი აღმოჩნდა, საკმაოდ კომუნიკაბელური და მოსწავლეებთან ახლოს მყოფი. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მის მოსწავლეებს ადვილად აეთვისებინათ ეს საერთაშორისო ენა. მე ვთვლი, რომ არა გრემი, დღეს ჩემი ინგლისურის დონე მაღალი არ იქნებოდა. ის ამავდროულად ძალიან მეგობრულიცაა. ყველაფრისათვის მადლოებელი ვარ“.

# სკოლის ავტონომიურობა და ანგარიშვალდებულება

ავტორი: ნათია ანდღულაძე

საქართველოში, მიუხედავად დეკლარირებული დეცენტრალიზაციისა, სასკოლო სისტემა ცენტრალიზებულად იმართება როგორც სკოლის აკადემიური, ისე ფინანსური და ორგანიზაციული ავტონომიურობის ხარჯზე. 2005 წელს სკოლებისათვის მინიჭებულ ორგანიზაციულ (სკოლის დირექტორის დანიშვნა და მოხსნა) და ფინანსურ (ბიუჯეტის დაგეგმვა და განკარგვა) ავტონომიურობას გამოსაცდელად ხანმოკლე პერიოდი ჰქონდა. ამასთან, დეცენტრალიზაციის რეფორმას აკლდა ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი: ანგარიშვალდებულების მექანიზმი სკოლასა და ცენტრს შორის. სწორ კრიტერიუმებზე აგებული ასეთი მექანიზმი გადაწყვეტილების მიმღებ მხარეებს საშუალებას მისცემდა შეეფასებინათ თითოეული სკოლის მიერ მიღწეული შედეგები და ამ შედეგებზე დაყრდნობით აღმოეჩინათ დახმარება სკოლებისათვის. ასეთი მექანიზმების ეფექტიანად ფუნქციონირება დეცენტრალიზებული სისტემის გამართულად მუშაობის აუცილებელი ნაწილია. ამ სტატიაში სწორედ ამ უკანასკნელზე გავამახვილებთ ყურადღებას.

### სკოლის ავტონომიურობა საქართველოში

სკოლის მართვის მოდელი არ არის სასკოლო სისტემის წარმატების გადამწყვეტი ფაქტორი. დასავლეთის განვითარებული და სამხრეთ აზიის წარმატებული საგანმანათლებლო სისტემები მართვის თვალსაზრისით სხვადასხვაგვარად არის მოწყობილი. როგორც ცენტრალიზებული, ისე დეცენტრალიზებული მოწყობის სისტემებში ვხვდებით როგორც ძალიან წარმატებულ, ასევე დაბალი საგანმანათლებლო შედეგების მქონე ქვეყნების მაგალითებს. ფინეთისა და ესპანეთის სკოლები მუნიციპალიტეტების მიერ იმართება, მაგრამ ამ ორი ქვეყნის შედეგები დრამატულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ჰონკონგში სკოლებს გაცილებით მეტი თავისუფლება აქვთ, ვიდრე კანადაში, თუმცა ორივე ქვეყანას მაღალი საგანმანათლებლო შედეგები აქვს.

სისტემის ამა თუ იმ ფორმით მოწყობა დამოკიდებულია ზოგადად ქვეყანაში ინსტიტუციების მოწყობაზე, ქვეყნისა და საგანმანათლებლო სისტემის განვითარების ისტორიაზე, საგანმანათლებლო სისტემის განვითარების დონეზე. სასკოლო სისტემების ნაწილი მკაცრად ცენტრალიზებულია, ნაწილი დეცენტრალიზებულია ტერიტორიული ერთეულების დონეზე, ზოგიერთ ქვეყანაში კი, 90-იანი წლებიდან დაიწყო უშუალოდ სკოლებისათვის უფლებების დელეგირების პროცესი.

სასკოლო სისტემის სკოლის დონეზე დეცენტრალიზაცია სკოლისათვის გადაწყვეტილების მიღების უფლების დელეგირებას და, შესაბამისად, ავტონომიურობის მინიჭებას გულისხმობს. სკოლის ავტონომიურობა შეიძლება გულისხმობდეს სკოლის მართვის ერთი ან რამდენიმე მიმართულებით სკოლისათვის თავისუფლების მინიჭებას. ესენია:

- ორგანიზაციული: მმართველობითი რგოლის არჩევა და განთავისუფლება;
- ფინანსური: ბიუჯეტის დაგეგმვა და ხარჯვა;
- საკადრო: მასწავლებლების და სხვა პერსონალის დანიშვნა, დაწინაურება და განთავისუფლება;
- აკადემიური: მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკაში, სახელმძღვანელოების არჩევაში, საგნების სწავლებისას შინაარსის განსაზღვრაში, სასწავლო საგნების შერჩევაში.

ავტონომიურობა შეიძლება ეხებოდეს ზემოთ



თელავის მე-4 საჯარო სკოლა

ჩამოთვლილთაგან ყველა ან რომელიმე ჯგუფს. მაგალითად, შესაძლოა სკოლა დამოუკიდებელი იყოს ფინანსური და ორგანიზაციული საკითხების გადაჭრისას, მაგრამ შეზღუდული ჰქონდეს აკადემიური თავისუფლება.

ფინანსური, ორგანიზაციული და საკადრო ავტონომიურობის თვალსაზრისით, მაღალი საგანმანათლებლო შედეგების მქონე სისტემებში ვხვდებით როგორც მაღალი ფინანსური, ორგანიზაციული და საკადრო ავტონომიურობის (დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია), ასევე შედარებით დაბალი ავტონომიურობის მქონე ქვეყნებს (ფინეთი), სადაც მასწავლებლების შერჩევაზე სკოლა გადაწყვეტილებას ვერ ახდენს და ბიუჯეტის დაგეგმვაც მუნიციპალიტეტის პრეროგატივაა.

აკადემიური ავტონომიურობა გულისხმობს სკოლების თავისუფლებას მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკაში, სახელმძღვანელოების არჩევაში, საგნების სწავლებისას შინაარსის განსაზღვრაში, სასწავლო საგნების შერჩევაში. ზოგიერთ ქვეყანაში (ჰოლანდია, დიდი ბრიტანეთი) აკადემიური ავტონომიურობა სასკოლო კულტურის განუყოფელი ნაწილია, ზოგან კი აკადემიური ავტონომიურობა სკოლებმა დროთა განმავლობაში მოიპოვეს. მაგალითად, ფინეთში სკოლების აკადემიური ავტონომიურობა მასწავლებელთა კომპეტენციასთან ერთად გაიზარდა.

დეცენტრალიზაციის რეფორმამ საქართველოში სკოლებს მაღალი ფინანსური, ორგანიზაციული და საკადრო ავტონომიურობა მიანიჭა. კანონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, საქართველოში სკოლას თავად შეუძლია ბიუჯეტთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღება, ასევე დირექტორის შერჩევა და მასწავლებლების დანიშვნა და განთავისუფლება. ანუ, თუ რეფორმამდე ასეთ საკითხებზე სამინისტრო ან ადგილობრივი განყოფილებები იღებდნენ გადაწყვეტილებას, დეცენტრალიზაციის რეფორმის შემდეგ ეს გადაწყვეტილებები სკოლას დამოუკიდებლად უნდა მიეღო. თუმცა 2010 წლიდან მოყოლებული გავრცელდა სამინისტროს მიერ სკოლის უფლებამოსილებების უზურპაციის პრაქტიკა. მაგალითად, თუ მანამდე საშტატო განრიგის შეთანხმება ფორმალობა იყო, 2010 წელს საშტატო განრიგის შეთანხმებას თან ახლდა მნიშვნელოვანი კორექტივების შეტანა სამინისტროს მხრიდან. იგივე შეგვიძლია ვთქვათ დირექტორების არჩევაზეც. ზოგიერთ სკოლაში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უხეშად ერეოდა დირექტორის განთავისუფლების საქმეში. საზოგადოებისათვის ცნობილი ერთ-ერთი ინციდენტი თბილისის ერთ სკოლასთან იყო დაკავშირებული, სადაც სამეურვეო საბჭოს წინააღმდეგობის გამო სამინისტრომ ჯერ სამეურვეო საბჭო დაითხოვა და შემდეგ თანამდებობიდან მოხსნა დირექტორი.



სოფელ კარალეთის I საჯარო სკოლა

საქართველოში სკოლის დეცენტრალიზაციის პროცესზე რამდენიმე ფაქტორმა მოახდინა გავლენა. არსებობს მოსაზრება, რომ სკოლებზე კონტროლის გაძლიერებას ხშირად პოლიტიკური მოტივი ედო საფუძვლად. ასევე საფუძვლიანია მოსაზრება, რომ სკოლის შიდა ანგარიშვალდებულების მექანიზმი (სამეურვეო საბჭო) ვერ უზრუნველყოფს სკოლის მართვის სრულფასოვან ფუნქციონირებას. მაგრამ ამ რეფორმის წარუმატებლობის მთავარი მიზეზი სკოლასა და სამინისტროს შორის ანგარიშვალდებულების მექანიზმის არარსებობა იყო: ფაქტობრივად, სამინისტრომ სკოლას გადააბარა თავისი წილი უფლებები, მაგრამ პასუხისმგებლობის შესრულების ხარისხის გასაზომი სწორი ბერკეტები არ შეუქმნია. რადგან საბოლოო შედეგზე ისევ სამინისტრო რჩება პასუხისმგებელი, ეს უკანასკნელი იძულებულია მის ხელთ არსებული ბერკეტი გამოიყენოს კონტროლის შესანარჩუნებლად. ეს ბერკეტი – გენერალური ინსპექცია და სკოლების ავტორიზაცია/აკრედიტაცია – არასწორ პრინციპებს ეყრდნობა და მხოლოდ ტექნიკური საკითხების კონტროლით შემოიფარგლება.

## ავტონომიურობა და ანგარიშვალდებულება: საერთაშორისო გამოცდილება

სკოლის დონეზე დეცენტრალიზება ამართლებს, თუ მართვის სისტემა გამყარებულია ეფექტიანი და სამართლიანი ანგარიშვალდებულების სისტემით. ასევე დეცენტრალიზებულ სისტემაში გასათვალისწინებელია ის, რომ ყველა სასკოლო თემი ერთნაირ პირობებში არ ფუნქციონირებს და ზოგიერთ სკოლას მეტი დახმარება სჭირდება. ანგარიშვალდებულებისა და ავტონომიურობის გონივრული კომბინაცია სისტემის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. როგორც კვლევა გვიჩვენებს, დეცენტრალიზებულ სისტემაში ანგარიშვალდებულების გამართული სისტემა მოსწავლეთა შედეგებზე დადებითად აისახება.


თბილისის 53-ე საჯარო სკოლა

ანგარიშვალდებულების სისტემების დაჯგუფება სამ კატეგორიად შეგვიძლია:

- შედეგებზე ანგარიშვალდებულება,
- რეგულაციური (რესურსებსა და პროცესებზე) ანგარიშვალდებულება და
- საბაზრო ანგარიშვალდებულება.

ბოლო პერიოდში წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემებში ანგარიშვალდებულების სისტემებმა ორი მთავარი ცვლილება განიცადა:

(1) სკოლების ანგარიშვალდებულების სისტემაში ყურადღება განსაკუთრებით მახვილდება შედეგებზე.

(2) რეგულაციებზე (პროცესები და რესურსები) ანგარიშვალდებულების მექანიზმებში წინ წამოიწია სკოლის, განსაკუთრებით კი დაბალი შედეგების მქონე სკოლების, გაუმჯობესების ფუნქციამ.

**შედეგებზე ანგარიშვალდებულების სისტემის ფილოსოფია ონტარიოს (კანადა) პროვინციაში**

ონტარიოს 5 000 სკოლაში დაახლოებით 2 მილიონი მოსწავლე სწავლობს და მათგან ყოველი მეხუთე არაინგლისურენოვანი ემიგრანტია. 2009 წლის მოსწავლეთა საერთაშორისო შეფასებაში (PISA) ონტარიოს პროვინცია მოსწავლეების კითხვის, მათემატიკისა და მეცნიერებების შედეგებით მსოფლიოს სამ ყველაზე მაღალი შედეგების მქონე სისტემას შორის მოხვდა.

2003 წელს ონტარიოს პრემიერი მაკგინტი გახდა. მაკგინტის წინამორბედები კონსერვატორები იყვნენ და მასწავლებლებში უკიდურესად არაპოპულარულები გახდნენ მათ მიერ გატარებული პოლიტიკის გამო: შემოიღეს ერთიანი კურიკულუმი და ეროვნული შეფასებები, მაგრამ შეამცირეს სკოლების ბიუჯეტი, გაანახევრეს პროფესიული განვითარების დრო, გაზარდეს კერძო სკოლების დახმარება. ამ პერიოდში საჯარო სკოლა 55 000 მოსწავლემ დატოვა. სკოლებში ნაკლები ყურადღება ექცეოდა მოსწავლეთა მორალს. ყოველივე ამის გამო ურთიერთობა მასწავლებლებსა და მთავრობას შორის დაიძაბა.

მაკგინტმა განსხვავებული პოლიტიკა გაატარა. ეს პოლიტიკა ემყარება „ჰომო სოციოლოგიკუს“ ხედვას და არა „ჰომო ეკონომიკუს“ ხედვას და უფრო მეტად ეყრდნობა ორგანიზაციულ თეორიებს, ვიდრე ეკონომიკურს. ამ გადასახედიდან ისინი სკოლის პრობლემას უფრო ცოდნის ნაკლებობაში ხედავდნენ, ვიდრე ნების ნაკლებობაში. მათთვის სკოლის შედეგების გაუმჯობესების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო მოტივაცია, ნდობა და პატივისცემა და არა დასჯა და კონკურენცია.

ანგარიშვალდებულების სისტემაში ეს გამოიხატა იმით, რომ ანგარიშვალდებულება არ გულისხმობს სადამსჯელო სანქციებს, ფინანსურ წახალისებას მიღწევებისათვის ან კონკურენციას სკოლებს შორის. ეს არ ნიშნავდა ანგარიშვალდებულების სისტემის მოშლას. მაკგინტი აგრძელებდა სწავლების შედეგებსა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობაზე აქცენტირებას, მაგრამ სისტემას მიზნები და ფორმა შეეცვალა: ისინი გაემიჯნენ სადამსჯელო სანქციებზე მიბმულ ანგარიშვალდებულების სისტემას (ასეთს ვხვდებით აშშ-სა და ბრიტანეთში) და სკოლის შედეგები სკოლის გაუმჯობესებისათვის საჭირო დახმარების შესაფასებლად გამოიყენეს. ამისდა მიხედვით, დაბალი მიღწევების მქონე სკოლები მთავრობისაგან უფრო მეტ მხარდაჭერას მიიღებდნენ სკოლის გასავითარებლად. მისი მმართველობის პერიოდში არსებითად შემცირდა დაბალი შედეგების მქონე სკოლების რაოდენობა. ეს არ მომხდარა მათი დახურვის გზით. მაკგინტმა სკოლებს ექსპერტები დაახვია თავს. ასეთი მიდგომა ეფუძნებოდა იმ რწმენას, რომ სკოლების დაბალი შედეგები გამოწვეული იყო ცოდნის ნაკლებობით და სწორედ სკოლის პერსონალის (ადმინისტრაციისა და მასწავლებლების) კომპეტენციების ამაღლებაზე გადაიტანეს ყურადღება და დანერგეს რამდენიმე ახალი პროგრამა.

*წყარო: OECD, 2010.*


თბილისის 124-ე საჯარო სკოლა


ბათუმის მე-4 საჯარო სკოლა


ბათუმის მე-8 საჯარო სკოლა


სოფელ ტირძნისის საჯარო სკოლა

შედეგებზე ანგარიშვალდებულების მექანიზმი, როგორც წესი, ინსტრუმენტად სტანდარტიზებულ ტესტებს იყენებს. ეს შეიძლება იყოს საატესტატო გამოცდები და/ან საყოველთაო ეროვნული შეფასებები. ანგარიშვალდებულების ეს მექანიზმი გვხვდება ევროპის, სამხრეთ აზიისა და ჩრდილოეთ ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში, მაგრამ მათ სხვადასხვა დანიშნულება აქვთ და განსხვავებულად გამოიყენება და როგორც კვლევები გვიჩვენებს, განსხვავდება მათი სისტემაზე გავლენაც. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით, შედეგებზე ანგარიშვალდებულების სისტემების აგებისას გასათვალისწინებელია შემდეგი შეზღუდვები და რისკები:

(1) ანგარიშვალდებულების მექანიზმი არ უნდა იყოს დაკავშირებული სადამსჯელო სანქციებთან. ექსპლიციტური (დირექტორის მოხსნა, დაფინანსების შემცირება და ა. შ.) ან იმპლიციტური (სკოლის რეპუტაციის შელახვა) სანქციების არსებობის შემთხვევაში, იზრდება ტესტირებაზე მორგებული სწავლის (teaching to the test) წახალისების რისკი. ეს უკანასკნელი კი ავიწროებს სკოლის მიზნებს და ხშირად დაჰყავს ისინი ტესტებში მოცემულ შინაარსზე.

(2) სტანდარტიზებული ტესტები ვერ იქნება სკოლის ანგარიშვალდებულების ერთადერთი ინსტრუმენტი, რადგან ტესტით სკოლის მიერ მისაღწევი მიზნების მხოლოდ ნაწილის გაზომვა ხერხდება და ვერ იზომება მოსწავლის სოციალური და ემოციური განვითარება. როცა სტანდარტიზებულ ტესტებს სკოლის შესაფასებლად ვიყენებთ, ვერ შევაფასებთ სკოლას ისეთი მნიშვნელოვანი


თბილისის 85-ე საჯარო სკოლა


სოფელ მუხაესტატეს საჯარო სკოლა


სოფელ მუხრანის საჯარო სკოლა


სოფელ მენჯის საჯარო სკოლა

კრიტერიუმის მიხედვით, როგორიცაა, მაგალითად, სკოლის კლიმატი: შესაძლოა, სკოლაში მაღალი იყოს მოსწავლეების აკადემიური მოსწრება, მაგრამ დამოკიდებულება მოსწავლეებს შორის, მასწავლებლებს შორის და მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის იყოს უკიდურესად არაკეთილსაიმედო და უარყოფით გავლენას ახდენდეს ბავშვისა და მოზარდის განვითარებაზე, განსაკუთრებით მის სოციალურ და ემოციურ ფუნქციონირებაზე.

(3) ის შედეგი, რომელსაც ეთნიკური უმცირესობებით დაკომპლექტებული სკოლა აღწევს, გამომდინარე მისი მოსწავლეების საჭიროებებიდან და სკოლისათვის ხელმისწავდომი რესურსებიდან, უფრო დაბალი იქნება, ვიდრე იმ სკოლის შედეგი, რომელიც ქალაქის შედარებით შეძლებული ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებს ემსახურება. ამიტომ სამართლიანობისა და შედეგების სწორად გაზომვის მიზნით მოსწავლეების შედეგების შედარებისას უნდა გავითვალისწინოთ ეს მაჩვენებლები და სკოლისათვის ხელმისაწვდომი რესურსები.

გარდა სტანდარტიზებული ტესტებისა, სკოლის შედეგს ზომავენ საფეხურიდან საფეხურზე გადასვლის (მაგალითად, საბაზო საფეხურიდან საშუალოზე გადასვლის) მაჩვენებლით, კლასის გამეორების მაჩვენებლით, მოსწავლეების მიღწევებით სკოლის დატოვების შემდეგ და სხვ.

სკოლის განვითარებაზე მიმართული ინსპექციები: სკოლის ანგარიშვალდებულების კიდევ ერთი მექანიზმი რეგულაციური ანგარიშვალდებულებაა. ბოლო პერიოდში წარმატებულ საგანმანათლებლო სისტემებში ინსპექციებმა სკოლის განვითარების მხარდამჭერი მექანიზმის დატვირთვა შეიძინა. სფეროს ექსპერტები სასკოლო ინსპექციებს ახორციელებენ რისკის მქონე, დაბალი შედეგების ან გასაუმჯობესებელი სკოლებისათვის. ზოგიერთ სისტემაში (ჰოლანდია, ინგლისი) მაღალი შედეგების მქონე სკოლებს ინსპექცია ეხება მხოლოდ გეგმიურად, რათა რესურსების კონცენტრირება უფრო სუსტ სკოლებზე მოხდეს. რისკის შეფასებისას იყენებენ მოსწავლეთა მიღწევების (ეროვნული გამოცდები და ეროვნული შეფასებები) შედეგებს; ასევე შეიძლება იქნეს გამოყენებული მშობლების მიერ შეტანილი საჩივრები ან მედიაში გავრცელებული ინფორმაცია. ჰოლანდიაში სკოლის ინსპექცია ორი მიმართულებით ხორციელდება: რეგულაციების დაცვის შეფასება და სკოლის ხარისხი. რეგულაციების დაცვის შეფასებისას, როგორც წესი, არ მოიცავენ რეგულირების ყველა ასპექტს. ყოველწლიურად შემოწმების ფოკუსში შეიძლება მოხვდეს რამდენიმე ასპექტი.

**სკოლების ინსპექცია ჰოლანდიაში**

ჰოლანდიაში სკოლების ინსპექციის სამსახური სკოლებს ორი მთავარი მიმართულებით აფასებს. ესენია:

I. ნორმატიული მონიტორინგი: სკოლის საქმიანობის შესაბამისობა ნორმატიულ წესებსა და ფინანსურ მდგრადობასთან. ინსპექციის ეს ტიპი ყველა სკოლას ყოველწლიურად ეხება. თუმცა ყველა ნორმატიული წესის შესრულება არ მოწმდება: ყოველ წელს განათლების ინსპექცია ახალ პრიორიტეტებს განსაზღვრავს. ნორმატიული წესებიდან წლის პრიორიტეტად არჩევენ იმ რეგულაციებს, რომლებსაც ხშირად არღვევენ, ან რომელთა დარღვევის შედეგი ყველაზე დრამატულია. რაც შეეხება ფინანსების შემოწმებას, განათლების ინსპექციის სამსახური შემთხვევითი შერჩევის წესით ამოწმებს სკოლებში სკოლის ბუღალტრების მუშაობის ხარისხს. გარდა ამისა, რისკების ანალიზმა შესაძლოა გამოააშკარავოს ფინანსური მდგრადობის ან ფინანსური გადაწყვეტილებების სამართლებრივი პრობლემები. ასეთ შემთხვევაში სკოლა გადის ფინანსური ანალიზის უფრო ინტენსიურ ფორმასაც. თუ სკოლაში აღმოჩნდება მნიშვნელოვანი დარღვევები, სკოლა ექვემდებარება განათლების, კულტურისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან სანქციას. სანქციის უკიდურესი ფორმა სკოლის ბიუჯეტის შემცირებაა.

II. ხარისხის ინსპექცია სკოლას ეხება იმ შემთხვევაში, თუ პირველადი შეფასების ეტაპზე (სკოლის მოსწავლეების შედეგების ანალიზი) სკოლა აღმოჩნდება პრობლემური. ამ კატეგორიაში მოხვედრა, როგორც წესი, დამოკიდებულია ეროვნული შეფასების შედეგებზე, მაგრამ ხარისხის ინსპექციის მიზეზი შეიძლება გახდეს მშობლების საჩივარიც. სკოლის ხარისხის შეფასებას ახორციელებენ სამინისტროს ექსპერტები. შეფასება მიმდინარეობს შემდეგი მიმართულებებით:

1. მოსწავლეთა შედეგები შეესაბამება მოსწავლეთა პოპულაციის მახასიათებლებს.
2. სასწავლო გეგმა ამზადებს ბავშვს მომავალი განათლებისა და საზოგადოებაში ჩართულობისათვის.
3. მასწავლებლები საკმარის დროს უთმობენ მოსწავლეებს სასწავლო გეგმის ასათვისებლად.
4. სკოლის კლიმატი არის უსაფრთხო და ურთიერთობა ემყარება ურთიერთპატივისცემას.
5. მასწავლებლები მოსწავლეებს ყველაფერს ნათლად უხსნიან, ეფექტურად აქვთ ორგანიზებული სასწავლო აქტივობები და მოსწავლეები ჩართული ჰყავთ ამ აქტივობებში.
6. განვითარებაში განსხვავებების გათვალისწინებით მასწავლებლები ცვლიან სასწავლო გეგმას, სწავლების მეთოდებს და საგნის სწავლებისა და სწავლისათვის გამოყოფილ დროს.
7. მასწავლებელი სისტემატურ მონიტორინგს უწევს მოსწავლის პროგრესს.
8. სკოლა ეხმარება მოსწავლეს განვითარდეს მისი შესაძლებლობების მიხედვით.
9. საჭიროების შემთხვევაში სკოლა მოსწავლეს უწევს დამატებით დამხარებას და ზრუნავს მასზე.
10. სკოლას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა.

ამ ორი მიმართულებით ყველა სკოლა ფასდება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, მაგრამ შედეგების მონიტორინგი ყოვეწლიურად მიმდინარეობს. მონიტორინგში იგულისხმება ეროვნული გამოცდებისა და ეროვნული შეფასებების შედეგები და სკოლის ანგარიში. ამ ინფორმაციის შეჯერების შედეგად განათლების ინსპექცია ადგენს სკოლის რისკიანობას. თუ სკოლის შედეგები დაბალია, სკოლას უწევს დამატებითი ინსპექცია. დამატებითი ინსპექცია ითვალისწინებს ხარისხის ინსპექციას და სკოლის ფინანსურ და სამართლებრივ ინსპექციას. ამ დროს რამდენიმე ექსპერტი მუშაობს სკოლის მენეჯმენტთან და სკოლის საბჭოსთან ერთად სკოლაში არსებული პრობლემების შესაფასებლად. ექსპერტების დასკვნისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით სკოლამ უნდა შეიმუშაოს სკოლის გაუმჯობესების გეგმა.

*წყარო: ჰოლანდიის განათლების ინსპექცია.*

## ავტონომიურობა, ანგარიშვალდებულება და მხარდაჭერა: რეკომენდაციები

**რეკომენდაცია I.** სკოლის ფინანსური და ორგანიზაციული ავტონომიურობის უზრუნველყოფა და მასწავლებლების კომპეტენციის ზრდასთან ერთად აკადემიური ავტონომიურობის გაზრდა. აკადემიური ავტონომიურობის ზრდა შესაძლოა სხვადასხვა გრაფიკით განხორციელდეს სკოლებისათვის ისე, რომ მაღალი შედეგების მქონე სკოლებს მაღალი ავტონომიურობა მიენიჭოთ. ეს მიდგომა დაბალი შედეგების მქონე სკოლებისათვის მეტი რესურსის გამოთავისუფლების საშუალებას მოგვცემს.

**რეკომენდაცია II.** შედეგებზე ანგარიშვალდებულების სისტემის შექმნა. შედეგებზე ანგარიშვალდებულების შემოთავაზებული სისტემა რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება: მოსწავლეთა მიღწევების შეფასება და მოსწავლეთა ჩართულობის სტატისტიკა.

- მოსწავლეთა მიღწევების შეფასება. მოსწავლეთა მიღწევების შეფასების ორი ბერკეტი არსებობს: (1) ეროვნული შეფასებები, საქართველოს ყველა სკოლა მონაწილეობს ეროვნულ შეფასებაში, რომელსაც სკოლების მხარდაჭერის ფუნქცია აქვს და (2) საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდები; სკოლა ფასდება საატესტატო და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მისი მოსწავლეების მიღწევებით.
- მოსწავლეთა ჩართულობის სტატისტიკა. სკოლა უნდა შეფასდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად უზრუნველყოფს იგი მოსწავლეების ჩართვას საგანმანათლებლო სისტემაში. შესაძლოა, მე-10 კლასის მოსწავლეებს მაღალი შედეგები ჰქონდეთ, მაგრამ ამას სკოლა ახერხებდეს რისკის შემცველი მოსწავლეების კლასში დატოვების ან სკოლიდან გარიცხვის ხარჯზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის ხელმისაწვდომი იყოს თითოეულ სკოლაში კლასის გამეორებისა და სკოლის მიტოვების სტატისტიკა, რათა მისი გათვალისწინება მოხდეს სკოლის შეფასებისას.

შედეგებზე ანგარიშვალდებულების სისტემა შემდეგ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს:

(1) საყოველთაო ეროვნული შეფასება ეყრდნობა ეროვნულ სასწავლო გეგმას და მოსწავლის მიღწევებს ადარებს დაწესებულ სტანდარტს.

(2) საყოველთაო ეროვნული შეფასება არ ახდენს გავლენას საფეხურიდან საფეხურზე მოსწავლის დაწინაურებაზე ან საგანმანათლებლო მიმართულების არჩევაზე. იგი ემსახურება სკოლისა და შუალედური რგოლისათვის სკოლის მდგომარეობის შეფასებისა და გაუმჯობესების გზების დასახვას.

(3) საყოველთაო ეროვნული შეფასების შედეგებზე წვდომა აქვთ მხოლოდ მათ, ვისაც ეს სჭირდება სწავლა-სწავლების შედეგების გასაუმჯობესებლად. კერძოდ:

- თითოეული მოსწავლის შედეგზე წვდომა აქვს მშობელს ან მეურვეს, მასწავლებელსა და სკოლის ადმინისტრაციას.
- საკუთარი სკოლის შედეგებზე წვდომა აქვს სკოლას (მასწავლებლებს, ადმინისტრაციასა და სამეურვეო საბჭოს), შუალედურ მმართველობით რგოლსა და სამინისტროს. სკოლას მიეწოდება სტატისტიკური ინფორმაცია, რომლის საშუალებითაც შეუძლია შეადაროს თავისი მონაცემები მსგავსი სკოლების (მაგალითად, ტერიტორიულ ერთეულში შემავალი სკოლების, კერძო სკოლების) საშუალო მაჩვენებელს მათი იდენტიფიცირების გარეშე, ასევე ქვეყნის საშუალო მაჩვენებელს. ანგარიშვალდებულების ეს ფორმა (საბაზრო ანგარიშვალდებულება) რამდენიმე ქვეყანაშია დანერგილი და ამ გზით ზრდიან სკოლის ანგარიშვალდებულებას საზოგადოების წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მშობელს სწორი არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს და ხელს უწყობს სკოლების ბუნებრივ ოპტიმიზაციას, იგი შეიცავს რისკს, რომ სკოლა დაიწყებს ტესტებისათვის მომზადებას და ამით დაავიწროვებს სწავლებისა და სწავლის შინაარსს.

(4) შედეგებზე ანგარიშვალდებულების სისტემა განუყოფელია სკოლის მხარდაჭერის სისტემისაგან. სკოლის შეფასების დანიშნულებაა სკოლის

გაუმჯობესების გზების დასახვა და სკოლისათვის აღმოსაჩენი დახმარების მიმართულების, ფორმისა და მასშტაბის განსაზღვრა.

(5) (სკოლის შეფასების შედეგების გამოყენება სკოლის ადმინისტრაციის, სამეურვეო საბჭოს ან სკოლის მასწავლებლების სადამსჯელო სანქციების დაწესებაში დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. მაგალითად, ასეთ სანქციას შეიძლება ექვემდებარებოდეს სკოლა იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩენილი დახმარების მიუხედავად, მისი შედეგები არ გაუმჯობესდა დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთის განმავლობაში.

**რეკომენდაცია III.** სკოლების მხარდაჭერის სისტემა სკოლების გაძლიერება შუალედური რგოლების საშუალებით. ეს შუალედური რგოლებია: ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი და რესურსცენტრები. ეს პროცესი რამდენიმე ეტაპად უნდა წარიმართოს:

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ეროვნული შეფასებების, ეროვნული გამოცდებისა და მოსწავლეების ჩართულობის მონაცემების შედეგების გათვალისწინებით ახდენს სკოლების კატეგორიზაციას ინტერვენციის საჭიროების მიხედვით. სკოლები, რომელთა მიღწევები მნიშვნელოვნად დაბალია, მაღალი პრიორიტეტის სკოლები ხდება. ძალიან მაღალი შედეგების მქონე სკოლები (სკოლები, რომლებსაც აქვთ მაღალი შედეგები როგორც ეროვნული შეფასების, ისე მოსწავლეთა ჩართულობისა და ეროვნული გამოცდების მიხედვით) ინტერვენციას არ ექვემდებარებიან.
- სკოლის ლოკალური შეფასება: ინტერვენციის საჭიროების მქონე სკოლებში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ექსპერტები და რესურსცენტრების თანამშრომლები აწარმოებენ პროცესების (ასევე რესურსების) შეფასებას. შეფასება ხორციელდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების, სკოლის პერსონალთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან ინტერვიუებისა და სკოლის დოკუმენტაციის შემოწმების გზით.
- სკოლის თემთან ერთად მუშაობა სკოლის გაუმჯობესების გეგმაზე: ექსპერტთა ჯგუფი რესურსცენტრის თანამშრომლებთან ერთად აცნობს სკოლის თემს სკოლის შედეგებს და სკოლის ლოკალური შეფასების დასკვნებს; მსჯელობენ სკოლის გაუმჯობესების გზებზე. თუ სკოლის შედეგები ძალიან დაბალია, სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად შეიმუშავებენ სკოლის განვითარების გეგმას. თუ სკოლას აქვს საკმარისი კომპეტენცია გეგმის შესამუშავებლად, ექსპერტთა ჯგუფი შემოიფარგლება რეკომენდაციებით და სკოლის განვითარების გეგმას შეიმუშავებს სკოლა შემდგომი განხილვისათვის. ექსპერტთა ჯგუფი მულტიდარგობრივი ჯგუფია და თითოეულ ექსპერტს აქვს მაღალი კომპეტენცია სკოლის ფუნქციონირების ერთი რომელიმე მიმართულებით (სწავლა-სწავლება და შეფასება, ფინანსების მართვა, ორგანიზაციის მართვა). თითოეული მათგანი მუშაობს თავისი კომპეტენციის ფარგლებში და სკოლის საჭიროებიდან და მოთხოვნიდან გამომდინარე ეხმარება სკოლის ადმინისტრაციას, სამეურვეო საბჭოსა და მასწავლებლებს პრაქტიკის გაუმჯობესების გზების დასახვაში.

ზოგიერთ ქვეყანაში, შეფასების შედეგებიდან გამომდინარე, სკოლას დამატებითი ტექნიკური (ექსპერტები) და ფინანსური რესურსები გამოეყოფა. საქართველოში დამატებითი დახმარება შეიძლება განხორციელდეს არსებული მიზნობრივი პროგრამებიდან, როგორებიცაა: ასწავლე საქართველოსთვის, ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად, ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა. თუმცა ეს პროგრამები ვერ ფარავს მთელ საქართველოს, რაც ახალი, მიზნობრივი პროგრამების დაგეგმვისა და იმპლიმენტაციის საჭიროებაზე მიუთითებს.

**წყაროები:**

*OECD (2011b) PISA 2009 Results: What Makes a School Successful? RESOURCES, POLICIES AND PRACTICES.VOLUME IVhttp://www.oecd.org/pisa/pisaproducts/48852721.pdf*

*ჰოლანდიის განათლების ინსპეცია. განათლების სფეროს ინსპექცია ჰოლანდიაში. http://www.onderwijsinspectie.nl/binaries/content/assets/Documents+algemeen/2012/update-blue-book- 2010-11_netherlands-inspectorate-1march2012.pdf [13/09/2013]*

achieve more®
SAT®
Authorised Center

„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი"
ადმინისტრირებას უწევს SAT – ის
საერთაშორისო გამოცდას

• SAT ყველაზე ფართოდ გამოყენებული ტესტია უნივერსიტეტებში და კოლეჯებში ჩასარიცხად;

• ამოწმებს აპლიკანტის აკადემიურ მზადყოფნას უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გასაგრძელებლად;

• ტესტი გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებისათვის.

# თუ უფრო მეტის გაკეთება შეგიძლიათ, ვიდრე ამას სასწავლო ოლიმპიადაზე მოითხოვენ...

ავტორი: ქეთი კვიტატიანი



*2013 წლის ერთ-ერთი საუკეთესო გამომგონებელი მოსწავლე – ნიკა ალავიძე.*

ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის ძირითადი მიზანი ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა და სასწავლო პროცესის სტიმულირებაა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2009 წლიდან ოლიმპიადები სისტემატურად ტარდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ყველა სავალდებულო საგანში. სასკოლო ოლიმპიადას ქართული ზოგადსაგანმანათლებლო სექტორი დიდი სიხარულით შეხვდა და პირველივე წელს მასში საქართველოს სკოლების 95% ჩაერთო.  განსაკუთრებული სტიმული აღმოჩნდა ის, რომ გამარჯვებული მოსწავლეები საერთაშორისო ოლიმპიადებში მონაწილეობის მისაღებად გაემგზავრნენ...

იმ მოსწავლეებისათვის კი, რომლებიც არა მხოლოდ სასკოლო მასალის ცოდნით, არამედ გამომგონებლური ნიჭითაც გამოირჩევიან, მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ იმართება. ის პირველად 2011 წლის გაზაფხულზე  ჩატარდა და რეგისტრაცია 400-ზე მეტმა მოსწავლემ გაიარა. 2011 წლის შემოდგომაზე კონკურსმა საერთაშორისო მასშტაბი მიიღო. მასში საქართველოს მოსწავლეებთან ერთად სხვა ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 18 წლამდე მოზარდებიც ჩაერთვნენ. გამოვლინდა 4 საუკეთესო და 10-მდე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებული პროექტის ავტორი.

კონკურსს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი ყოველწლიურად აცხადებს. მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერი ასაკის მოსწავლეს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად. საკონკურსო განცხადი უნდა შეიცავდეს გამოგონების ტექსტურ აღწერილობასა და ილუსტრაციას ნახაზის, მოდელის ან მაკეტის სახით. კონკურსის მიზნებისთვის გამოგონებად ჩაითვლება იმ ტექნიკური პრობლემის ახლებური გადაწყვეტის იდეაც, რომელიც შეიძლება ეხებოდეს პროდუქტის მიღების ტექნოლოგიას.

ნიკა ალავიძე ის ერთ-ერთია, ვინც „ლეონარდო და ვინჩის“ უმაღლესი ჯილდო, გრანპრი მოიპოვა. ნიკა XI კლასშია და ქუთაისის ანდრია რაზმაძის სახელობის №41 ფიზიკა-მათემატიკურ საჯარო სკოლაში სწავლობს. მომავალში სწავლის გაგრძელებას ინჟინერიის კუთხით აპირებს. კონკრეტულად სად ჩააბარებს, ჯერ არ იცის. წელს 2 საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა და შემეცნებითი ტურებით ლონდონსა და ლოს-ანჟელესში გაემგზავრა. 17 წლის ნიკა სხვა ბევრი კონკურსის გამარჯვებულიცაა.

*„რამდენჯერმე გავიმარჯვე როგორც გუნდის კაპიტანმა შემეცნებით კონკურში „ერუდიტი“. 2012 წელს iy-ipo-ს რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე დავიკავე მეორე ადგილი დავით გრიგალაშვილთან ერთად პროექტით „ენერგოეკონომიური მადუღარა“. 2012 წელს კონკურსის „ლეონარდო და ვინჩი“ მეორე ეტაპზე მონაწილეობისათვის მივიღე პრიზი ლეპტოპი და დიპლომი პროექტისათვის „წყალქვეშ სუნთქვის აპარატი“. 2013 წელს iyipo-ს მეცხრე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე დავიკავე პირველი ადგილი და ამავე ოლიმპიადის დასკვნით საერთაშრისო ეტაპზე მივიღე ოქროს მედალი პროექტისათვის „აქტიური ჯავშანჟილეტი“. 2013 წელს Google-ის გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე მონაწილეობისათვის მივიღე სერტიფიკატი. 2013 წელს ღონისძიებაში „განახლებადი ენერგიიისა და ენერგოეფექტურობის პროექტები საქართველოს თემებისათვის“ გავხდი მეორე ადგილის მფლობელი და ნომინაციაში „საუკეთესო პრეზენტაცია“ დარბაზისა და ჟიურის რჩეული – პროექტით „ენერგო ეკონომიური მადუღარა“. 2013 წელს ქუთაისის მერიისაგან მივიღე წარჩინების სიგელი მიღწეული წარმატებისათვის. 2013 წელს კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ ავიღე გრანპრი (შემეცნებითი ტური ბრიტანეთში) დავით ჩხეიძესთან ერთად პროექტით „აქტიური ფილტრი“ და სიგელი პროექტისათვის „კვერცხის ნაჭუჭზე მიკრო ბზარების აღმომჩენი აპარატი“. ამავდროულად გავხდით INTEL ISEF-ის ფინალისტები და მაისში გავემგზავრებით ლოს-ანჟელესში.“*

**– ნიკა, შენს ასაკობრივ ჯგუფში შენ საქართველოს 2013 წლის ერთ-ერთ საუკეთესო გამომგონებლად დასახელდი. რა ჰქვია შენს გამოგონებას და რა სამეცნიერო ღირებულებებით გამოირჩევა ის?**

– გამოგონება, რომლითაც მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურს „ლეონარდო და ვინჩი 2013“ წლის გრანპრის მფლობელი გავხდი დავით ჩხეიძესთან ერთად, იყო „აქტიური ფილტრი“. ოცდამეერთე საუკუნის ყველაზე დიდ გამოწვევას ატმოსფეროს დაბინძურება წარმოადგენს, რაც ხელს უწყობს გლობალურ დათბობასა და გლობალური კლიმატის შეცვლას. აღნიშნულ პრობლემასთან ბრძოლას კაცობრიობა დიდი ხანია ცდილობს, თუმცა ეს ბრძოლა დიდ შედეგს არ იღებს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, რომელიც ყოველწლიურად ასიათასობით დოლარს ხარჯავს ფილტრებისათვის, თუმცა ხელშესახები შედეგი არ ჩანს. ჩვენი აზრით, მთავარ პრობლემას წარმოადგენს



შემდეგი გარემოება: როგორც წესი, გამონაბოლქვი აირების გასაწმენდად გამოყენებულია ქსოვილის ფილტრები, რომლებიც კარგად იჭერენ აირში შერეულ მსხვილ ნაწილაკებს და უძლურნი არიან მიკროსკოპული ნაწილაკების წინაშე. აქედან გამომდინარე, უაღრესად აქტუალურია ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც არ გაატარებს ატმოსფეროში მცირე ზომის ნაწილაკებს. ჩვენ მოვიფიქრეთ საკმაოდ მარტივი და ენერგოეფექტური მოწყობილობა, რომლის დახმარებითაც ეს პრობლემა გადაწყდა. ჩვენ მიერ შექმნილ აქტიურ ფილტრს შეუძლია მინიმუმ ორჯერ მცირე ნაწილაკების დაჭერა, ვიდრე ამჟამად მოქმედ ნებისმიერ ფილტრს. პროექტის ვიზუალური დემონსტრირებისათვის ჩვენ კონკურსში წარმოვადგინეთ მცირე გამოგონების მოდელი და კომპიუტერული ანიმაცია, უფრო დეტალურად საუბარი არ შემიძლია, რადგან ჯერ გამოგონება დაპატენტებული არ არის.

**– კონკურსში „ლეონარდო და ვინჩი“ შენ 2 პროექტით მონაწილეობდი. მეორემაც ჟიურის დიდი სიმპატია დაიმსახურა...**

– პროექტს ერქვა „კვერცხის ნაჭუჭზე მიკრო ბზარების აღმომჩენი აპარატი“ – კვერცხის წარმოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია გაბზარული კვერცხის აღმოჩენა, რაც აუცილებელია პროდუქტის ვარგისიანობის ვადის დასადგენად. იმისათვის, რომ კვერცხმა წარმოების ეს ეტაპი გაიაროს, საჭიროა დეტექტორი, რომელიც დააფიქსირებს გაბზარულ კვერცხს. თანამდეროვე კონვეიერებში კი ამ ფუნქციას ასრულებს ადამიანი. მაგრამ მიკრობზარების აღმოჩენა არც ისე მარტივია, რადგანაც შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს, შესაბამისად,  აუცილებელია შეიქმნას ისეთი მოწყობილობა, რომელიც შეცვლის ადამიანს და უტყუარად აღმოაჩენს ნებისმიერ მიკრობზარს. მე აღმოვაჩინე მეთოდი, რომელიც ასევე არ არის ჯერ დაპატენტებული და, სამწუხაროდ, დეტალურად მასზეც ვერ ვისაუბრებ.



**– როგორ გახდი გამომგონებელი?**

– **ჩემს წარმატებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩემს სკოლაში არსებული „ახალგაზრდა გამომგონებელთა კლუბი“**, რომელსაც პროფესორი მიხეილ კოტიშაძე ხელმძღვანელობს. ასაკის მიუხედავად, საკმაოდ რთულ საგამომგონებლო ამოცანებზე ვმუშაობთ და წარმატებითაც ვწყვეტთ, ამის ნათელი მაგალითია ჩვენი კლუბის წარმატებები როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიმპიადებზე. წარმატებას კი ვაღწევთ საგამოგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორიის დახმარებით, რომელსაც კლუბში ბატონი მიხეილი გვასწავლის. ეს თეორია შექმნა მეცნიერმა და გამომგონებელმა ჰენრიხ ალტშულერმა. მოხარული ვიქნები, რომ ის სხვა სკოლებშიც ისწავლებოდეს, რათა ჩემს თანატოლებს ჩამოუყალიბდეთ სწორი აზროვნება და ჰქონდეთ საშუალება განავითარონ საქართველო გამოგონებლობის განხრით. ამ თეორიის საშუალებით მე მომეცა შესაძლებლობა მიმეღწია ჩემი მიზნისათვის – შემექმნა ახალი. რაც შეეხება კონკრეტულად ამ გამოგონებას, ჩვენ წესად გვაქვს, დავსვათ პრობლემა კლუბში და შემდეგ ყველა წევრმა იფიქროს მის გადაწყვეტაზე. ამოცანა დაისვა მასწავლებლის მიერ და მისი ამოხსნა მოხერხდა საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორიაში მოცემული მეთოდიკის გამოყენებით.

**– როდის აპირებ შენი გამოგონებების დაპატენტებას და მათ შეთავაზებას რომელიმე ორგანიზაციისათვის?**

– უახლოეს მომავალში აუცილებლად ვაპირებთ გამოგონებების დაპატენტებას. ხოლო ამის შემდგომ მათ შევთავაზებთ ქარხნებს, მუზეუმებს, საავადმყოფოებსა და ჰაერის გაწმენდით დაინტერესებულ საწარმოებს.

**– ნიკა, გამომგონებლობის კუთხით სხვა გეგმები თუ გაქვს?**

– მიუხედავად იმისა, რომ სკოლას ერთ წელიწადში ვამთავრებ და კლუბისათვის ხშირად ვეღარ მოვიცლი, ყოველდღიურად შევეცდები შევქმნა რაიმე ახალი და საინტერესო ჩემს თანამოაზრეებთან ერთად და წვლილი შევიტანო საქართველოს განვითარებაში.

**„ახალგაზრდა გამომგონებელთა კლუბის“ ხელმძღვანელი, პროფესორი მიხეილ კოტიშაძე:** „კლუბი პირველად ჩამოყალიბდა 2006 წელს ქუთაისის მე-18 საჯარო სკოლაში. მანამდე კი არსებობდა სტუდენტთა საგამომგონებლო წრე ქუთაისის ტექნიკურ უნივერსიტეტში. სწორედ ამ წრის მუშაობის მეთოდიკის გაცნობის შემდეგ მთხოვა დაჟინებით პროფესორმა ნოდარ ვალიშვილმა ბავშვებისათვის მესწავლებინა საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორია, რომელსაც 1980 წლიდან ვსწავლობ და მიმაჩნია ძლიერი აზროვნების ჩამოსაყალიბებელი მეთოდიკის საუკეთესო ნიმუშად. შემდგომში კლუბის მუშაობაში ჩაერთო „SOS ბავშვთა სოფელი ქუთაისი“ და 41-ე საჯარო სკოლა. კლუბში მოსწავლეთა რაოდენობა იცვლება 3-დან 10 მოსწავლემდე, რადგანაც, მეთოდიკის თავისებურებიდან გამომდინარე, აუცილებელია თითოეულ მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობა. კლუბში მიღების დროს არავითარი კრიტერიუმი (წარმატებები და მაღალი შეფასებები სხვა საგნებში, გამარჯვებები სასკოლო ოლიმპიადებში) არ არსებობს. მთავარია, მოსწავლეს უნდოდეს გახდეს გამომგონებელი! ჩვენი კლუბის არსებითი განსხვავება სხვა კლუბებისა თუ წრეებისაგან ის არის, რომ ჩვენ მეთოდურად ვასწავლით ახალი იდეების შექმნას და არა კონკრეტულ პროექტებზე მუშაობას.

**– ბ-ნო მიხეილ, როგორ იქმნება თქვენს კლუბში სამეცნიერო გამოგონებები?**

– **საქართველოსა და მრავალი ქვეყნის განათლების სისტემების არსებითი ნაკლია ის, რომ მომავალ ინჟინრებს, ფიზიკოსებს, ქიმიკოსებსა და სხვებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად დასვან და გადაწყვიტონ პრინციპულად ახალი ამოცანები გამოგონების დონეზე. თანაც არა იმიტომ, რომ „უნიჭოები“ არიან, არამედ იმიტომ, რომ მათ ამას არავინ, არსად, არც სკოლაში, არც უმაღლეს სასწავლებელში არ ასწავლის. არადა ისეთი მცირერიცხოვანი სახელმწიფოს განვითარება, როგორიც საქართველოა, სწორედ ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარებაზეა დამოკიდებული.** სწორედ ახალი იდეების, გამოგონების წარმოშობის მეთოდიკის სწავლებით იქმნება ჩვენს კლუბში გამოგონებები. ერთ-ერთი წევრი (ხელმძღვანელი ან მოსწავლე) სვამს ამოცანას კლუბის წევრების წინაშე და მიმდინარეობს მისი ამოხსნა ზემოთ ნახსენები თეორიის მიხედვით. როგორც წესი, ვიღებთ ძალიან ძლიერ ამოხსნას. სწორედ ამ მეთოდიკის ეფექტიანობაზე მეტყველებს შვიდი წლის განმავლობაში ჩვენი კლუბის წევრების მიერ მიღებული ჯილდოები (ახალგაზრდა გამომგონებელთა საერთაშორისო ოლიპიადებზე 3 ოქროს, 3 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი), 2 პატენტი და 2 პუბლიკაცია სამეცნიერო კონფერენციაზე.

**– რას გვეტყვით ნიკა ალავიძისა და დავით ჩხეიძის შესახებ, წელს მათმა გამოგონებამ გრანპრი მოიპოვა...**

– ნიკა ალავიძე მე-3, ხოლო დავით ჩხეიძე – მე-2 წელია კლუბის წევრები არიან. მათ უკვე მრავალი პრიზი, მედალი და ფულადი ჯილდო აქვთ მიღებული. არც ერთი მათგანი განსაკუთრებით გამორჩეული არც ერთ სხვა საგანში არ ყოფილა, ანუ ისინი არ მიეკუთვნებიან ე. წ. „განსაკუთრებით ნიჭიერ“ ბავშვებს. მაგრამ მათი გამორჩეული თვისებაა დიდი ინტერესი და შრომისმოყვარეობა. სწორედ ინტერესს და შრომას და არა ნიჭს მოაქვს წარმატება, ხოლო დაინტერესება მასწავლებლის საქმეა. მეტიც, ვფიქრობ, რომ ტერმინი „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვი“ ან „ნიჭიერი ბავშვი“ საერთოდ უნდა ამოვიღოთ პედაგოგიური პრაქტიკიდან როგორც დისკრიმინაციული, სხვა („უნიჭო“) ბავშვებთან მიმართებაში და ნიჭის მაგივრად ხაზი გავუსვათ შრომის შედეგად მიღწეულ წარმატებებს. უნდა გვახსოვდეს, რომ „ტალანტი ნორმაა, უტალანტობა კი ცუდი აღზრდის ბრალია“. **კლუბის ამჟამინდელ წევრებს შორის განსაკუთრებით გამოვყოფ ნიკა ალავიძეს, რომელმაც ამ ორ წელიწადში უზარმაზარი მასალა გადაამუშავა ჩემი მითითებით და წარმატებებიც სახეზეა.** ვფიქრობ, რომ ისინი, ისე, როგორც კლუბის ნებისმიერი წევრი, კლუბიდან წასვლის შემდეგაც არასოდეს შეწყვეტენ ფიქრს ახლის შექმნაზე და რა სპეციალობაც უნდა აირჩიონ მომავალში საქმიანობისათვის, ყველგან კრეატიულები და წარმატებულები იქნებიან. იმედი მაქვს, რომ ახლო მომავალში ჩვენი კლუბის მსგავსი კლუბები სწავლების ასეთივე მეთოდიკით, საქართველოში მრავლად იქნება და მათ ჩამოყალიბებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო შეუწყობს ხელს, რადგანაც ინტელექტი საქართველოს მთავარი სიმდიდრეა, ხოლო მის განვითარებას დაუღალავი შრომა და სწორი მეთოდიკა სჭირდება.



**შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო პროგრამების დეპარტამენტის უფროსი ირაკლი ნოსელიძე:** „ლეონარდო და ვინჩი“ უფრო გამომგონებელთა კონკურსია და ზოგჯერ მოსწავლის თუნდაც მახვილგონივრულ იდეას ზურგს ნაკლებად უმაგრებს მეცნიერული დასაბუთება. კაცმა რომ თქვას, ეს არც მოეთხოვებათ სკოლის მოსწავლეებს. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეები კი ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისს წარმოადგენენ. საკონკურსოდ შემოტანილი გამოგონებებისა და მიგნებების მიღმა იგრძნობოდა სათანადო თეორიული მომზადებაც და ეს დადასტურდა ზეპირი პრეზენტაციების დროსაც. როგორც ჩანს, სკოლაში ეს საკითხი სერიოზულად არის დაყენებული, რაც მისასალმებელიცაა და წასახალისებელიც. შემთხვევით არ იყო, რომ 2013 წლის კონკურსში გრანპრის მფლობელი სწორედ ამ სკოლის მოსწავლე ნიკა ალავიძე აღმოჩნდა. გარდა ამისა, ჩვენი ფონდი ახორციელებს საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის საქართველოს ნაკრები გუნდების შერჩევის, მომზადებისა და მონაწილეობის ადმინისტრირებას. ფიზიკაში, მათემატიკასა და ინფორმატიკაში საქართველოს ნაკრები გუნდები წარმოუდგენელია ქუთაისელი მოსწავლეების გარეშე. სასიხარულოა, რომ ეროვნული ოლიმპიადებიდან დაწყებული, საერთაშორისო ოლიმპიადების შესარჩევ ტურებზე, წვრთნის პროცესში და შემდეგ, დასკვნითი საერთაშორისო ოლიმპიდების ეტაპზეც ა. რაზმაძის სახელობის 41-ე საჯარო ფიზიკა-მათემატიკური სკოლის მოსწავლეები თვალში საცემი წარმატებებით გამოირჩევიან და ხშირად იკავებენ ლიდერის პოზიციებს. რად ღირს ბოლო წლებში თუნდაც ცოტნე ტაბიძის მიერ მიღწეული შედეგები (პირველი ოქორს მედალი ბოლო 5 წლის განმავლობაში). ცოტნე ამჟამად არის მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სტუდენტი.“

# ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური ჰალუცინაციების სამყარო

ავტორი: დიმიტრი ყიფიანი

*კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის, კირილე პეტრეს ძე* ***იანოვსკის*** *(1822-1902), სასწავლო-საგანმანათლებლო პოლიტიკა მიმართული იყო სასკოლო დაწესებულებებში ყოველივე ქართულის (პირველი რიგში, ქართული ენის) აღმოფხვრისა და განადგურებისაკენ (სხვათა შორის, იგი მეგრელებსა და სვანებს ქართველებად არ მიიჩნევდა და სამეგრელოს სკოლებში მშობლიურ ენად მეგრულის შემოღებას მოითხოვდა; საკუთრივ დიმ. ყიფიანის შესახებ კი 1886 წლის 11 თებერვალს კავკასიის მთავარმართებელ ალ. დონდუკოვ-კორსაკოვის კანცელარიას სწერდა: „სასწავლო უწყების მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება შედეგია იმ რამდენიმე პირის აგიტაციისა, რომლებიც ცდილობენ, სასწავლო დაწესებულებების საქმიანობა როგორმე თავიანთ ვიწრონაციონალურ და ანტისახელმწიფოებრივ მისწრაფებებს დაუმორჩილონ. ეს პირები სკოლასა და ეკლესიას უყურებენ როგორც სამომავლოდ თავიანთი მიზნების განხორციელების იარაღსა და საშუალებას. მიზანი კი ყიფიანისა და მისი მსგავსი „პატრიოტებისა“ ისაა, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, შეძლონ ქართველებში მეგრელების, აფხაზებისა და სვანების ასიმილირება... ესენი ყველაზე უფრო იმას ცდილობენ, გაავრცელონ ქართული განათლება და ნებისმიერი საშუალებით აღუდგნენ წინ რუსული განათლების დამკვიდრებას...“).*

*კ. იანოვსკის რუსიფიკატორული შეხედულებები თუ ქმედებები არაერთხელ გამხდარა ქართველ მოღვაწეთა (ი. ჭავჭავაძე, ი. გოგებაშვილი, დიმ. ყიფიანი, ს. მესხი და სხვ.) მწვავე კრიტიკის საგანი. ამ ისტორიის ერთ-ერთი (ვფიქრობთ, საინტერესო) ფურცელია დიმიტრი ყიფიანის წინამდებარე წერილი, რომელიც რუსულ პრესაში გამოსაქვეყნებლად დაიწერა, თუმცა ავტორის სიცოცხლეში მისი დაბეჭდვა ვერ მოხერხდა [ავტოგრაფი დაცულია ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში (დიმ. ყიფიანის არქივი, საქმე N98. რუსულ ენაზე. ფურცელი 20). დედნის (რუსულ) ენაზე გამოქვეყნდა ორჯერ: გაზეთი „Закавказье“, 1912, NN189, 190;* ***შ. ჩხეტია.*** *მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე. „საისტორიო მოამბე“, N3, 1947, გვ. 363-371; ტექსტი (ავტოგრაფიცა და ნაბეჭდიც) უსათაუროა, ამიტომ იგი ჩვენ თვითონ ტექსტიდან ამოღებული სიტყვებითვე დავასათაურეთ].*



დიმიტრი ყიფიანი



კირილე პეტრეს ძე იანოვსკი

პერიფერიისა და დედაქალაქის (პეტერბურგის – თ. ჯ.) პრესა ბოლო დროს არაერთხელ შეეხო აქაურ პირველდაწყებით სასოფლო სკოლებში მშობლიური ენის სწავლების საკითხს. ამ თემაზე პოლემიკამ, როგორც საერთოდ გვჩვევია, ისეთი ვნებათაღელვა გამოიწვია, რომ საკუთრივ პრობლემას ხან სად მოისვრიან და ხან – სად: ვთქვათ, პედაგოგიკის სფეროდან – ჯანდაბასა და დოზანაში.

დროა ვეცადოთ და გავარკვიოთ, სინამდვილეში რა ვითარებასთან გვაქვს საქმე. ისიც ცხადია, რომ ეჭვქვეშ ვერ დავაყენებთ მეცნიერულად დასაბუთებულ დებულებებს.

გასული 1880 წლის ბოლოს თბილისურმა გაზეთმა „დროებამ“ გამოაქვეყნა სერგეი მესხის „ღია წერილი ბ. იანოვსკისადმი“. „ღია წერილში“ ნათქვამია, რომ კ. პ. იანოვსკის მოვლინებას აქაური მოსახლეობა იმედით შეხვდა, რადგანაც ბევრი კარგი რამ ჰქონდათ გაგებული მისი ადრინდელი მოღვაწეობის შესახებ. მაგრამ ეს იმედები გაცრუვდაო, – გავრცელებულ ხმებზე დაყრდნობით ამბობს „ღია წერილის“ ავტორი.

კ. პ. იანოვსკიმ გაზეთ „კავკაზის“ 348-ე ნომერში დაბეჭდა „განხილვა“ ს. მესხის „ღია წერილისა“, რომელშიც ყველას, ვინც კი სისხლხორცეულადაა დაინტერესებული სახალხო განათლების სწორად წარმართვით, სთხოვს, ყურადღება დაუთმოს მის ამ „განხილვას“.

> მე სისხლხორცეულად ვარ დაინტერესებული ამ საქმით თუნდაც იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მიმსახურია სასწავლო უწყებაში და, ამას გარდა, ამჟამად თავმჯდომარე ვარ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა“. ამდენად, ვალდებულიც ვარ, ჩავერიო პოლემიკაში და გამოვთქვა საკუთარი შეხედულება მისი რაობისა და საფუძვლების შესახებ.

ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვი, პრობლემას აქვს ორგვარი – პედაგოგიური და არაპედაგოგიური – საფუძველი, პირველი კატეგორიის საკითხებს (პედაგოგიურს) შევეხები „წერა-კითხვის საზოგადოების“ თავმჯდომარის უფლებით. სახალხო განათლების ნამდვილ და არა მოჩვენებით სარგებლიანობაზე მსჯელობისას პედაგოგიკის ადგილობრივ ავტორიტეტებს დავეყრდნობი, ხოლო თუ მათს შეხედულებებს შორის განსხვავებები იქნება, მაშინ რუსული პედაგოგიკის წარმომადგენელთა შეხედულებებს გავითვალისწინებ.

რაც შეეხება მეორე კატეგორიის საკითხებს (არაპედაგოგიურს), მე მათ განვიხილავ როგორც დაბადებითვე ქართველი.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ „განხილვის“ ავტორის მსჯელობა პირველიდან ბოლო სტრიქონამდე აღბეჭდილია საკუთარი ღირსების შეგნებითა და მშვიდი ტონით. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მსჯელობა გაჭიანურებულია, ხოლო გაჭიანურებულ თხრობას ყოველთვის ერთი რისკი ახლავს – შეიძლება რამე წამოგცდეს!

ს. მესხის „ღია წერილში“ ნათქვამია: „თქვენ ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორს წერილი მისწერეთ და დაავალეთ – გუბერნიის სასოფლო სკოლების მასწავლებელთა ყრილობამ სწავლების პირველი წლიდანვე რუსული ენის შემოღების გადაწყვეტილება უნდა მიიღოსო“.

ამის საპასუხოდ კ. პ. იანოვსკი ამბობს: „ამგვარ განზრახვაში არაფერი იქნებოდა ვნების მომტანი, თუმცა თვითონ ფაქტი მოგონილია“.

მოგონილია თუ არა ეს ამბავი, ამას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც განათლების მზრუნველმა თავისი პირით განაცხადა – ბავშვებისათვის პირველ წელსვე ერთდროულად მშობლიური და არამშობლიური ენების სწავლება ვნების მომტანი არ იქნებაო.

ხომ თავისთავად ჩნდება არსებითი მნიშვნელობის კითხვები, რომლებიც რუს პედაგოგებს მიემართება?

**1. თუკი არსებობს წესი, რომ პირველდაწყებითი განათლება ბავშვს მშობლიურ ენაზე უნდა მიეცეს, და თუ ეს წესი პედაგოგიკის მიერ მეცნიერულად დასაბუთებულ ჭეშმარიტებად ითვლება და არა სხვა ისეთ განზრახულებად, რომელიც სცდება პედაგოგიკის ფარგლებს, მაშინ განა ხსენებული, მეცნიერულად დასაბუთებული, ჭეშმარიტების შეურაცხყოფა არ იქნება, ბავშვებს, რომლებმაც მხოლოდ საკუთარი საშინაო ენა იციან, სკოლაში შესვლის პირველი წლიდანვე მათთვის გაუგებარ ენაზე სწავლა მოვთხოვოთ?**

**2. ხომ არ დაარღვევს ეს გარემოება კიდევ ერთ აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო უკეთ იცი შენი კულტურული (სამწერლობო – თ. ჯ.) ენა, მით უფრო ადვილია სხვა კულტურული ენის შესწავლა, ხოლო რაც უფრო უკეთ იცი ორი ამგვარი ენა, მით უფრო ადვილად დაეუფლები მესამეს და ა. შ.**

**3. თუ ეს ყველაფერი სწორია, მაშინ ხომ შეიძლება იმის თქმა, რომ ბავშვების განვითარებისათვის მავნებელი იქნება ერთდროულად ორი ენის სწავლება – საშინაოსი და უცხოურისა, რომელთა შორის, უნდა ითქვას, არ არის არავითარი ისეთი მსგავსება, რომელიც ასე თუ ისე შეამსუბუქებდა ბავშვის მეტისმეტად დაძაბულ გონებრივ შრომას.**

„ღია წერილში“ ნათქვამია: „თქვენ ახალ-სენაკის სოფლის სკოლის მასწავლებელს გამოუცხადეთ თქვენი განსაკუთრებული უკმაყოფილება (ნოემბერში) იმის გამო, რომ იგი ბავშვებს (სექტემბერში მიღებულ ბავშვებს) ასწავლიდა ქართულ ენაზე; ამასთანავე, იმავე მასწავლებელს უთხარით: „თქვენ, ქართველები, არა პედაგოგიურ, არამედ რაღაც სხვა მიზნებს მისდევთ; თქვენ წინააღმდეგნი ხართ რუსული ენისა. მე არავითარ შემთხვევაში არ დავამტკიცებ მასწავლებელთა ქუთაისის ყრილობის დადგენილებას“.

ამას კ. პ. იანოვსკი თავის „განხილვაში“ წმინდა წყლის ცილისწამებას უწოდებს: „ასეთი სიტყვები მე არც ერთი მასწავლებლისათვის არც ერთ სასწავლებელში არ მითქვამს“.

თანამდებობრივი მდგომარეობა კ. პ. იანოვსკისა იმდენად საპატიოა და პიროვნულადაც იგი იმდენად დაფასებულია საზოგადოების მიერ, რომ შეიძლება დაგვეჯერებინა კიდეც მისი ეს განმარტება და უნდობლად მოვკიდებოდით „ღია წერილის“ ავტორს, მაგრამ პრესაში გამოჩნდა რაღაც განმარტება ახალ-სენაკის მასწავლებლისა, რომელმაც უარყო „ღია წერილში“ მოხსენიებული ფაქტები. დაიბეჭდა აგრეთვე კოლექტიური განცხადება, რომელშიც ახალ-სენაკის მაზრის უფროსი, მომრიგებელი მოსამართლე და ქალაქის დეპუტატი დაბეჯითებით ამტკიცებენ – ბ-ნ განათლების მზრუნველს არ უთქვამს ის, რასაც მას ს. მესხი მიაწერსო.

ეს განცხადებები რომ არ გამოქვეყნებულიყო, არც ფაქტების გადამოწმება გახდებოდა საჭირო, მაგრამ ისინი გამოქვეყნდა და აი, ფაქტების გადამოწმებას რა სავალალო შედეგები მოჰყვა:

1. ყველა აქაურ სასოფლო სკოლაში – ყოველ შემთხვევაში, ქუთაისის გუბერნიაში – სასწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით არსებობს დირექტორის ხელმოწერით დამოწმებული ზონარგაყრილი წიგნი (სარეგისტარციო ჟურნალი – თ. ჯ.), რომელშიც აუცილებლად აღინუსხება სკოლაში მისულ ხელმძღვანელ პირთა ყველა განკარგულება თუ შენიშვნა.

არავინ ამბობს, რომ ახალ-სენაკის ზონარგაყრილ წიგნში არ არის ჩაწერილი კ. პ.  იანოვსკის ის შენიშვნები, რომლებზეც ს. მესხი თავის „ღია წერილში“ ლაპარაკობს.

2. მაზრის უფროსმა ბებურიშვილმა, მომრიგებელმა მოსამართლე ბერიძემ და ქალაქის დეპუტატმა ჟვანიამ თავიანთი გამოქომაგებით კომპრომეტირება მოახდინეს ისეთი საპატიო პირისა, როგორსაც სასწავლო ოლქის მზრუნველი წარმოადგენს. ამასთანავე, მათ საკუთარი თავის კომპრომეტირებასაც მიაღწიეს, რამდენადაც თავი წარმოგვიდინეს ისეთი რამის თვითმხილველებად, რისი თვითმხილველნიც არ იყვნენ და ვერც იქნებოდნენ – არც ერთი მათგანი თან არ ჰხლებია კ. პ. იანოვსკის, როცა ეს უკანასკნელი ახალ-სენაკის სკოლას სტუმრობდა და, შესაბამისად, სკოლის მასწავლებელსა თუ ზედამხედველთან კ. პ. იანოვსკის საუბარსაც ვერ დაესწრებოდნენ.

ეს ორი ფაქტი გვაიძულებს გადავამოწმოთ, თუ რამდენად მართალია თვითონ კ. პ.  იანოვსკი, როცა ამბობს: „ასეთი სიტყვები მე არც ერთი მასწავლებლისათვის არც ერთ სასწავლებელში არ მითქვამს“. გადამოწმებას კი მივყავართ იმ პოზიციამდე, საიდანაც ს. მესხს, როგორც მკაცრ და მგზნებარე პოლემისტს, შეეძლო მიემართა განათლების მზრუნველისათვის: „დიახ, კირილ პეტრეს ძევ! თქვენ მართალი ბრძანდებით! თქვენ ამ სიტყვებით მასწავლებელს კი არ მიმართეთ ან სასწავლებელში ყოფნისას კი არ მიმართეთ, არამედ ეს სიტყვები განათლების ინსპექტორს უთხარით ან კიდევ სკოლის ზედამხედველს სასადილოში, ან სულაც – ბუფეტში!“

მაგრამ, იმედს ვიტოვებ, ს. მესხს აღარ მოუწევს ამ მიმართულებით პოლემიკის გაგრძელება, რადგან ვითარება შორს სცილდება საკუთრივ პედაგოგიკის ფარგლებს და სულ სხვა სფეროში გადადის; იმ სფეროში, რომელზეც საუბარი ქვემოთ გვექნება.

კ. პ. იანოვსკი თავისი აქაური ორწლიანი საქმიანობის განმავლობაში ცდილობს პირველდაწყებით სასწავლებლებში სწავლებისადმი ამგვარი მიდგომა დაამკვიდროს:

„პირველდაწყებით სკოლაში სწავლება უპირატესად უნდა წარიმართოს მშობლიურ ენაზე. არარუსი მოსწავლეებისათვის რუსული ენის სწავლებამ ის შედეგი უნდა მოგვცეს, რომ კურსის დასრულების შემდეგ ბავშვმა იცოდეს არა მარტო რუსული წერა-კითხვა, არამედ მას უნდა შეეძლოს წაკითხულის გადმოცემა როგორც მშობლიურ, ისე, შეძლებისდაგვარად, რუსულ ენაზეც“.

მიზნის მიღწევა მას ასე წარმოუდგენია:

პირველი ნახევარწლეულის პირველ მონაკვეთში სწავლება აუცილებლად უნდა მიმდინარეობდეს მშობლიურ ენაზე; მეორე ნახევარწლეულში ყოველდღიურად 30-დან 40 წუთამდე უნდა დაეთმოს რუსულ ზეპირმეტყველებას; მეორე ნახევარწლეულის მეორე მონაკვეთში უნდა დაიწყოს რუსული წერა-კითხვის სწავლება; სწავლების მეორე წელს ოთხი საგნიდან ერთი უნდა დაეთმოს რუსულ ენას; მესამე წელს კი მოსწავლეს შეძლებისდაგვარად უნდა შეეძლოს წაკითხულის რუსულ ენაზე გადმოცემა:

„მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღებს პირველდაწყებითი სასოფლო სკოლა სასწავლო დაწესებულების სახეს და მოამზადებს მოსწავლეებს საშუალო განათლებისათვის და შეასრულებს აგრეთვე უმაღლესი განათლებისათვის მოსამზადებელი საფეხურის ფუნქციას“.

ყოველივე ეს ზუსტად ჯდება რუსი პედაგოგების მისამართით ჩვენ მიერ ზემოთ დასმული სამი შეკითხვის ფარგლებში, რადგანაც მკაფიოდ ჩანს პირველდაწყებით სასოფლო სკოლებში არარუსი ბავშვებისათვის მშობლიური ენის პარალელურად რუსული ენის სწავლების მოთხოვნა. ხომ არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ სწავლების პირველი ნახევარწლეულის ხსენებას აქ რაიმე მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს?

აქ წინა პლანზე კიდევ ორი პედაგოგიური საკითხი გამოდის:

4. კანონიერია თუ არა პირველდაწყებითმა სასოფლო სკოლამ მიიღოს სახე ისეთი სასწავლო დაწესებულებისა, რომელმაც უმაღლესი განათლებისათვის მოსამზადებელი საფეხურის ფუნქცია უნდა შეასრულოს? ანუ საკითხის ასე დასმა ძირეულად ხომ არ ეწინააღმდეგება სასოფლო სკოლის, როგორც დაწყებითი (ელემენტარული) სასწავლო დაწესებულების, შესახებ კანონის მოთხოვნას? და

5. ხომ არ არის ეს მოთხოვნა გარკვეულ წინააღმდეგობაში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წესდებასთან, რომელიც, რასაკვირველია, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის თანხმობით, ხელისუფლებამ 1879 წლის 31 მარტს დაამტკიცა?

ხსენებული წესდების მესამე პარაგრაფში ნათქვამია: „საზოგადოება“ თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში პირველდაწყებით განათლებას უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის გასაგებ, მშობლიურ ენაზე, ამასთანავე, იზრუნებს რუსულის, როგორც სწავლების ენის, ინტერესებზე არსებული კანონმდებლობის შესაბამისად“.

ხომ არ ღირს „წერა-კითხვის საზოგადოებას“ მიუთითოთ იმ კანონზე, რომლის მოთხოვნაც შესაბამისი იქნება ბ-ნი განათლების მზრუნველის მოთხოვნისა – ე. ი. არარუსი მოსწავლეებისათვის მაინცადამაინცა და ყოველ მიზეზს გარეშე სწავლის დაწყებიდან მეორე ნახევარწლეულშივე რუსული ენის შემოღებისა?

სანამ საკითხს პედაგოგიური სფეროდან პოლიტიკური ჰალუცინაციების სფეროში გადავიტანდეთ, კიდევ ერთი გარემოება უნდა გაირკვეს.

კ. პ. იანოვსკი ამბობს, რომ ის ითვალისწინებს სოფლის მოსახლეობის სურვილს – ჩვენმა შვილებმა პრველდაწყებით სკოლებში რუსული ენაც ისწავლონო. კ. პ. იანოვსკი ამასაც ამბობს – ანალოგიური სურვილი ქართული ეროვნების იმ წარჩინებულ პირებსაც აქვთ, რომლებსაც საზოგადოებაში საპატიო ადგილი უჭირავთო.

ვერაფერს ვიტყვი… იქნებ უკეთესიც იყოს, მწყემსმა ფარას იქით უყოს პირი, საითკენაც თვითონ ფარა მოისურვებს. არც ის ვიცი, რა ხარისხის პედაგოგიური კომპეტენცია გააჩნიათ იმ წარჩინებულ პირებს, რომლებსაც საზოგადოებაში კი უჭირავთ საპატიო ადგილი, მაგრამ პედაგოგიურ საკითხებთან შეხება არა ჰქონიათ.

და მაინც, ვფიქრობ, თუ მაინცადამაინც პედაგოგიკის

საზღვრებიდან გასულ ლანდებს არ დავდევთ, ამ საქმეში ყველაზე კომპეტენტურად მასწავლებელთა ყრილობის ერთსულოვანი გადაწყვეტილებები უნდა მივიჩნიოთ. „პური მეპურეს გამოაცხობინეო“, – ანდაზა გვეუბნება. ამასობაში მასწავლებელთა ყრილობები თბილისში, ქუთაისში იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც იოტისოდენადაც კი არ არღვევს პედაგოგიკის წეს-კანონებს, თუმცა მათ არ იზიარებს კ. პ. იანოვსკი და, ამიტომაც, ამ გადაწყვეტილებებს ძალა და მნიშვნელობა აქვს დაკარგული.

ახლა კი, სინდისი მკარნახობს, გავაფრთხილო მკითხველი, რომ შევდივართ ნაციონალური ჰიპნოტიზმისა და პოლიტიკური ჰალუცინაციების სამყაროში. მედიცინის წარმომადგენლები კი გვირჩევენ – ვისაც ჯანმრთელობის საქმე რიგზე ვერა აქვს, მან სანერვიულო საქმეს ხელი არ უნდა მოჰკიდოსო.

„ჩემს თვალსაზრისს მე თანაბარზომიერად ვამკვიდრებ, – ამბობს კ. პ. იანოვსკი, – პირველდაწყებით ქართულ სკოლებშიც, სომხურ სკოლებშიც, თათრულ სკოლებშიც, ინგუშურ სკოლებშიც და ა. შ.“

„ინგუშურ სკოლებშიც და ა. შ.“! ხომ ატყობთ, რომ ნერვებთან დაკავშირებით აქ რაღაც რიგზე ვერ არის? თითქოს იგივე მშვიდი ტონია, მაგრამ უკვე ისმის ვიბრაცია – კულტურულ ენას ურევენ არასამწერლობო ენაში, ენასა და კილოს ერთმანეთს უტოლებენ! თათრულისა და ინგუშურის შეთანასწორება კიდევ ჯანდაბას, მაგრამ ქართული – ინგუშურთან? ან კიდევ, სომხური – ინგუშურთან? რასა ბრძანებთ?!

„მე დანაშაულს ჩავიდენდი, – განაგრძობს კ. პ. იანოვსკი, – მხარი რომ დამეჭირა იმ საწყალობელი მდგომარეობისათვის, რომელშიც აქაური პირველდაწყებითი სკოლების უმრავლესობაში რუსული ენაა ჩაყენებული“.

მართლაც, ეს დანაშაული იქნებოდა; მაგრამ სურვილი იმისა, დანაშაული არ ჩავიდინოთ, განა გამორიცხავს სურვილს იმისას, რომ გავერკვეთ – რა ითვლება დანაშაულად, როგორ და რა შემთხვევაში სჩადიან დანაშაულს და რა გზას მივყავართ დანაშაულისაკენ?

მიუტევებელ შეცდომას უშვებთ, თუ ფიქრობთ, რომ ყველა ქართველი, რომელთაც ინტელიგენტობისა რამე სცხია, თქვენზე ნაკლებად წუხდეს სკოლებში რუსული ენის ისეთი მდგომარეობის შესახებ, თქვენ რომ „საწყალობელს“ უწოდებთ. მაგრამ, ნაცვლად ვითარების გამოსწორებისა, თქვენ თქვენი საქციელით კიდევ უფრო ამძიმებთ ისედაც დამძიმებულ მდგომარეობას. არჩევანი კი ასეთია: ან უნდა ჩვენს სკოლებში ბუნებრივი და სწორი მეთოდებით დაამკვიდროთ რუსული ენის სწავლება, ან კიდევ „ნაჯახის პოლიტიკით“ ხელი შეუწყოთ საქმის საბოლოო პროფანაციას.

ზემოთ ითქვა, **რაც უფრო საფუძვლიანად იცი შენი მშობლიური ენა, – ე. ი. რაც უფრო ღრმად ხარ ჩახედული მშობლიური ენის ფორმებსა და წეს-კანონებში, – მით უფრო ადვილად ეუფლები სხვა ენას. როდესაც სწავლის დროს თვითონვე გაქვს საშუალება ორი ენის შედარება-შეპირისპირებისა, გაცილებით ადვილია სხვა, არამშობლიური ენის თავისებურებათა გაგება-ათვისება. სადაც ეს შეუძლებელია, ანუ როცა პრაქტიკულად დაუფლებული ხარ ერთ ენას, ხოლო მეორეზე წარმოდგენა არა გაქვს, და როცა ამ ორ ენას ერთდროულად გასწავლიან, გონების გააზრებული ვარჯიში დაზუთხვად, მექანიკურ გაზეპირებად გადაიქცევა. ეს კი ბავშვის ბუნების დაჩაგვრას, მის დათრგუნვას იწვევს.** ეს ერთი!

ვთქვათ, სავსებით უგულებელვყავით ენების სწავლებასთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური თავისებურებები და სოფლის სკოლებში არარუსი ბიჭებისა და გოგონებისაგან მშობლიური ენის პარალელურად რუსულის სწავლაც მოვითხოვეთ, – როგორც ეს დღეს კეთდება, – მაშინ ისიც უნდა ვიკითხოთ: რა სახსრები გაგვაჩნია საამისოდ?

არა მარტო გადამდგარი უნტერ-ოფიცრები და კაპტენარმუსები, არამედ ისინიც, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს საოსტატო სემინარიები, ვერაფრით თავს ვერ დააღწევენ ადგილის ტკეპნასა და მოჯადოებულ წრეზე ტრიალს, თუ არ ეცოდინებათ თავიანთი მოსწავლეების ენა; ან კიდევ: თუ მოსწავლეებს არ ეცოდინებათ თავიანთი მასწავლებლების ენა. ამ მიზეზით არა ერთი და ორი ათეული სკოლა დაიკეტა ქუთაისის გუბერნიაში. იმავე მიზეზით არაერთ სკოლაში უსარგებლოდ იხარჯება სასოფლო საზოგადოებების ისედაც უმწირესი თანხები თუ „კავკასიაში ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების“ სახსრები.

ყოველივე ამის ცოდნა აუცილებელია, ჯერ ერთი, იმისათვის, რომ საზოგადოებრივი თუ ხაზინის ფული ჩვენი საბრალო ბავშვების იდიოტიზაციას არ მოხმარდეს და, ამას გარდა, როგორმე რუსული ენაც გამოვიყვანოთ იმ სავალალო მდგომარეობიდან, რომელშიც იგი სასკოლო განათლების სფეროშია ჩაყენებული.

როდესაც ამიერკავკასიაში რეფორმირებული სასამართლო სისტემა მკვიდრდებოდა, შეიკრიბა ერთხელაც ახალ მოსამართლეთა არეოპაგი და განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა ენაზე დაეგზავნათ სოფლის მცხოვრებთათვის სასამართლო უწყებები.

რასაკვირველია, რუსულ ენაზე, – ამბობდნენ ერთნი. მაგრამ მათ ხომ რუსული არ იციან? – ამბობდნენ მეორენი. თუ არ იციან, ისწავლონ, – გადაწყვიტეს დანარჩენებმა.

„თუ არ იციან, ისწავლონ!“ – მოსამართლის ბაგეთაგან წარმოთქმულ ამ აზრს შეიძლება კიდევაც ჰქონდეს რაღაც სამართლებრივი საფუძველი, მაგრამ რა გამართლება შეიძლება მოიძებნოს, როცა ამგვარი სიტყვები პედაგოგის ბაგეთაგან წარმოითქმის?

„მე თანამგრძნობელი ვარ, – ამბობს კ. პ. იანოვსკი, – ქართული ენის სრულყოფილი სწავლებისა და ქართველი ხალხის გონივრული განვითარებისა“.

მიწამდეც თავი დაგვიკრავს მადლიერების ნიშნად! მაგრამ გონებას არ შორდება კიდევ ერთი ანდაზა: „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“.

პირველ რიგში, განზე გავწევ ამა თუ იმ ხალხის განვითარების მიმართ გამოხატულ თანაგრძნობას. ეს პედაგოგის საქმე არ არის. პედაგოგისათვის უმთავრესი ქართული ენის სრულყოფილი სწავლებაა. უფრო მეტიც: ეს მისი, როგორც საკუთარი სამშობლოს პატიოსანი შვილისა და თავისი ხელმწიფის ერთგული ქვეშევრდომის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

და შერცხვენილ იყოს ღვთისა და კაცთა წინაშე ყველა, ვინც ეჭვს შეიტანს კ. პ. იანოვსკის გულწრფელობაში.

მაგრამ ისიც ცნობილია, რომ ყველა ჩვენი უბედურება ძირითადად ერთი საერთო ფესვიდან – გაუგებრობიდან – არის აღმოცენებული. ეს გაუგებრობა განათლების სფეროშიც დამკვიდრდა, თუ არადა რითი უნდა ავხსნათ შემდეგი ურთიერთსაწინააღმდეგო გარემოებები:

აქაურ პირვედაწყებით სკოლებში სახელმძღვანელოთა ნაკლებობაა. ამის გამო ახალგაზრდა ქალმა ოლღა დიდებულიძემ ვითომც ქართულ ენაზე გადმოიღო არითმეტიკის სახელმძღვანელო ევტუშევსკისა, მაგრამ სინამდვილეში ეს სხვა არაფერია, თუ არა ქართული ენის მასხრად აგდება. მიუხედავად ამისა, – უფრო სწორად, საქმის გარემოებათა უცოდინრობის გამო, – სასწავლო ოლქის მზრუნველი მეფისნაცვალს უსაბუთებს, თარგმანი ხარისხიანიაო და აი, ეს წიგნი სახელმძღვანელოდ შეაქვთ სასწავლებლებში. ცნობა ამის შესახებ, თითქოს წინასწარგანზრახულად, გამოქვეყნებულია გაზეთ „კავკაზის“ იმავე 348-ე ნომერში, რომელშიც კ. პ. იანოვსკის „განხილვაა“ დაბეჭდილი და რომელ „განხილვაშიც“ სასწავლო ოლქის მზრუნველი გვიმტკიცებს – ქართული ენის სრულყოფილად სწავლების საქმეს თანავუგრძნობო. თანაც ზემოაღნიშნული ცნობა უშუალოდ მოსდევს კ. პ. იანოვსკის წერილს!

ან კიდევ: ქუთაისის გუბერნიის სასწავლებელთა ყოფილმა დირექტორმა, ბ-ნმა მარსოვმა, კარგად იცის ქართული ენა, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა აქაური პირველდაწყებითი სასწავლებელებისათვის. და აი, თითქოს საგანგებოდო, ს. მესხის „ღია წერილის“ გამოქვეყნებიდან კ. პ. იანოვსკის „განხილვის“ დაბეჭდვამდე მარსოვი საკუთარი სურვილით (როგორც ასეთ შემთხვევებში ამბობენ ხოლმე), ბაქოსა და დაღესტნის სასწავლებელთა დირექტორად გადაჰყავთ. იქ იგი, რასაკვირველია, დაცული იქნება იქაურთა ენის ჩაგვრის უმძიმესი ცოდვისაგან და, შესაბამისად, ხალხთა რუსიფიკაციის საქმესაც ვერ მიაყენებს ვნებას. გამორიცხული არ არის, ამ გადაყვანას სხვა საუძველიც ჰქონოდა – ბ-ნი მარსოვი ახალ-სენაკის ამბების თვითმხილველია და, შესაძლებელია, მან ბებურიშვილისა და et tutti quanti-ს (ყველა სხვა დანარჩენის – თ. ჯ.) მიმხრობას გაჩუმება არჩია.

მოდით, ახლა საკითხს სხვა მხრიდან შევხედოთ: ქართული ენის სრულყოფილი სწავლების მიმართ თანაგრძნობის უკეთესი გამოხატულება ხომ არ იქნებოდა საქმის რაციონალურ საფუძვლებზე დაყენება სხვა, მაგალითად, საშუალო სკოლებში?

ამ კითხვაზე პასუხი აუცილებლად მოითხოვს ჩვენი მხარის ლინგვისტურ თავისებურებათა თუნდაც ზერელე გადახედვას. აქ სამი კულტურული ენაა უპირატეს მდგომარეობაში: ამიერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში თათრული, დასავლეთ ნაწილში (თბილისის ჩათვლით) – ქართული, ხოლო სომხურს ორივეგან აქვს გავრცელების არეალი.

**1840-1850 წლებში მხარის ადმინისტრაციაში გაბატონებული იყო ასეთი აზრი – მოსწავლე ახალგაზრდობას, რომელიც მხარის ქრისტიანულ ნაწილში აპირებდა მოღვაწეობას, აუცილებლად უნდა სცოდნოდა ქართული ენა, ხოლო იმას, ვისაც მხარის მუსლიმურ ნაწილში უნდა ემსახურა, უნდა სცოდნოდა თათრული. ნებისმიერი სომეხი, ამიერკავკასიის რომელ ნაწილშიც არ უნდა ეცხოვრა მას, თავის მშობლიურთან ერთად თავისუფლად ფლობდა დასახელებულთაგან ან ერთ, ან მეორე ენას. ამიტომაც საბოლოოდ გადაწყდა: უკლებლივ ყველა სასწავლო დაწესებულებაში ქართული და თათრული ენების სწავლება სავალდებულო ყოფილიყო და ამ საქმეში გამონაკლისი არ დაიშვებოდა.**

გენერალი ბარონ ვრანგელი, რომელსაც 1853-1856 წლების ომის შემდეგ „ბაიაზეთელი“ ეწოდა, მეფისნაცვალ ვორონცოვს ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტში თავისი ქალიშვილების ქართული ენის სწავლისაგან განთავისუფლებას სთხოვდა. მე შემთხვევით შევესწარი, თუ რა უპასუხა ვორონცოვმა გენერალ ვრანგელს:

„ძვირფასო ბარონო! თუ თვლით, რომ თქვენს ქალიშვილებს შიდა რუსეთში მოუწევთ ცხოვრება, ვინღა დაგიშლით ისინი პოლტავის, კიევის ან სხვა რომელიმე ინსტიტუტში მიაბაროთ?“

გიმნაზიაში ქართული და თათრული ენების მასწავლებლები თავიანთი სტატუსით უფროს მასწავლებლებთან იყვნენ გათანაბრებულნი, ისინი შეჰყავდათ პედაგოგიურ საბჭოში და ამ საგნებში მიღებულ ქულებს როგორც კლასიდან კლასში გადასაყვან, ისე გამოსაშვებ გამოცდებზე ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული, როგორიც სხვა სავალდებულო საგნებში მიღებულ შეფასებებს.

დღეს რა ხდება? ამ ენებს დღეს ასწავლიან მხოლოდ მსურველებს, მხოლოდ პირველ სამ თუ ოთხ კლასში და მხოლოდ კვირაში ერთ საათს.

თუ სიტყვები – „მე თანამგრძნობელი ვარ ქართული ენის სრულყოფილი სწავლებისა“ – ირონიითაა ნათქვამი, მაშინ გამოტეხილად უნდა განვაცხადო – ეს სხვა არაფერია, თუ არა ჩინგისხანური ირონია.

ყოველივე ზემონათქვამს იმ ფაქტსაც თუ დავუმატებთ, რომ ასეთსავე საცოდავ, დაბეჩავებულ მდგომარეობაშია ჩაყენებული ქართული ენა სასულიერო სასწავლებლებში, რომლებმაც ხალხის მოძღვრები უნდა გამოზარდონ, განა უფლება არ მექნება სავსებით გულწრფელად ვთქვა, რომ საქმე გვაქვს არა თანაგრძნობის გამოხატვასთან, არამედ ქართული ენის წინააღმდეგ გამოვლენილ აშკარა მტრობასთან?

საჭიროა თუ არა ამგვარი მტრობისათვის ტაშის დაკვრა, ეს თქვენ თვითონ გადაწყვიტეთ. ერთი კია: თქვენ თქვენთვის დამახასიათებელი ღირსებითა და სიმშვიდით უნდა მოუსმინოთ იმ ადამიანის ხმას, რომელიც პატიოსნად და გულწრფელად გეუბნებათ, რომ ის ქართველია და ფრიად სოლიდური საფუძველიც გააჩნია, იამაყოს თავისი ქართველობით. ხოლო ამგვარი სიამაყის გამოვლენის აუცილებლობა განპირობებულია შემდეგი ვითარებით:

იყვნენ და, შესაძლებელია, ჩვენ შორის დღესაც მოიპოვებიან სხვადასხვა ჯურის ქართველთმოძულეები; ისეთებიც გვინახავს, რომლებსაც არც დაუმალავთ, რომ დასანახად ვერ გვიტანდნენ, მაგალითად: ბართოლომეები, უსლარები, ლევაშოვები; ისეთებიც შეგვხვედრია, რომლებსაც სურდათ, გაეღვივებინათ ჩვენში უკმაყოფილება, ბოღმა, გულისწყრომა. მაგრამ ქართველი ხალხი ზოგადად და, კერძოდ, მისი თითოეული მოაზროვნე წევრი, იმდენად ერთგულია თავისი ხელმწიფისა და მის მიერ დამყარებული წესრიგისა, რომ ეს ერთგულება მომავალშიც არაერთი თაობისათვის იქნება სამყოფი, რათა მტკიცე ნებით გადავიტანოთ ის შეურაცხყოფანი, რომლებზეც ახლა გვექნება საუბარი. ჩვენი ერთგულების შესახებ ხელმწიფემ იცის; ჩვენც ვიცით, რომ მას ჩვენი სჯერა. სწორედ ეს არის ის მყარი ნიადაგი, რომელზეც ვდგავარ და მოგახსენებთ იმას, რასაც ქვემოთ მოგახსენებთ.

**ხალხის ენის ხელყოფა ამ ხალხის სასიცოცხლო წმიდათაწმიდის ხელყოფაა. ქართველები ამისაგან დაზღვეულნი უნდა ვიყოთ. ამასთან, არც ის დაგავიწყდეთ, რომ ჩვენი დამორჩილება ვერავინ შეძლო, ხოლო რუსეთის მონარქის ქვეშევრდომობა ნებაყოფლობითა და გააზრებულად გვაქვს მიღებული.**

ქართველები მთელი თავიანთი განსახლების არეალში სარგებლობენ იმ სიკეთით, რომელსაც მშვიდობიანი ცხოვრება ჰქვია. მათ მოიშორეს ის განუწყვეტელი ომები და ვაი-ვაგლახი, რომელსაც უკანასკნელი ხუთასწლეულის განმავლობაში გარს მოჯარული მტრებისაგან განიცდიდნენ. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ ეს ყოველივე ძლევამოსილი და ერთმორწმუნე რუსეთისაგან გვაძევს ვალად.

დასასრულ, თქვენ ვერ დაასახელებთ ვერც ერთ ომს, ვერც ერთ სამხედრო ექსპედიციას საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებზე, რომლებშიც ქართველების სისხლიც არ დაღვრილა რუსების სისხლთან ერთად რუსული ინტერესების სასარგებლოდვე. მე კი, ჩემდათავად, ქართველთმოძულეთაგან განსხვავებითა და იმის გათვალისწინებითაც, რომ რუსეთის ჯარებს არაერთი სასახელო გამარჯვება მოუპოვებიათ ქართველ მხედართმთავართა წინამძღოლობით, ჩვენი თავგანწირვისა და ერთგულქვეშევრდომობის მხოლოდ რამდენიმე მაგალითს დაგისახელებთ.

1855 წელს გურიაში არც ერთი რუსი ჯარისკაცი არ იყო დარჩენილი. ჩოლოქის მხრიდან კი მტერი იყო მომდგარი. ქვეყანას მხოლოდ გურიის მილიცია იცავდა და მასში თითქმის ყველა ის გურული იყო გაერთიანებული, რომლებსაც იარაღის ტარება შეეძლოთ.

ეს ყველაფერი ოფიციალურად არის დადასტურებული ბაშკადიკლარისა და ქურუქ-დარის გმირის, თავად ბებუთოვის, მიერ. მე საველე კანცელარიის დირექტორად ვახლდი, როცა ბებუთოვი 1856 წლის იანვარში, როგორც სამხედრო მეთაური, გმირი გურულების რაზმებს ათვალიერებდა; იმ გმირი გურულებისა, რომელთაც, სხვათა შორის, უსლარები და ლევაშოვები, მათდა სამარცხვინოდ, არაკეთილსაიმედოებად მიიჩნევდნენ.

ან კიდევ:

იმავე 1855 წელს ომერ-ფაშა თავისი ჯარებით სამეგრელოში შემოიჭრა. ენგურთან გამართული ბრძოლების შემდეგ ჩვენი ჯარი იძულებული გახდა უკან დაეხია. სამეგრელოს მილიციას, რომელშიც თითქმის გამოუკლებლად იყო იქაური თავადაზნაურობა გაერთიანებული, თურქების შემოჭრისა და რუსეთის ჯარის უკან დახევის შემდეგ სხვა აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ საკუთარი ოჯახების გადარჩენაზე ეზრუნა. მე თვითონ ვესწრებოდი ამ საქმის გარჩევას და იქ თავადმა ბებუთოვმა აღიარა – მეგრელებს სხვა გამოსავალი არ ჰქონდათო. უსლარმა კი, რომელიც უკანდახეული ჯარის შტაბის უფროსი იყო, არ დაიზარა, მეგრელებისათვის ტალახი ესროლა და მათთვის ღალატი დაეწამებინა. ამასობაში ჩვენი ჯარი სულ უკან და უკან იხევდა და, გადალახა რა ცხენისწყალი, საერთოდ გავიდა სამეგრელოს საზღვრებიდან. არიერგარდში მყოფმა იმერეთის მილიციის მხცოვანმა მეთაურმა, პოლკოვნიკმა სიმონ წერეთელმა, როგორც კი ცხენისწყლის მარცხენა ნაპირს მიაღწია და იმერეთში დადგა ფეხი, თავის რაზმს უბრძანა: „სდექ! არც ერთი ნაბიჯი უკან! აქ ჩავიხოცოთ, მაგრამ მტერს ჩვენს მიწაზე ნუ შემოვუშვებთ! თავს ნუ შევირცხვენთ ჩვენი ხელმწიფის წინაშე!“ და იქ იდგა მანამ, სანამ ბებუთოვის ჯარი არ გამოჩნდა, შემდეგ კი ამ ჯართან ერთად უკანვე გადაცურა ცხენისწყალი, რათა განეგრძო ბრძოლა ომერ-ფაშასთან, რომელიც უკვე თვითონ იხევდა უკან.

გარემოება მაიძულებს კიდევ ერთხელ გავიმეორო ჩემ მიერ ჯერ კიდევ კატკოვისათვის ნათქვამი სიტყვები: ხალხი, რომელიც რუსეთს აძლევს ისეთ შვილებს, როგორებიც იყვნენ და არიან ციციანოვები, ბაგრატიონები, ბებუთოვები, არღუთინსკები, ორბელიანები, მელიქიშვილები, ლორის-მელიქოვები; ისეთ მხცოვან სამხედრო პირს, როგორსაც წარმოადგენს სიმონ წერეთელი; ისეთ მილიციას, როგორიც იყო გურიის მილიცია და ასეთი მებრძოლები გამოჰყავდათ საქართველოს სხვა ნაწილებშიც; ასეთ ხალხს უფლება აქვს, იმედი იქონიოს, რომ აღმოიფხვრება ისეთი სამწუხარო გაუგებრობანი, რომელთა მსგავსიც დამკვიდრდა, მაგალითად, აქაურ განათლების ადმინისტრაციაში და კონკრეტული გამოხატულება პოვა ქართული ენის სწავლების საქმეში.

ახლა სულ რაღაც ორიოდ-სამიოდე სიტყვა საკუთრივ ქართული ენის შესახებ და დავამთავრებ კიდეც.

**რუსებს, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით იცნობენ ქართულ ენას, აქ იშვიათად ნახავთ, მაგრამ ასეთები მაინც მოიპოვებიან და მათ შეუძლიათ დაადასტურონ – ეს ენა გამოირჩევა გრამატიკული ფორმების მრავალფეროვნებითა და უჩვეულო მოქნილობით. ამას გარდა, ქართულში ყველა ბგერა საკუთრივ თავისი ასონიშნით გამოიხატება და, ამ მხრივ, ჩვენი ანბანი ითვლება ყველაზე სრულყოფილ და მარტივ ანბანად ანბანთა შორის.**

ეს ყველაფერი ერთობლიობაში განსაზღვრავს ქართული ენის კიდევ ერთ შესანიშნავ თვისებას – მის არაჩვეულებრივ სიცოცხლისუნარიანობას. ხალხი დღესაც თითქმის იმ ენით ლაპარაკობს, რომელი ენითაც X ან XI საუკუნეებში ლაპარაკობდა. დაახლოებით 200 წლის წინ ქართველები კახეთიდან სპარსეთის სიღრმეში გადაასახლეს, დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი დაახლოებით 300 წლის წინ მოსწყდნენ მეტროპოლიას, ამათაც და იმათაც გაწყვეტილი ჰქონდათ კავშირები შიდა საქართველოსთან, მაგრამ ენა ყველგან ერთი და იგივეა, დამწერლობა ყველგან ერთი და იგივეა.

**ჩვენი ენის დათრგუნვის მცდელობა, საეჭვოა, ვინმეს კაცობრიობისა და მისი ისტორიის წინაშე დამსახურებად ჩაეთვალოს.**

რუსული ენა სახელმწიფო ენაა, ამიტომაც სახელმწიფოში მისი ცოდნა ყველას სჭირდება, მაგრამ მიეცით ჩემს შვილებს საშუალება პირველ რიგში მშობლიური ენის ცოდნაში მოღონიერდნენ. ამით მათ მნიშვნელოვნად შეუმსუბუქებთ სახელმწიფო ენის შესწავლისათვის გაწეულ შრომას. აი, რა იქნება თქვენი ჭეშმარიტი დამსახურება.

12 თებერვალი. 1881 წ.
ქ. ქუთაისი

თარგმანი და პუბლიკაცია
**თამაზ ჯოლოგუასი**

# ხშირად დასმული კითხვები

## გამოსაშვებ გამოცდებთან დაკავშირებით

მოამზადა დავით გაბელაიამ



**– როგორ მუშაობს CAT-ის პროგრამა?**

– წარმოვიდგინოთ მოსწავლე, რომელიც იწყებს გამოცდის ჩაბარებას. რადგან თავიდან პროგრამას არა აქვს ინფორმაცია მოსწავლის შესაძლებლობების შესახებ, ამ მოსწავლეს ჯერ მისდის შემთხვევით შერჩეული სამი საშუალო სირთულის დავალება. ამ დავალებებზე პასუხების მიხედვით პროგრამა აკეთებს მოსწავლის უნარის პირველად შეფასებას და შემდეგ დავალებას უკვე ამ შეფასების მიხედვით არჩევს. ყოველი შემდგომი პასუხი მოსწავლის უნარის შეფასებას აზუსტებს და მომდევნო დავალება უკვე დაზუსტებული შეფასების მიხედვით შეირჩევა. ასე გრძელდება მანამ, სანამ შეკითხვების მაქსიმალური რაოდენობის (40-50 დავალება) ამოწურვამდე შეფასება საკმარისად ზუსტი არ გახდება.

**– უფრო ზუსტად რა იგულისხმება „მოსწავლის უნარის შეფასებაში“, როგორ ხდება მოსწავლის უნარის შეფასება?**

– მოსწავლის უნარის, გნებავთ შესაძლებლობის, შეფასება ხდება აპრობირებული მეთოდის, ე. წ. „ტესტურ დავალებათა თეორიის“ (ინგლისურად – Item Response Theory, შემოკლებით IRT) გამოყენებით. უხეშად რომ ვთქვათ, IRT თეორიის შესაფერისი ალბათური მოდელის მიხედვით გამოითვლება ის, თუ რა უნარი უნდა ჰქონოდა მოსწავლეს, რომ მოცემულ კითხვებზე ზუსტად მოცემული პასუხების გაცემა ყველაზე მოსალოდნელი ყოფილიყო.

**– რას ნიშნავს „დავალებას არჩევს შეფასების მიხედვით“ და მართალია თუ არა, რომ ყოველი სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში მოსწავლეს მიუვა წინანდელზე უფრო რთული დავალება?**

– CAT-ის პროგრამის მუშაობის პრინციპია, რომ ყოველ ეტაპზე მოსწავლეს შეურჩიოს ისეთი დავალება, რომელზე პასუხიც მაქსიმალურ ინფორმაციას მოგვცემს მისი უნარის შესახებ. ამ „მაქსიმალურად ინფორმატიული“ დავალების შერჩევისას პროგრამა ითვალისწინებს რამდენიმე პარამეტრს, მათ შორის მოსწავლის უნარის მიმდინარე შეფასებას, დავალების სირთულესა და დავალების დისკრიმინაციას. დისკრიმინაციის პარამეტრი გვიჩვენებს, თუ რამდენად კარგად ასხვავებს დავალება მაღალი და მასზე უფრო დაბალი უნარის მქონე მოსწავლეებს ერთმანეთისაგან. ხანდახან ისეც ხდება, რომ უმჯობესია მოსწავლეს ისეთი დავალება მიეცეს, რომელიც მიმდინარე შეფასებასთან შედარებით უფრო რთული ან უფრო მარტივია, თუმცა მაღალი დისკრიმინაციიდან გამომდინარე, შეფასებას მისი შესაბამისი სირთულის დავალებებზე უკეთესად აზუსტებს. ამიტომ შესაძლოა მოსწავლეს სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში უფრო რთული დავალება არ მიუვიდეს, თუმცა ეს მხოლოდ იშვიათად ხდება და, საზოგადოდ, შეფასების ზრდასთან ერთად მიღებული დავალებების სირთულის ზრდის ტენდენცია ნარჩუნდება.

**– ანუ სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში მოსწავლის მიმდინარე შეფასება გაიზრდება. შეგვიძლია თუ არა იმის თქმა, თუ რამდენად გაიზრდება ეს შეფასება?**

– ყოველი სწორი პასუხის შემთხვევაში მოსწავლის შეფასება იზრდება და პირიქით, მისი შეფასება მცირდება, თუ  დავალებაზე პასუხი არასწორი აღმოჩნდება (როგორი სირთულისაც  არ უნდა იყოს შესრულებული დავალება). თუმცა შეუძლებელია იმის თქმა, თუ რამდენად გაიზრდება (თუ შემცირდება) შეფასება, რადგან ეს დამოკიდებულია დავალების პარამეტრებზე (მის სირთულესა და დისკრიმინაციაზე) და იმაზეც, თუ როდის სრულდება ეს დავალება. მაგალითად, თუ მოსწავლე დავალებას ასრულებს ტესტირების საწყის ეტაპზე, შეფასების ცვლილება იქნება უფრო დიდი, ვიდრე ტესტირების უფრო გვიან ეტაპზე, რადგან  ყოველი გაცემული პასუხის შემდეგ შეფასება უფრო მეტად ზუსტდება.



**– რა სკალაზე იზომება მოსწავლის უნარი?**

– პროგრამის „სამუშაო სკალა“ არის -10-დან 10-მდე. როდესაც პროგრამა დაასრულებს მუშაობას და მოსწავლის საბოლოო შეფასება ცნობილი გახდება, ეს უნარი გარდაისახება სკოლისათვის უფრო ბუნებრივ სკალად 5-დან 10-მდე.

**– როგორ ხდება ამ დროს ჩაჭრის ზღვრის განსაზღვრა?**

– ჩაჭრის ზღვარი წინასწარ დგინდება კომპიუტერული სიმულაციების გამოყენებით.  ტარდება ცდები, თუ რა შედეგს მიიღებდა მოსწავლე, რომელიც სრულიად შემთხვევით სცემს პასუხებს დავალებებზე. ბევრი ასეთი (2000 ან მეტი) ცდის ჩატარების შემდეგ დგინდება ისეთი სიდიდე, რომელსაც „შემთხვევითად მოპასუხე“ მოსწავლეთა დიდი უმრავლესობა (მაგალითად 95%) ვერ გადალახავდა. სწორედ ეს სიდიდე იგივდება 5.5 ქულასთან და ჩაჭრის ზღვარად იქცევა.

**– მაშასადამე, თუ შემთხვევით ვცემ პასუხებს დავალებებზე, დიდი ალბათობით ზღვარს ვერ გადავლახავ?**

– თუ ძალიან არ გაგიმართლათ, ვერ გადალახავთ.

**– შეგვიძლია ვთქვათ დაახლოებით რამდენ დავალებაზე უნდა გასცეს სწორი პასუხი მოსწავლემ, ზღვარი რომ გადალახოს?**

– ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ (როგორი სირთულისა და დისკრიმინაციის) დავალებებს შეასრულებს მოსწავლე სწორად და რომელ დავალებებს უპასუხებს არასწორად – საბოლოო შეფასება დამოკიდებულია არა მხოლოდ სწორი პასუხების რაოდენობაზე, არამედ იმ შეკითხვების სირთულისა და დისკრიმინაციის ხარისხზე, რომლებიც მოსწავლეს მიუვიდა. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ 40-დან საშუალოდ 15-16 დავალებაზე სწორი პასუხის გაცემა საკმარისი იქნება ზღვრის გადასალახად. პროგრამა ისეა მოწყობილი, რომ რაც უფრო მეტ შეცდომას უშვებს მოსწავლე, მით უფრო მარტივი დავალებები მისდის, შესაბამისად, თუ მან კომპეტენციის მინიმალურ ზღვარზე დაბალი ქულა მიიღო, ეს ნიშნავს, რომ იმ დავალებების უდიდესი ნაწილი, რომლებიც მას მიუვიდა, იყო ყველაზე მარტივი დავალებები, რაც კი დავალებების ბაზაში მოიპოვება და მან მათი დიდი უმრავლესობა (ორი მესამედი ან მეტი) ვერ გააკეთა.

**– ზედა ზღვრის დადგენა როგორღა ხდება და რა უნარი შეესაბამება 10 ქულას?**

– ამ შემთხვევაშიც ჩვენ ვიყენებთ კომპიუტერულ სიმულაციებს, თუმცა კრიტერიუმი აქ ცოტა სხვაგვარია. კვლავ ტარდება მრავალი ცდა (2000 ან მეტი), თუ როგორ გაივლიდნენ ტესტს მაღალი უნარის მქონე მოსწავლეები.

**– მაღალი უნარის მქონე მოსწავლის კომპიუტერული მოდელიც არსებობს?**

– გარკვეული აზრით, დიახ, არსებობს. ჩვენს შემთხვევაში ეს უბრალოდ ნიშნავს, რომ სიმულაციის დროს ტესტურ დავალებას მაღალი ალბათობით გაეცემა სწორი პასუხი. თუ ეს დავალება მარტივია, სწორი პასუხის მიღების შანსი თითქმის 100%-ია, ხოლო თუ დავალება რთულია, სწორი პასუხის მიღების ალბათობა მცირდება, ვთქვათ, შეიძლება იყოს 90%. როდესაც ასეთი პრინციპით ბევრ სიმულაციას ვატარებთ, საშუალო შედეგი საკმაოდ ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის რეალურ სურათზე.

**– ამ სიმულაციების შედეგად ტესტში მიღებულ 10 ქულას რა უნარი შეესაბამება?**

– 10 ქულის შესაბამისად, უხეშად რომ ვთქვათ, ითვლება ისეთი უნარი, რომლის დროსაც 40-დან საშუალოდ 36 პასუხი მაინც არის სწორი.

**– ანუ 4 შეცდომის შემთხვევაშიც კი, წესით, 10 ქულა უნდა დაიწეროს?**

– ეს მხოლოდ საშუალოდ არის ასე. შეიძლება მოსწავლემ 5 ან 6 შეცდომაც დაუშვას და მაინც 10 ქულა მიიღოს და შეიძლება დაუშვას მხოლოდ 3 შეცდომა და ვერ მიიღოს 10 ქულა. ეს ისევ იმაზეა დამოკიდებული, თუ როდის და რომელ (ანუ როგორი სირთულისა და დისკრიმინაციის) დავალებებს ვერ გასცემს სწორ პასუხებს და რომელ დავალებებს შეასრულებს სწორად.

**– თუ ათი შეცდომა დავუშვი, მაშინ რა ქულას მივიღებ?**

– წინასწარ ამის ზუსტად თქმა შეუძლებელია. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ დავალებებზე გაეცით პასუხები სწორად და რომლებზე – შეცდომით. ასეთი მოსწავლეების (მათ, ვინც ზუსტად 10 შეცდომა დაუშვეს) ქულების დიაპაზონი საკმაოდ დიდია. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვთქვათ, საშუალოდ რამდენ ქულას მიიღებენ ეს მოსწავლეები და დიდი ალბათობით რა ინტერვალში მოხვდება მათი ქულები. მაგალითად, მათ, ვინც წელს მათემატიკის გამოცდაში 10 შეცდომა დაუშვეს, საშუალოდ 8.1 ქულა მიიღეს, მაგრამ მათ შორის იყვნენ ისეთებიც, ვინც 8.5 ქულა მიიღო და ისეთებიც, ვინც მიიღო მხოლოდ 7.8 ქულა.

**– გასაგებია, მაგრამ კონკრეტული ქულა, ვთქვათ, 8.3 ისტორიაში, როგორ უნდა გავიგოთ, რამეს გვეუბნება ეს ქულა მოსწავლის მოსწრების შესახებ?**

– რა თქმა უნდა, პირველ რიგში ეს ქულა გვეუბნება, რომ ამ მოსწავლის კომპეტენცია ისტორიაში ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მინიმუმს ბევრად აღემატება. CAT-ის გამოცდის მთავარი ფუნქციაც სწორედ ეს არის. გარდა ამისა, შედარებისათვის შეიძლება ამ ქულის ნახვა პროცენტილების ცხრილში, საიდანაც გამოჩნდება, თუ მთელი საქართველოს მასშტაბით, რამდენ პროცენტს აქვს ამ ქულაზე ნაკლები ქულა და რამდენს – მეტი. ეს საშუალებას გაძლევთ თქვენი ცოდნა არსებულ საერთო სკალაზე მოათავსოთ. მაგალითად, წელს ისტორიის გამოცდაში 8.3 ქულით მოსწავლეების 97%-ს აჯობებდით, რაც საკმაოდ მაღალი შედეგია, თუმცა ისტორიის მთელი სასკოლო პროგრამის ფონზე, თქვენი ცოდნა უფრო „კარგი“ იქნებოდა, ვიდრე „ფრიადი“.

CAMBRIDGE ENGLISH
Language Assessment
Authorised Centre

„შეფასებისა გამოცდების ეროვნული ცენტრი" აპლიკანტებს სთავაზობს კემბრიჯის სხვადასხვა დონის გამოცდებს ინგლისურ ენაში, რომლებიც შეესებამება უცხოური ენის საერთო ევროპულ სტანდარტებს, დაწყებული A1 დონიდან უმაღლეს C1 დონემდე.

კემბრიჯის გამოცდებს ყოველწლიურად დაახლოებით 3 მილიონი ადამიანი აბარებს მსოფლიოს 130-მდე ქვეყანაში. კემბრიჯის გამოცდები საუკეთესო საშუალებაა მსურველთათვის ინგლისური ენის ცოდნის დონის შესამოწმებლად.

კემბრიჯის სასერტიფიკაციო/საკვალიფიკაციო გამოცდების სერტიფიკატი უვადოა.

„შეფასებისა გამოცდების ეროვნულ ცენტრში" აპლიკანტებს შესაძლებლობა აქვთ ჩააბარონ კემბრიჯის შემდეგი გამოცდების: წერილობითი და კომპიუტერული ვერსიები:

• Young Learners Exam;
• KET (Key English Test);
• PET (Preliminary English Test);
• FCE (First Certificate English);
• CAE (Cambridge Advanced English);
• TKT (Teaching Knowledge Test);
• BEC (Business English Certificate).

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

# ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებული ნაწარმოებები

*„შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის“ ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფმა 2014 წლის სასწავლო ოლიმპიადის მე-3 ტურში გადასულ მოსწავლეებს ამგვარი დავალება შესთავაზა:*
***შეურჩიეთ სათაური ამ ნახატს და დაწერეთ მოთხრობა, ჩანახატი ან მინიატურა.***

*გთავაზობთ გამარჯვებულ მოსწავლეთა ნაწარმოებებს:*



## ბერმანის მაგიური თეატრი

მოხუცი ბერმანი გვიან დაბრუნდა სახლში. სახლი?! ჰმ, თუ შეიძლება მის სამყოფელს სახლი ვუწოდოთ. ეს იყო ცივი და ბნელი სარდაფი, რომელსაც ერთი მბჟუტავი ლამფა ანათებდა. ოთახის შუაგულში ხის ძველი სკამი იდგა, იატაკზე უწესრიგოდ მიმოფანტული ფუნჯები და საღებავები ეყარა, კედლებიდან კი იქ გამეფებული სიცარიელე ნაცრისფრად იმზირებოდა.

„რა ადვილია ცხოვრება, როცა საბედისწერო ხე უკვე მოჭრილია, ანუ როცა აღარსად გელიან!“ – გაიფიქრა ბერმანმა და სარდაფში შეაბიჯა. ყინვამ და ნოტიო ჰაერმა მთელ სხეულში დაუარა. აი, დღესაც, მთელი დღის ხეტიალის შემდეგ ვერაფერი გაეყიდა. რახანია რაიმე „ღირებულის“ შექმნას ცდილობადა, მაგრამ დაუძლურებულ მოხუცს ხატვის ძალა აღარ ჰქონდა, ხელი უკანკალებდა. მდიდარი ფანტაზია, შემოქმედებითი ენერგია, ანთებული თვალები – ეს ყველაფერი წლებს გაექრო და ახლა სულში ისეთივე სიცარიელეს დაესადგურებინა, როგორსაც სარდაფის კედლებში.

მოხუცი იატაკზე მიწვა და მიიძინა. სიცივე და ნესტი მოსვენების საშუალებას არ აძლევდა და ძილშიც საიდანღაც ზმანებასავით მოსული კადრები აკრთობდა. ეს ბავშვობის მოგონებები იყო... თბილი სახლის მყუდროება, ღიმილიანი დედა, ახლათახალი ფუნჯები და ბავშურად დახატული ოთხკუთხედი სახლები. საიდანღაც დედის ხმა ჩაესმა: – ძვირფასო რას დახატავდი თუ გეცოდინებოდა, რომ მერე ნახატი გაცოცხლდებოდა? – ხმა იმდენად ცხადი იყო, რომ შემკრთალი ბერმანი წამოხტა და თვალების ცეცებით მიმოიხედა. დედა არსად ჩანდა, სარდაფში კი კვლავ სიჩუმე ჩამოწოლილიყო. ლამფა ჯერ კიდევ ბჟუტავდა, სინათლეზე ფანჯრებსა და ტილოს რაღაც განსაკუთრებული, მაგიური იერი მიეღო. ბერმანს უცნაური ალღო მათკენ იზიდავდა. წამოდგა, აიღო ფუნჯი, დადგა დიდი ხნის ხელუხლებელი მოლბერტის წინ და ხატავა დაიწყო. მართლა, რას დახატავდა, დედის ნათქვამი სიტყვები სიმართლე რომ ყოფილიყო? ამ ცივ ოთახში სითბოს მეტს ვერაფერს ინატრებდა. ნაზად, მოქნილად უსვამდა ტილოზე ფუნჯს და თან იგივე ხმა ჩაესმოდა. ხატვის ნაზი მანერა ნელ-ნელა გაშმაგებულ, გაცხოველებულ მუშაობად გადაექცა. ბერმანი ანთებულიყო, თვალებიდან ნაპერწკლები სცვიოდა და უჩვეულო ძალით ივსებოდა. თითქოს სასწაულის მოლოდინში იყო. მალე ხატვა მაგიურ თეატრად გადაიქცა, რომლის მთავრი გმირი თითქოს თავს არ ზოგავდა მაყურებლის წინაშე.

მთელი ღამე ცეცხლის ალის ხატვაში გაატარა. ამ ერთ ღამეში შეძლო დაებრუნებინა მთელი თავისი ხელოვნება, თანაც ისე, რომ სულაც აღარ ესწრაფვოდა აღიარებას ან დაფასებას. გამთენიისას დაქანცულს ჩაეძინა.

რამდენიმე საათში საიდანღაც მოსულმა მხურვალებამ გამოაღვიძა. ტანში სითბოს ჟრუანტელი უვლიდა. თვალები გაახილა და დანახულმა მთლიანად შეძრა: ნახატი ასხივებდა სითბოსაც და შუქსაც, ტილო, რომელიც უჩვეულოდ ასხივებდა სითბოსაც და შუქსაც. შუქი მთელი სარდაფის ინტერიერს ანათებდა. წამით ბერმანმა ბავშვობის დროინდელი მყუდროება იგრძნო. დიახ, სწორედ ეს იყო მისი სახლი! სახლი, სადაც ბერმანის მაგიური ხელოვნება და ნიჭი ცოცხლობდა. მოხუცი კიდევ უფრო მიუახლოვდა ნახატს და ახლა მთლად დაწვა ალმა... ნუთუ ეს სიმართლე იყო?!.

კვირა დილით, დაახლოებით 9 საათზე, ორი გამვლელი უმწეოდ ცდილობდა ხანძრის ჩაქრობას, რომელიც მიტოვებულ სარდაფში საიდანღაც გაჩენილიყო. დამწვარი კედლები, იატაკი, რაღაც ნივთები, მოგვიანბით კი ადამინიც აღმოაჩინეს. მოხუცს მთელი სხეული დამწვარი ჰქონდა, მხოლოდ სახეზე შემორჩენოდა უცნაური ღიმილი და სიხარულის სხივი. ეს იყო მადლიერების ბედნიერი ღიმილი, იგი მადლობას უხდიდა ხელოვნების მაგიურ ძალას.

ბერმანი აღსდგა.

**ნინო მუმლაძე**
*თბილისის 122-ე საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე.*

## ჯუზეპე

ჯუზეპეს მამა მხატვარი იყო. კარგი მხატვარი. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ღარიბი გახლდათ. ჯუზეპე იმ წელს დაიბადა, როდესაც გარიბალდიმ ნეაპოლი აიღო და მთვრალმა მამამაც, როცა ჩვრებში გახვეული ჩვილი საროსკიპოდან გამოიყვანა, გადაწყვიტა ჯორდანო ბრუნოს შემდეგ ყველაზე მაგარი იტალიელის სახელი დაერქმია შვილისთვის. ბოთლში ჩარჩენილი არაყი აიაზმის მაგივრად ასხურა შუბლზე და ჯუზეპედ „მონათლა“...

პატარა ჯუზეპე თავადაც ხატავდა ხოლმე... ძირითადად ბუხარს, რომელშიც ცეცხლი გიზგიზებდა. ალბთ იმიტომ, რომ ყველაზე მეტად ცეცხლი და სითბო ენატრებოდა გაყინულ მიწურში... ხატავდა ქალსაც, რომელიც, როგორც მერე აღმოჩნდა, ძალიან ჰგავდა რაფაელის „სიქსტის მადონას“ – მამა სწორედ ასე ეღუწერდა ხოლმე დედას. დედა და სითბო მუდამ აკლდა ჯუზეპეს.

რომ წამოიზარდა, აღარ ხატავდა. ჩხუბობდა... მამასთან, მეზობლებთან, მეძავებთან... მეგობრებთანაც ჩხუბობდა, თუმცა ლოთი მხატვრის შვილს არ ჰყავდა მეგობრები...

ოცი წლის იყო, ტურინში რომ გაიქცა, ჩრდილოეთში... გაიქცა რა, არც დაუკავებია ვინმეს... ჩრდილოეთში იყო ფული და სიმდიდრე... ჯუზეპემაც იშოვა... რა მნიშვნელობა აქვს, როგორ... ჯუზეპე არ იყო მამამისივით მხატვარი, მას არ ჰქონდა ღარიბად დარჩენის არც უფლება და არც ფუფუნება... სამაგიეროდ, შეირთავდა ლამაზ ცოლს, ეყოლებოდა ბევრი შვილი და მის შვილებს არასოდეს მოენატრებოდათ ცეცხლი და დედა.

მერე ომი დაიწყო... რიგით პირველი, იმ ორი უსაშინლესი ომიდან... ქარის მოტანილი ქარმა წაიღო... ფრონტიდან დაბრუნებულს იმედი ჯერ კიდევ არ დაეკარგა... ისევ შეეძლო ყველაფრის თავიდან დაწყება... მით უმეტეს, რომ უკვე არსებობდა პაოლა, ქალი, რომელსაც უყვარდა... ქალი, რომელიც უყვარდა...

მერე მოვიდა მუსოლინი... პაოლა კი... პაოლას მამა მონარქისტი იყო და რა გასაკვირია, რომ განწირული გახლდათ მისი ქალიშვილი.

ჯუზეპეს მანამდე ეგონა, ყველაფრის მოთმენა შეიძლებოდა, ეტყობა მართლაც ქვის გული ჰქონდა, რადგან თავი არ მოუკლავს... არ ჰქონდა აზრი... საერთოდ აღარაფერს ჰქონდა აზრი... დაკარგა მუხლებში ძალა, გულში – იმედი. აღარ ჰყვადა მამა, დედა არც არასდროს ჰყოლია... აღარ იყო პაოლა...

დაბრუნდა ჯუზეპე ნეაპოლში... ისევ ისეთი არაფრისმქონე, როგორიც წავიდა... და დაიწყო ხატვა... ხატავდა ბუხრებს, რომლებშიც ცეცხლი გიზგიზებდა და ქალებს, რომლებსაც პაოლასავით წვიმისფერი თვალები ჰქონდათ... თუმცა იცოდა, ბედნიერი ვეღარ იქნებოდა... სიმშვიდეს მაინც ეღირსა.

საღამოობით კი, როცა ძალიან ციოდა, დაჯდებოდა ერთ-ერთი „ბუხრის“ წინ და „ხელებს ითბობდა“... თუმცა არ იცოდა როგორ, მაგრამ ეს „ბუხარი“, უბრალო ბუტაფორია, მთელ სხეულს სითბოთი უვსებდა... აღარ იყო ჯუზეპე მარტო...

**თამარ ჯიბუტი**
*ფოთის მე-5 საჯარო სკოლის მე-12 კლასის მოსწავლე.*

# საერთო სამაგისტრო გამოცდებისა და სტუდენტთა საგრანტო კონკურსის ტესტების ნიმუშები

## წაკითხულის გააზრება

ჯაზი გაჩნდა ამერიკაში, მისისიპის დელტაში, სადაც ქალაქი ნიუ-ორლეანი მდებარეობს. 1817 წელს ქალაქის მუნიციპალიტეტმა ზანგ მონებს უფლება მისცა, კვირაობით კონგოს მოედანზე შეკრებილიყვნენ. ათწლეულების მანძილზე აქ იკრიბებოდნენ ზანგი მონები, მართავდნენ ფერხულს, მღეროდნენ და თავიანთ მარტივ, აფრიკული წარმომავლობის ინსტრუმენტებს – დასარტყამ თუ სიმებიან საკრავებს აჟღერებდნენ. კონგოს მოედანზე გაჩაღებული ფერხულის რიტმიკა ჯვარედინი იყო: ორი შეუსაბამო რიტმი ერწყმოდა ერთმანეთს – ვთქვათ, 4/4-ს ედებოდა 3/4. აფრიკული მუსიკის რიტმული არსი მუდამ ასეთი გახლდათ – დაპირისპირებული რიტმების შეხამება. ეს ჯვარედინი რიტმიკა თან სდევდა ჯაზის შემდგომ განვითარებას, როგორც ძირეული პრინციპი: მელოდიის თავისუფალი მოძრაობა საბაზო რიტმის მიმართ.

უჩვეულო იყო აფრიკელ მონათა სიმღერების მელოდია და ჰარმონია. ევროპული შვიდსაფეხურიანი დიატონური გამისაგან განსხვავებით, ის ხუთსაფეხურიან გამას – პენტატონიკას ემყარებოდა. პენტატონიკა გავრცელებული იყო ჯერ კიდევ აცტეკებისა და მაიას კულტურაში (სხვათა შორის, სვანური ჰარმონიაც პენტატონიკურია).

ცეკვა-თამაშს აფრიკელი მონები ექსტაზურ მდგომარეობამდე მიჰყავდა, ექსტაზში კი ბგერის სიწმინდე და მდგრადობა ირღვევა. კონგოს მოედნის მომღერლებიც „ჭუჭყიან“, არამდგრად ბგერებს გამოსცემდნენ და სწორედ ამგვარი ბგერებისაგან იშვა შემდგომში ე. წ. „ბლუზური ტონები“ – ჯაზური მუსიკის საფუძველი.

ზანგი მონები შრომის დროსაც მღეროდნენ: ეს იყო ე. წ. უერკ სონგ – შრომის სიმღერა, დაახლოებით იგივე, რაც ჩვენებური გურული „ნადური“. „უერკ სონგი“ შეიცავდა აფრიკული მუსიკის ელემენტებს – ე. წ. შეძახილებსა და გადაძახილებს. ამ ელემენტებმაც შემდგომში ჯაზის ინსტრუმენტულ სტრუქტურაში დაიმკვიდრა ადგილი (მაგალითად, ბიგ-ბენდის გადაძახილები საყვირ-ტრომბონებსა და საქსოფონებს შორის).

ტრადიციულ მუსიკასთან ერთად, ზანგი მონები ითვისებდნენ თეთრკანიანთა მუსიკასაც – როგორც ხალხურს, ისე კლასიკურსა და საეკლესიოს. ტრადიციული აფრიკული მუსიკის ნიადაგში ჩაყრილი ევროპული მარცვლებიდან აღმოცენდა მარტივი სასიმღერო და საცეკვაო ფორმები – საკუთრივ აფრიკულ-ამერიკული მუსიკის წინარე სახეები. ზანგი მონების ევროპეიზებული სიმღერებისა და ცეკვების პაროდირებას, თავის მხრივ, ხელი მიჰყვეს თეთრკანიანმა მუსიკოსებმაც. ამგვარი პაროდირების შედეგად ჩამოყალიბდა მუსიკალურ-თეატრალური ჟანრი მინსტრელ შოუ, რომელშიც ზანგებად გადაცმული თეთრკანიანები მონაწილეობდნენ. პასუხად, ზანგებმა საკუთარი „მინსტრელ შოუ“ შექმნეს და თეთრების მიერ ზანგების პაროდირების პაროდირებას მიმართეს. „მინსტრელ შოუდან“ წამოსულმა სასიმღერო-საცეკვაო ფორმებმა თავისებურად შეამზადა ჯაზის შემდგომი ჩამოყალიბება.

ევროპული პოპულარული ჰანგები ჟღერდა კრეოლთა მუსიკაშიც. კრეოლებად პირველი ესპანელი და ფრანგი კოლონიზატორების შთამომავლები იწოდებოდნენ. თუმცა, იყვნენ ე. წ. „ფერადკანიანი“ კრეოლებიც. ფერადკანიანმა კრეოლებმა ზანგებზე ადრე იგემეს თავისუფლება და, შესაბამისად, განათლებაც მეტი ჰქონდათ. ისინი ევროპულ ყაიდაზე უკრავდნენ. მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოს, სპეციალური დადგენილებით, ფერადკანიანი კრეოლებიც შავკანიანებს მიაკუთვნეს. მუსიკალური თვალსაზრისით, ეს სასიკეთო აღმოჩნდა – კრეოლთა მუსიკა აფრო-ამერიკულ მუსიკას შეერწყა და კიდევ უფრო გაამდიდრა ევროპული გამოცდილებით.

ევროპულისა და აფრიკულის შერწყმის შედეგად წარმოქმნილ სასიმღერო ფორმებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ზანგურ საეკლესიო საგალობლებს – გოსპელსა და სპირიჩუელს. სწორედ მათ საერო სახესხვაობას წარმოადგენდა ბლუზი. ზანგი მონები თეთრკანიანთა ეკლესიებში დაჰყავდათ, რათა ქრისტიანობას ზიარებოდნენ. მათ მიერ ნამღერი საგალობლები პრიმიტიული გახლდათ, თუმცა ამ გულუბრყვილო უშუალობას აფრიკული წარმართობისათვის ჩვეული ექსტაზური განწყობა ამდიდრებდა.

1890-იანი წლებისათვის აღმოცენდა ბლუზი, როგორც აფრო-ამერიკული მუსიკალური ჟანრი. თუ „შრომის სიმღერა“ შავკანიანი მონების სოციალიზაციას უწყობდა ხელს, ხოლო გოსპელი და სპირიჩუელი – ეკლესიურ ერთობას, ამათგან აღმოცენებული ბლუზი პირადი, ინდივიდუალური კათარზისის, ექსტაზური განწმენდის სიმღერა იყო – სიმღერად ნათქვამი ამა სოფლის სამდურავი. თუ სპირიჩუელი, გოსპელი ღმერთთან შეყრას უგალობდა, ბლუზი ბატონისა და მონის სევდიან ამბავს იტყოდა...

ბლუზის ჩამოყალიბების პარალელურად, ნიუ-ორლეანელმა მუსიკოსებმა დაიწყეს მისისიპის დელტიდან შემოსული ბლუზური მელოდიების გადატანა სასულე ინსტრუმენტებზე. ჯაზური მატერიის წარმოშობის პირველმა ნიშნებმაც აქ იჩინა თავი. თუმცა ფორმა და საზრისი ამ ურბანიზებული ბლუზური მატერიისათვის სხვა ტიპის მუსიკას უნდა დაესახა – უფრო დახვეწილსა და ევროპულთან წილნაყარს. სწორედ ასეთი გახლდათ რეგტაიმი. 1900-1915 წლების ამერიკასა და ევროპაში რეგტაიმის სრული სუფევა იყო. რეგტაიმის რიტმული საფუძველია სინკოპე, სინკოპირება, ანუ რიტმული აქცენტის გადატანა ტაქტის ძლიერი ნაწილიდან სუსტ ნაწილზე. სინკოპე დამახასიათებელია ხალხური თუ კლასიკური ევროპული მუსიკისათვისაც. მასთან შედარებით, რეგტაიმისეული სინკოპირება, ანუ „რეგირება“, უფრო რთულია და მომდინარეობს იმ ჯვარედინი რიტმებიდან, კონგოს მოედნის მომღერლები რომ ასრულებდნენ. სწორედ რეგტაიმის გავლით გადავიდა ჯაზში ეს ასიმეტრიული რიტმიკა, როგორც საბაზო რიტმისა და მელოდიის რიტმული აქცენტების ურთიერთაცილება, თამაში. რეგტაიმი მე-19 საუკუნის აფრო-ამერიკული საცეკვაო მუსიკიდან, „მინსტრელ შოუს“ სიმღერებიდან, საოპერო არიებიდან და იმ რიტმული მრავალფეროვნებიდან წარმოიშვა, ამერიკის მიწაზე გადმოხვეწილ აფრიკულ მუსიკალურ ტრადიციას რომ მოსდგამდა...

/ფრაგმენტი ზ. ქარუმიძის წიგნიდან „ჯაზის ცხოვრება“/

**1. ტექსტიდან გამომდინარე, ავტორის მთავარი მიზანია:**

(ა) წარმოაჩინოს ტრადიციული აფრიკული მუსიკის რიტმული არსი.
(ბ) გაგვაცნოს ევროპული მუსიკალური ტრადიციების როლი ჯაზის ჩამოყალიბებაში.
(გ) აღწეროს და დაახასიათოს აფრო-ამერიკული მუსიკალური ჟანრები.
(დ) გამოკვეთოს ჯაზის ჩამოყალიბების გზა და ჯაზური მუსიკის არსებითი თავისებურებანი.
(ე) შეადაროს ერთმანეთს ორი მუსიკალური ჟანრის – ბლუზისა და რეგტაიმის სპეციფიკა.

**2. აფრიკულისა და ევროპული მუსიკის შესახებ ქვემოთ გამოთქმულ მოსაზრებათაგან რომელია მართებული ტექსტის მიხედვით?**

(ა) როგორც აფრიკული, ისე ევროპული მუსიკის მელოდია და ჰარმონია შვიდსაფეხურიან დიატონურ გამას ეფუძნება.
(ბ) როგორც აფრიკულ, ისე ევროპულ მუსიკაში ტრადიცია აქვს სინკოპეს, ანუ რიტმული აქცენტის გადატანას ტაქტის ძლიერი ნაწილიდან სუსტ ნაწილზე.
(გ) ტრადიციული აფრიკული მუსიკისაგან განსხვავებით, ევროპული მუსიკის ჰარმონია პენტატონიკას ემყარება.
(დ) ევროპულისაგან განსხვავებით, აფრიკული მუსიკის რიტმიკას სიმეტრიულობა ახასიათებს.
(ე) აფრიკული მუსიკისაგან განსხვავებით, ევროპული მუსიკისათვის დამახასიათებელია საბაზო რიტმისა და მელოდიის რიტმული აქცენტების თამაში.

**3. ტექსტის მიხედვით, ჯვარედინი რიტმიკა**

(ა) გავრცელებული იყო ჯერ კიდევ აცტეკებისა და მაიას კულტურის მუსიკალურ ტრადიციებში.
(ბ) ევროპულისა და აფრიკული მუსიკის ტრადიციების შერწყმის შედეგად წარმოიქმნა.
(გ) პირველად თავს იჩენს „მინსტრელ შოუს“ სასიმღერო-საცეკვაო ფორმებში და შემდგომში გადადის ჯაზურ მუსიკაში.
(დ) პრიმიტიულია, თუმცა აფრიკული წარმართობისათვის ჩვეული ექსტაზური განწყობით ამდიდრებს ჯაზურ მუსიკას.
(ე) დამახასიათებელია ტრადიციული აფრიკული მუსიკისათვის, ხოლო ჯაზურ მუსიკაში რეგტაიმის ჟანრიდან შევიდა.

**4. ტექსტიდან გამომდინარე, ჩამოთვლილთაგან რომელი პრინციპია სპეციფიკური ჯაზისათვის?**

I. მელოდიის თავისუფალი მოძრაობა საბაზო რიტმის მიმართ
II. დაპირისპირებული რიტმების შეხამება
III. მუსიკალური ბგერების მდგრადობა

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ III
(დ) მხოლოდ I და II
(ე) I, II, III

**5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი მოსაზრება ა რ გამომდინარეობს ტექსტიდან?**

(ა) მეოცე საუკუნის ამერიკული მუსიკის ზოგიერთი ჟანრი აფრიკულისა და ევროპული მუსიკის ერთგვარმა სიმბიოზმა წარმოქმნა.

(ბ) ბლუზის აღმოცენებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამქვეყნიური დარდისა და პირადი, ინდივიდუალური სატკივრის გამოხატვის მოთხოვნილება.

(გ) „მინსტრელ შოუს“, როგორც მუსიკალურ თეატრალური ჟანრის, ერთ-ერთი მთავარი ელემენტი პაროდია იყო.

(დ) რეგტაიმი, როგორც თავისებური მუსიკალური ჟანრი, აფრო-ამერიკული და ევროპული მუსიკალური ტრადიციების შერწყმამ წარმოქმნა.

(ე) მუსიკალური სიახლე – ე. წ. შეძახილები და გადაძახილები პირველად XIX საუკუნის დასაწყისის ამერიკულ მუსიკაში გაჩნდა და შემდეგ ჯაზის ინსტრუმენტულ სტრუქტურაშიც გადავიდა.

**6. ტექსტის მიხედვით, კრეოლთა მუსიკის შეთვისება**

(ა) ექსტაზურ განწყობას სძენდა ურბანიზებულ ევროპულ მელოდიებსა და მათი შესრულების მანერას.

(ბ) აკორდების სინკოპირებული თამაშის ორიგინალური ფორმებით ამდიდრებდა ევროპულ მუსიკალურ ტრადიციას.

(გ) ახალი თეატრალიზებული ელემენტებით ამდიდრებდა აფრო-ამერიკულ მუსიკალურ გასართობ ჟანრებს.

(დ) ევროპული მუსიკალური გამოცდილებით ამდიდრებდა აფრო-ამერიკულ სპეციფიკურ მუსიკას.

(ე) ევროპელთა რელიგიური განწყობით კიდევ უფრო ამდიდრებდა გოსპელისა და სპირიჩუელის პათოსს.

**7. ჩამოთვლილთაგან რომელი ფაქტორები განსაზღვრავს საკუთრივ ბლუზის, როგორც აფრო-ამერიკული მუსიკის განსხვავებული ჟანრის, სპეციფიკას?**

I. სოციალიზაცია
II. სევდიანი განწყობილება
III. ინდივიდუალიზმი
IV. რელიგიური პათოსი

(ა) მხოლოდ II
(ბ) მხოლოდ III
(გ) მხოლოდ I და III
(დ) მხოლოდ II და III
(ე) მხოლოდ II და IV

**8. ტექსტის მიხედვით, რომელი მოსაზრებაა მართებული ჩამოთვლილთაგან?**

(ა) ბლუზს, როგორც მუსიკალურ ჟანრს, ფორმა და საზრისი ევროპული დახვეწილი მუსიკის ზეგავლენამ შესძინა.

(ბ) მიუხედავად იმისა, რომ „ბლუზური ტონები“ არამდგრადი სიხშირიდან აღმოცენდება, ისინი ყოველთვის ერთგვაროვანია.

(გ) რეგტაიმისეული სინკოპირება, ანუ „რეგირება“, არსებითად განსხვავდება იმ ჯვარედინი რიტმებისაგან, კონგოს მოედნის მომღერლები რომ ასრულებდნენ.

(დ) ბლუზი აფრო-ამერიკული მუსიკის ჟანრებიდან მეტ მსგავსებას ავლენს სპირიჩუელთან, ვიდრე – გოსპელთან.

(ე) რეგტაიმის აღმოცენებას ნიადაგი შეუმზადა როგორც „მინსტრელ-შოუს“ სიმღერებმა, ისე პოპულარულმა საოპერო არიებმა.

**9. ჩამოთვლილთაგან რომელ პროცესს უკავშირებს ავტორი „ჯაზური მატერიის წარმოშობის პირველი ნიშნების“ გაჩენას?**

I. კრეოლთა მუსიკის შერწყმას აფრო ამერიკულ მუსიკასთან
II. ქრისტიანული საეკლესიო საგალობლების გამდიდრებას აფრიკული წარმართობისათვის ჩვეული ექსტაზური განწყობით
III. ნიუ-ორლეანელი მუსიკოსების მიერ კონგოს მოედნის ბლუზური მელოდიების სასულე ინსტრუმენტებზე გადატანას.

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ III
(დ) მხოლოდ I და II
(ე) I, II, III

**10. რომელი მოსაზრება დასტურდება ტექსტის მიხედვით, ქვემოთ ჩამოთვლილთაგან?**

(ა) როგორც სვანური სიმღერის ჰარმონია, ისე გურული „ნადურის“ ელემენტები მსგავსებას ამჟღავნებს აფრო-ამერიკელი ზანგებისა და კრეოლთა მუსიკის მანერასთან.

(ბ) გურული „ნადურისა“ და სვანური ფერხულის ელემენტები მსგავსებას ავლენს როგორც აფრიკულ, ისე ევროპულ ხალხურ მუსიკასთან.

(გ) სვანური სიმღერისა და გურული „ნადურის“ ელემენტები მსგავსებას ამჟღავნებს აცტეკებისა და მაიას კულტურის უძველეს მუსიკალურ ტრადიციებთან.

(დ) ერთი მხრივ, გურული „ნადურის“ ხასიათი და, მეორე მხრივ, სვანური სიმღერის გამა მსგავსებას ავლენს აფრიკულ მუსიკალურ ტრადიციებთან.

(ე) სვანური სიმღერა და ფერხული, ასევე, გურული „ნადური“ მსგავსებას ამჟღავნებს აფრო-ამერიკული „მინსტრელ შოუს“ თეატრალურ-მუსიკალურ ბუნებასთან.

## ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲐ

თემა მოცემულ საკითხზე

**ხელოვნებისა და ლიტერატურის შედევრები პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერ ქვეყანაში იქმნება.**
გამოთქვით თქვენი აზრი, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით მოცემულ თვალსაზრისს; ახსენით თქვენი პოზიცია, საკუთარი აზრის დასასაბუთებლად მოიყვანეთ მაგალითები არსებული რეალობიდან, ისტორიიდან, ლიტერატურიდან, ფილმებიდან და ა. შ.

## ᲚᲝᲒᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲡᲯᲔᲚᲝᲑᲐ

ამოცანა 1.

**მოცემულია წინადადება:**

„პენსილვანიაში მხოლოდ ჯაგერის ჯიშის ხორბალი მოჰყავთ.“

**ჩამოთვლილთაგან რომელი გამომდინარეობს ამ წინადადებიდან?**

(ა) პენსილვანიაში ხორბლის მხოლოდ ერთი სახეობის მოყვანაა შესაძლებელი.
(ბ) პენსილვანიაში რამდენიმე სახეობის ხორბალი ხარობს.
(გ) თუ ჯაგერის ჯიშის ხორბალს შეიძენთ, მაშინ ის პენსილვანიაში იქნება მოყვანილი.
(დ) ჯაგერის ჯიშის ხორბალი ყველაზე უხვმოსავლიანია.
(ე) თუ პენსილვანიაში მოყვანილ ხორბალს იყიდით, მაშინ ის ჯაგერის ჯიშის იქნება.

ამოცანა 2.

**მოცემულია:**

- მხოლოდ მწერლები არიან პოეტები.
- ყველა კოსმონავტი სამხედრო ოფიცერია.
- ახალ ჟურნალში გამოქვეყნებული ყოველი ნაწარმოების ავტორი პოეტია.
- არავინაა ერთდროულად მწერალიც და სამხედრო ოფიცერიც.
- შალვას ნაწარმოები ახალ ჟურნალში გამოქვეყნდა

**თუ ხუთივე ეს წინადადება ჭეშმარიტია, მაშინ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან**

I. არცერთი კოსმონავტის ნაწარმოები არ მოხვდა ახალ ჟურნალში.
II. შალვა სამხედრო ოფიცერი არ არის.
III. არსებობს მწერალი, რომლის ნაწარმოებიც ახალ ჟურნალში არ გამოქვეყნებულა.

**რომელია აუცილებლად ჭეშმარიტი?**

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ I და II
(დ) მხოლოდ II და III
(ე) სამივე



ამოცანა 3.

ნორლანდიის ექსპორტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროდუქციაა სახელგანთქმული საძილე ტომრები, რომლებიც იშვიათი ჯიშის გარეული იხვის ბუმბულისაგან მზადდება. ვინაიდან ამ ჯიშის იხვი ბუნებაში მცირე რაოდენობითაა შემორჩენილი და ერთი საძილე ტომრის დასამზადებლად ათზე მეტი იხვის ბუმბულია საჭირო, საძილე ტომრების გამოშვების გაგრძელება აუცილებლად გამოიწვევს ამ ჯიშის იხვების სრულ განადგურებას.

**ჩამოთვლილთაგან რომელი შეასუსტებდა ყველაზე მეტად ზემოთ მოყვანილ მსჯელობას?**

(ა) შესაბამის პირობებში წარმატებით ხერხდება ამ ჯიშის გარეული იხვის მოშენება-გამრავლება.
(ბ) ამ ჯიშის იხვის ბუმბულისაგან დამზადებული საძილე ტომრები უაღრესად ძვირადღირებულია.
(გ) საძილე ტომრების გარდა, ნორლანდია აწარმოებს ამ ჯიშის იხვის ღვიძლის პაშტეტსაც.
(დ) ამ ჯიშის გარეულ იხვზე ნადირობა მხოლოდ ძვირადღირებული ლიცენზიის შეძენით შეიძლება.
(ე) ამ ჯიშის გარეული იხვი ძალიან ძნელად მისადგომ ადგილებში ბუდობს.

ამოცანა 4.

ცნობილ გამომძიებელს ლორდ ჩესტერფილდის მკვლელობის საქმის გამოძიება მიანდეს. გამოძიების მსვლელობისას გამომძიებელმა შემდეგი ფაქტები დაადგინა:

- მკვლელობის დროს სასადილო ოთახში ლედი ჩესტერფილდი ან მოსამსახურე სარა იყო.
- თუ მკვლელობის დროს მზარეული საკუჭნაოში იყო, მაშინ ლორდი შვეიცარმა მოკლა შხამის დიდი დოზის მეშვეობით.
- თუ ლედი ჩესტერფილდი მკვლელობის დროს სასადილო ოთახში იმყოფებოდა, მაშინ ლორდი მძღოლმა მოკლა.
- თუ მზარეული საკუჭნაოში არ ყოფილა მკვლელობის დროს, მაშინ ის ამ დროს სარასთან ერთად იყო სამზარეულოში.
- თუ სარა მკვლელობის დროს სასადილო ოთახში იყო, მაშინ ლორდი მებაღემ ან მეჯინიბემ მოკლა.
- ლორდი ჩესტერფილდი თავში სპილენძის შანდლის ჩარტყმით მოკლეს.

**ამ ფაქტების მიხედვით გამომძიებელმა ზუსტად დაადგინა მკვლელის ვინაობა. ვინ არის ლორდ ჩესტერფილდის მკვლელი?**

(ა) შვეიცარი
(ბ) მძღოლი
(გ) მებაღე
(დ) მეჯინიბე
(ე) მზარეული

**ამოცანები 5-6 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:**

ბაბუამ ბაღში ერთმანეთის გასწვრივ, ერთ მწკრივში დარგო წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეები, სულ 30 ნერგი. ამასთან ცნობილია, რომ წიწვოვანი ხეები ერთმანეთის გვერდით არ არის დარგული და ერთმანეთის მიყოლებით დარგულ ნებისმიერ ხუთ ხეს შორის ორი მაინც აუცილებლად წიწვოვანია.

---

ამოცანა 5.

**ვთქვათ, შავი წრე აღნიშნავს წიწვოვან ხეს, ხოლო თეთრი – ფოთლოვანს. შემდეგი განლაგებებიდან:**

I. ○ ○ ● ● ○

II. ● ○ ● ○ ●

III. ● ○ ○ ○ ●

**რომელი შეიძლება შეგვხვდეს ბაბუას მიერ დარგულ მწკრივში?**

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ III
(დ) მხოლოდ I და II
(ე) მხოლოდ II და III

---

ამოცანა 6.

**პირობის მიხედვით, შემდეგი წინადადებებიდან:**

I. ერთმანეთის მიყოლებით დარგულ ნებისმიერ სამ ხეს შორის ორი მაინც არის ფოთლოვანი.
II. ერთმანეთის მიყოლებით დარგულ ნებისმიერ ხუთ ხეს შორის ზუსტად ორი ხეა წიწვოვანი.
III. არსებობს ერთმანეთის მიყოლებით დარგული ხეების ისეთი შვიდეული, რომელშიც მხოლოდ ორი წიწვოვანი ხეა.

**აუცილებლად მცდარია მხოლოდ**

(ა) I (ბ) II (გ) I და II (დ) I და III (ე) II და III

**ამოცანები 7-10 შემდეგ მოცემულობას ეყრდნობა:**

მსოფლიოს საკალათბურთო ჩემპიონატზე სულ 16 ქვეყნის ნაკრები გუნდი მონაწილეობს. აქედან:

ევროპიდან არის 6 ნაკრები:
გერმანია, ესპანეთი, საფრანგეთი, ჰოლანდია, ლიტვა და რუსეთი;
ამერიკის კონტინენტიდან არის 4 ნაკრები:
ბრაზილია, არგენტინა, კანადა და ამერიკა;
აზიიდან არის 4 ნაკრები:
ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი და ირანი;
აფრიკის კონტინენტიდან არის 2 ნაკრები:
ეგვიპტე და მაროკო.

გუნდები სპეციალურმა ჟიურიმ თანაბრად უნდა გაანაწილოს ოთხ – A, B, C და D – ჯგუფში. ამასთან, დაცული უნდა იყოს შემდეგი პირობები:

- არცერთ ჯგუფში არ უნდა იყოს ორზე მეტი ქვეყანა ევროპის კონტინენტიდან.
- თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს ერთი მაინც აზიური ქვეყანა.
- აფრიკული ქვეყნები სხვადასხვა ჯგუფებში უნდა მოხვდნენ.
- თუ გერმანია და ბრაზილია ერთ ჯგუფში მოხვდებიან, მაშინ ესპანეთი და ჰოლანდია სხვადასხვა ჯგუფში უნდა მოხვდნენ.
- ერთ ჯგუფში მაინც უნდა იყოს ქვეყნები ოთხივე კონტინენტიდან.

---

ამოცანა 7.

**ჩამოთვლილთაგან რომელი აკმაყოფილებს ყველა პირობას?**

| | A ჯგუფი | B ჯგუფი | C ჯგუფი | D ჯგუფი |
|---|---|---|---|---|
| (ა) | გერმანია<br>ესპანეთი<br>ბრაზილია<br>ინდოეთი | საფრანგეთი<br>მაროკო<br>არგენტინა<br>ეგვიპტე | ლიტვა<br>ამერიკა<br>კანადა<br>ჰოლანდია | რუსეთი<br>ჩინეთი<br>იაპონია<br>ირანი |
| (ბ) | საფრანგეთი<br>ესპანეთი<br>კანადა<br>ინდოეთი | ჰოლანდია<br>ეგვიპტე<br>ლიტვა<br>არგენტინა | გერმანია<br>ჩინეთი<br>ირანი<br>მაროკო | რუსეთი<br>ამერიკა<br>იაპონია<br>ბრაზილია |
| (გ) | ჰოლანდია<br>არგენტინა<br>მაროკო<br>ირანი | გერმანია<br>ესპანეთი<br>ბრაზილია<br>იაპონია | რუსეთი<br>კანადა<br>ჩინეთი<br>ამერიკა | ლიტვა<br>ინდოეთი<br>საფრანგეთი<br>ეგვიპტე |
| (დ) | რუსეთი<br>მაროკო<br>კანადა<br>ჩინეთი | საფრანგეთი<br>ირანი<br>ლიტვა<br>ჰოლანდია | იაპონია<br>ამერიკა<br>გერმანია<br>ეგვიპტე | ესპანეთი<br>არგენტინა<br>ინდოეთი<br>ბრაზილია |
| (ე) | ესპანეთი<br>ინდოეთი<br>ჩინეთი<br>ამერიკა | გერმანია<br>ბრაზილია<br>ეგვიპტე<br>იაპონია | კანადა<br>მაროკო<br>ჰოლანდია<br>რუსეთი | საფრანგეთი<br>ირანი<br>ლიტვა<br>არგენტინა |

ამოცანა 8.

**შემდეგი წინადადებებიდან:**

I. შეუძლებელია, რომ ერთ-ერთ ჯგუფში მოხვდეს 3 ქვეყანა ამერიკის კონტინენტიდან.
II. თითოეულ ჯგუფში შედის ერთი ევროპული ქვეყანა მაინც.
III. შესაძლებელია, რომ აფრიკული ქვეყნების ჯგუფებში ორ-ორი ქვეყანა იყოს ევროპის კონტინენტიდან.

**აუცილებლად ჭეშმარიტია**

(ა) მხოლოდ I
(ბ) მხოლოდ II
(გ) მხოლოდ III
(დ) მხოლოდ I და II
(ე) სამივე

ამოცანა 9.

**თუ დამატებით ცნობილია, რომ თითოეულ ჯგუფში გვხვდება ერთი ქვეყანა ამერიკის კონტინენტიდან, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი ვარიანტია შეუძლებელი?**

(ა) კანადა, ეგვიპტე და ინდოეთი ერთ ჯგუფში აღმოჩნდნენ.
(ბ) C ჯგუფში არ არის არცერთი ქვეყანა ევროპის კონტინენტიდან.
(გ) გერმანია და ბრაზილია A ჯგუფში მოხვდნენ.
(დ) B ჯგუფში ირანი ორ ევროპულ ქვეყანასთან ერთად აღმოჩნდა.
(ე) საფრანგეთის ჯგუფში მოხვდა კანადა და იაპონია.

ამოცანა 10.

**თუ B ჯგუფში ერთად მოხვდნენ ესპანეთი, მაროკო, ჩინეთი და ჰოლანდია, მაშინ ჩამოთვლილთაგან რომელი იქნება აუცილებლად ჭეშმარიტი?**

(ა) ბრაზილია ორ ევროპულ ქვეყანასთან ერთად მოხვდა ჯგუფში.
(ბ) ორი სხვადასხვა ჯგუფიდან თითოეულში ოთხივე გუნდი სხვადასხვა კონტინენტიდანაა.
(გ) არგენტინა ჯგუფში გერმანიასა და ეგვიპტესთან ერთად აღმოჩნდა.
(დ) გერმანია და ბრაზილია სხვადასხვა ჯგუფებში მოხვდნენ.
(ე) A ჯგუფში მხოლოდ ერთი ქვეყანაა ევროპის კონტინენტიდან.



## რაოდენობრივი მსჯელობა

ამოცანა 1

მგზავრმა გზის ერთი ნახევარი ფეხით გაიარა, გზის მეორე ნახევარი კი – ავტობუსით. მთელი გზის გავლას მან 3 საათი მოანდომა. რა დრო დასჭირდებოდა მგზავრს მთელი ამ გზის ფეხით გასავლელად, თუ მის გავლას ავტობუსით ის 1 საათში შეძლებდა?

(ა) 1 საათი (ბ) 3 საათი (გ) 4 საათი (დ) 5 საათი (ე) 6 საათი

ამოცანა 2

ყოველი ორი $a$ და $b$ რიცხვისათვის $a\Delta b = ab + a + b$ .

თუ მაშინ $3\Delta 5 = 2\Delta x$

(ა) 4 (ბ) 6 (გ) 7 (დ) $7\frac{1}{2}$ (ე) $11\frac{1}{2}$

ამოცანა 3

სურათზე გამოსახულია $ABCD$ მართკუთხედი. მართკუთხედის $D$ წვეროდან მონაკვეთით შეერთებულია $BC$ გვერდზე მდებარე $E$ წერტილთან. იპოვეთ $ABCD$ მართკუთხედის ფართობი, თუ $AB = 4$ სმ, $BE = 5$ სმ და $\angle ADE = 45^0$ .




(ა) 20 სმ² (ბ) 24 სმ² (გ) 28 სმ² (დ) 36 სმ² (ე) 40 სმ²

ამოცანა 4

1234 და 6987 არის რიცხვები, რომელთა ჩანაწერშიც გამოყენებულია 4 ერთმანეთის მომდევნო ციფრი. რისი ტოლია იმ უმცირესი ოთხნიშნა რიცხვის ბოლო ციფრი, რომელიც მეტია 6987-ზე და რომლის ჩანაწერშიც ასევე გამოყენებულია 4 ერთმანეთის მომდევნო ციფრი?

(ა) 4 (ბ) 5 (გ) 6 (დ) 7 (ე) 8

ამოცანა 5

ერთ ჯგუფში სტუდენტების რაოდენობა შეადგენს მეორე ჯგუფში სტუდენტების რაოდენობის 60%-ს. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომლის ტოლი შეიძლება იყოს სტუდენტთა რაოდენობა ორივე ჯგუფში ერთად?

(ა) 36 (ბ) 42 (გ) 55 (დ) 72 (ე) 84

ამოცანა 6

მართკუთხა პარალელეპიპედის ფორმის ხის ძელის ერთ-ერთ წახნაგს **კვადრატის** ფორმა აქვს. ძელის სრულად შესაღებად გამოიყენეს შავი, რუხი და თეთრი ფერის საღებავები. ამასთან, ერთმანეთის პარალელური წახნაგები შეღებეს ერთი და იმავე ფერის საღებავით. ძელის ზედაპირის ყოველი 1 დმ$^2$ ფართობის შესაღებად, განურჩევლად საღებავის ფერისა, საჭიროა საღებავის ერთი და იგივე რაოდენობა. ქვემოთ მოცემული წრიული დიაგრამებიდან ერთ-ერთზე მოცემულია ძელის შესაღებად დახარჯული საღებავების წონათა პროცენტული განაწილება ფერების მიხედვით. რომელია ეს დიაგრამა?



დიაგრამა 1



დიაგრამა 2



დიაგრამა 3



დიაგრამა 4



დიაგრამა 5

(ა) დიაგრამა 1 (ბ) დიაგრამა 2 (გ) დიაგრამა 3 (დ) დიაგრამა 4 (ე) დიაგრამა 5

ამოცანა 7

დროის t = 0 მომენტში ტურისტული ბაზიდან სამოგზაუროდ გავიდა ტურისტი. მას შეეძლო ბაზასთან დაკავშირება რადიოტელეფონის საშუალებით, რომლის მოქმედების რადიუსი 3 კმ-ია. ნახაზზე გამოსახულია მოგზაურობის ამ პროცესში ტურისტის მიერ გავლილი S მანძილის t დროზე დამოკიდებულების გრაფიკი.




გრაფიკის მიხედვით განსაზღვრეთ, რომელია ქვემოთ ჩამოთვლილთაგან აუცილებლად ჭეშმარიტი.

I. დროის 0 სთ-დან – 1 სთ-მდე შუალედის ნებისმიერ მომენტში ტურისტს შეეძლო დაემყარებინა კავშირი ბაზასთან რადიოტელეფონის საშუალებით.
II. დროის 1 სთ-დან – 2 სთ-მდე შუალედის ნებისმიერ მომენტში ტურისტს შეეძლო დაემყარებინა კავშირი ბაზასთან რადიოტელეფონის საშუალებით.
III. დროის 2 სთ-დან – 3 სთ-მდე შუალედის არც ერთ მომენტში ტურისტს არ შეეძლო კავშირის დამყარება ბაზასთან რადიოტელეფონის საშუალებით.

(ა) მხოლოდ I (ბ) მხოლოდ II (გ) მხოლოდ III (დ) მხოლოდ I და II (ე) მხოლოდ I და III

ამოცანა 8

ავტომობილმა გზის მეორე ნაწილი 2-ჯერ მეტი სიჩქარით გაიარა, ვიდრე გზის პირველი ნაწილი. ამასთან, გზის პირველი ნაწილის სიგრძე 2-ჯერ აღემატებოდა გზის მეორე ნაწილის სიგრძეს.

მოცემულია შემდეგი ორი პირობა:

I. ავტომობილმა გზის მეორე ნაწილი 1 საათში გაიარა.
II. მთელი გზის სიგრძე 300 კმ-ია.

იმისათვის, რომ გავიგოთ, რა დროში გაიარა ავტომობილმა გზის ორივე ნაწილი,

(ა) საკმარისია **I პირობა**, ხოლო II პირობა **არ არის** საკმარისი.
(ბ) საკმარისია **II პირობა**, ხოლო I პირობა **არ არის** საკმარისი.
(გ) საკმარისია I და II პირობა **ერთად**, მაგრამ ცალ-ცალკე **არც ერთი** არ არის საკმარისი.
(დ) საკმარისია **თითოეული** პირობა **ცალ-ცალკე.**
(ე) ორივე პირობა ერთად არ არის საკმარისი, **საჭიროა დამატებითი პირობები.**

ამოცანა 9




ნახაზზე გამოსახულია $ABCD$ კვადრატი, რომლის თითოეული წვეროდან შემოწერილია თითო წრეწირი ისე, რომ ყოველი ორი მეზობელი წრეწირი ერთმანეთს ეხება (ნახაზზე ნაჩვენებია ამ წრეწირების რკალები).

მოცემულია წინადადება, რომელშიც გამოტოვებულია ორი ფრაგმენტი:

„თუ ---------- , მაშინ --------- .“

ქვემოთ მოცემული სამი (1), (2) და (3) ფრაგმენტიდან ჩასვით ორი (სწორი თანმიმდევრობით) გამოტოვებულ ადგილებში ისე, რომ მიღებული წინადადება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს.

(1) $ABCD$ კვადრატის პერიმეტრი 16 სმ-ის ტოლია
(2) $ABCD$ კვადრატის ფართობი 4 სმ$^2$-ის ტოლია
(3) ნახაზზე გამუქებული ფიგურის ფართობი ნაკლებია 1 სმ$^2$-ზე

(ა) (1) $\rightarrow$ (2)  (ბ) (2) $\rightarrow$ (1)  (გ) (1) $\rightarrow$ (3)  (დ) (3) $\rightarrow$ (1)  (ე) (2) $\rightarrow$ (3)

ამოცანა 10

A, B, C და D წერტილები შეერთებულია მონაკვეთებით ისე, როგორც ეს ნახაზზეა ნაჩვენები (ABC და BCD კუთხეები მართია). შემდეგი ოთხი პირობიდან რომელი ორის ცოდნაა საკმარისი AD მონაკვეთის სიგრძის დასადგენად?




I. AB + BC + CD = 17 სმ.
II. AB = 4 სმ.
III. BC = 5 სმ.
IV. CD = 8 სმ.

(ა) I და II  (ბ) I და III  (გ) I და IV  (დ) II და III  (ე) II და IV

# ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

## წაკითხულის გააზრების ნაწილის პასუხები:

1-დ, 2-ბ, 3-ე, 4-დ, 5-ე, 6-დ, 7-დ, 8-ე, 9-გ, 10-დ.

## ლოგიკური მსჯელობის ნაწილის პასუხები:

1-ე, 2-გ, 3-ა, 4-ბ, 5-ბ, 6-ბ, 7-გ, 8-დ, 9-ბ, 10-დ.

## რაოდენობრივი მსჯელობის ნაწილის პასუხები:

1-დ, 2-გ, 3-დ, 4-გ, 5-დ, 6-ა, 7-ა, 8-ა, 9-ე, 10-ბ.








**მთავარი რედაქტორი:**

გიორგი მაჭავარიანი

**გარეკანის ფოტო:**

ქეთი კვიტატიანი

**დაკაბადონება:**

ლევან მაჭავარიანი

**სტამბა:**

შპს „დი & ჯი“

ჟურნალი “Naec.ge” IV ნომერი, ივლისი 2014.

შეფასებისა და გამოცდების

ეროვნული ცენტრი

მისამართი: მინდელის N9.

ტელ: 2 47 33 33.

info@naec.ge

www.naec.ge

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი

ISSN 2346-7509

მისამართი:
მინდელის N9.

ტელ: 2 47 33 33.

info@naec.ge

www.naec.ge